



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

თამარ ჭყოიძე

სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივი
საშუალებები
(ქართული და ინგლისური საგაზეთო-პუბლიცისტური
მასალის მიხედვით)

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
ფილოლოგია

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

*ნუნუ გელდიაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
მანანა ღარიბაშვილი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი ინგლისური
ენის მიმართულებით, პროფესორი*

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია.....	4
შესავალი.....	7

I თავი

სატირა და იუმორი, როგორც სტილისტიკური გამოხატვის შესაძლებლობა

§ 1 სატირისა და იუმორის განსაზღვრებისათვის ქართულში	23
§ 2 სატირისა და იუმორის განსაზღვრებისათვის ინგლისურში.....	26
§ 3 სატირისა და იუმორის გამოხატვის ძირითადი ენობრივი საშუალებები ქართულში.....	33
§ 4 სატირისა და იუმორის გამოხატვის ძირითადი ენობრივი საშუალებები ინგლისურში	42
§ 5 სატირისა და იუმორის ძირითადი თემატიკა	51
1.5.1. სატირისა და იუმორის ძირითადი თემატიკა ქართულში	51
1.5.2. სატირისა და იუმორის ძირითადი თემატიკა ინგლისურში	57

II თავი

სატირა და იუმორი თანამედროვე საგაზეთო-პუბლიცისტურ ტექსტებში და მათი გადმოცემის ენობრივი საშუალებები

§ 1 საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ზოგადი თავისებურებანი	63
§ 2 საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტების სატირისა და იუმორის ძირითადი თემატიკა	70
§ 3 სატირა და იუმორი საგაზეთო სათაურებში	84
§ 4 სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივი საშუალებები საგაზეთო-პუბლიცისტურ ტექსტებში	95

III თავი

სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივ საშუალებათა

ურთიერთმიმართებანი თარგმანებში

§1. თარგმანი და მასთან დაკავშირებული პრობლემები116

§2. უთარგმნელობის პრობლემა.....125

§3. ექსპერიმენტი.....130

§4. ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი.....134

დასკვნა137

დამოწმებული ლიტერატურა და საანალიზო წყაროები153

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივი საშუალებები თანამედროვე ქართული და ინგლისური საგაზეთო-პუბლიცისტური მასალის მიხედვით. შეძლებისდაგვარად, დადგენილი და გაანალიზებულია გამოკვეთილი მსგავსებები და განსხვავებები; ასევე, თარგმანებზე დაკვირვებითა და ჩატარებული ექსპერიმენტით ახსნილია, რამდენადაა შესაძლებელი ორიგინალიდან თარგმნილ ტექსტში სატირისა და იუმორის გამოხატვის შესაძლებლობის შენარჩუნება; წარმოჩენილია ამ მიმართებით წარმოშობილი პრობლემები; გამოკვეთილია უთარგმნელობის საკითხი.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია საკვლევი საკითხის მოკლე ისტორია; განსაზღვრულია კვლევის მიზნები, ამოცანები და მეთოდები; დასაბუთებულია აქტუალობა, გამოკვეთილია სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება; აღწერილია ნაშრომის სტრუქტურა, საანალიზო წყაროები და აპრობაცია.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა სატირისა და იუმორის, როგორც სტილისტიკური გამოხატვის შესაძლებლობასა და განსაზღვრებაზე მსჯელობას ქართულსა და ინგლისურში; ამავე თავში მიმოხილულია, ზოგადად, სატირისა და იუმორის გადმოცემის ძირითადი ენობრივი საშუალებები და ძირითადი თემატიკა შეპირისპირებით ჭრილში.

მეორე თავი, ასევე, კონტრასტულ ჭრილში, მთლიანად მოიცავს თანამედროვე საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტების სატირასა და იუმორს. დახასიათებულია საგაზეთო-პუბლიცისტური სტილი; განხილულია მათი ძირითადი თემატიკა, საგაზეთო სათაურები და სატირისა და იუმორის გამოხატვის ენობრივი საშუალებები საგაზეთო-პუბლიცისტურ ტექსტებში.

მესამე თავი ეძღვნება სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივ საშუალებათა ურთიერთმიმართებებს თარგმანებში. კერძოდ, დადგენილია თანხვედრები და განსხვავებები; გამოკვეთილია ამ მიმართებით არსებული პრობლემები, კერძოდ,

უთარგმენლობის შემთხვევები. ამავე თავის ერთი პარაგრაფი ეთმობა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ჩატარულ ექსპერიმენტს, რომლითაც შეძლებისდაგვარად გარკვეულია, რამდენად სწორად და კარგად, გემოვნებით და პროფესიონალურად შეუძლიათ ახალგაზრდებს სატირისა და იუმორის გამომხატველი საშუალებების თარგმნა და შესატყვისების მოძიება. ექსპერიმენტმა გამოკვეთა ამ მიმართებით არსებული პრობლემები.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია მდიდარ საანალიზო მასალაზე დაყრდნობით შემუშავებული კვლევის ძირითადი შედეგები; დასაბუთებულია, რომ სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივი საშუალებების სპექტრი საკმაოდ ფართო, მრავალფეროვანი და საინტერესოა, მით უფრო კონტრასტულ ჭრილში, რაც, უდავოდ, შემდგომში ახალი კვლევების ჩატარების საფუძველს იძლევა.

Annotation

The dissertation thesis discusses linguistic means expressing satire and humour according to the modern Georgian and English newspapers; Similarities and differences are identified and analyzed; It is also explained by the observation and experiment how it is possible to maintain satire and humor in the translated texts; Problems arising in this regard have been identified; The issue of untranslatability is highlighted.

The introductory part provides a brief history of the research topic; The aims, objectives and methods of the research are defined; Topicality is substantiated; the scientific novelty, theoretical and practical value of the dissertation is highlighted; The structure of the work, sources of analysis, and probation are described.

Chapter I focuses on the possibility and definition of satire and humor as a stylistic expression in Georgian and English; The same chapter provides a general overview of the main linguistic means of conveying satire and humor and the main themes in the context of comparison.

Chapter II in a contrasting setting completely covers the satire and humor of modern newspaper texts. The belles-lettres style is characterized; Their main themes, newspaper headlines and linguistic means of expressing satire and humor are discussed in the journalistic publications.

Chapter III is devoted to the interrelations of linguistic means of satire and humor in translations. In particular, coincidences and differences have been identified; Problems in this regard are identified, in particular cases of untranslatability. One paragraph in the same chapter is dedicated to the experiment with the university students, which shows how well, properly and professionally, young people can translate satire and humor and find corresponding matchings. The experiment has identified problems in this regard.

The conclusion presents the main findings of the research based on rich analytical material; It is well-known that the range of satirical and humorous linguistic means is quite wide, varied and interesting, with a contrasting background, which undoubtedly provides the basis for further research.

შესავალი

ლიტერატურაში, ისევე როგორც ცხოვრებაში, ყოველთვის იყო და არის ჭიდილი პოზიტიურსა და ნეგატიურს, ავსა და კარგს შორის, მწერლობას ამ მხრივ უდიდესი ტრადიცია აქვს. ის მუდამ დროულად გამოდიოდა სამართლიანობის, ჰუმანურობის, უანგარობის პრინციპების დაცვით. ლიტერატურას აქვს დიდი კეთილშობილური ამოცანა, ხან იუმორით და ხან სატირით დაგვარწმუნოს, რომ ზნეობრივი სიწმინდე, ურთიერთპატივისცემა და სიკეთის კეთება ბედნიერების აუცილებელი პირობაა. ლიტერატურის დანიშნულებაა, ასევე, წარმოგვისახოს საზოგადოების მორალური იდეალი, იმოქმედოს მის გაჯანსაღებაზე. ნაწარმოები გვეხმარება ამაღლებული განწყობის შექმნაში.

ყოველი ლიტერატურული ჟანრის წარმოშობასა და განვითარებას, ისევე როგორც ნებისმიერი საგნისა და მოვლენის წარმოშობასა და განვითარებას, თავისი ისტორია აქვს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეპოქაში ცხადად უკვე აღარ ჩანს ის ნიადაგი, რომელიც თავდაპირველად განსაზღვრავდა და საფუძველს უყრიდა ამა თუ იმ ლიტერატურულ ტენდენციასა და მის ფორმას. ნაწარმოებთა თუ თხზულებათა მსგავსად, ლიტერატურული ჟანრის წარმოშობა-განვითარებაც სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს ემყარება, თუმცა, ეს საფუძველი ხშირად იმდენად მრავალფეროვანი და ღრმაა, რომ მისი განმსაზღვრელი გავლენის აღმოჩენა საკმაოდ რთულდება. გამონაკლისს არც სატირა და იუმორი წარმოადგენს.

ტერმინი „სატირა“ წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან „სატურ“ (satur), რაც ნიშნავს მსუყეს, ნოყიერს, მამლარს. ძველი ბერძნები სატირას უწოდებდნენ აგრეთვე სასაცილო მითიურ მამაკაცს, რომელსაც თხის ფეხები და რქები ჰქონდა. შემდგომში სატირას იყენებდნენ აგრეთვე გადატანითი მნიშვნელობით და მასში გულისხმობდნენ ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც გამოხატული იყო ადამიანის ხასიათის ურყოფითი თვისებები.

თანამედროვე ეპოქაში სატირის სხვადასხვაგვარი განმარტება არსებობს, მაგრამ, როგორც გრიგოლ კიკნაძე აღნიშნავს, „სატირის ძირითადი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ აბუჩად აგდების გზით სავსებით გაანადგუროს და სავსებით

მოსპოს თავისი თავდასხმის ობიექტი გარკვეულ იდეალთა შეპირისპირების ნიადაგზე, თუმცა ეს იდეალი ნაგულისხმევია და პირდაპირ არ არის წარმოდგენილი...“ (გრიგოლ კიკნაძე, „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის გვ.40. 1972).

თავიანთ ნაწარმოებებში სატირიკოსი ავტორები თავიდან ბოლომდე დასაგმოზ ობიექტებს აღწერენ, ისინი ქმნიან გარკვეულ იდეალებს და ამ თვალსაზრისით აფასებენ მათ ქცევასა და თვითონ ამ ადამიანს. სატირიკოსი მიუთითებს ისეთ მანკიერებაზე, რომელიც გამორიცხავს ობიექტის შეწყალებას. სწორედ ამიტომ, როდესაც თხზულებაში დახასიათებულია ადამიანის ქცევა, ანდა რაიმე ვითარება, იქვე გაკიცხულია თვით ადამიანიც. სატირაში გაკიცხვა კი გულისხმობს მასზე დაცინვას, ვინც ამგვარად იქცევა ან მსჯელობს - აქ ადამიანი და ქცევა გაიგივებულია ერთმანეთთან და არ არის დიფერენცირებული ერთმანეთისაგან. სწორედ ეს არადიფერენცირებული დამოკიდებულება, ობიექტის გამოვლინებასა და მისი შინაგანი ბუნებისადმი, ითვლება სატირული თვალსაზრისის მახასიათებლად.

სატირის აღმოცენება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა წრის გაფართოებას. ის ფაქტი, რომ სატირაში წარმოდგენილია ამა თუ იმ ადამიანის თუ სოციალური წყობის გაკილვა და უამისოდ სატირა შეუძლებელია, გამოხატავდეს სატირის არსს იმ მხრივ, რომ იგი პირველ საფეხურებზევე გამოდის კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღად და ამდენადვე იგი წარმოადგენს კლასობრივი შეგნების დამახასიათებელ გამოვლენას, ამიტომ აქვს სატირას დიდი საზოგადოებრივ-შემეცნებითი ღირებულება; ამიტომ არის სატირული თხზულება მნიშვნელოვანი მასალა წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლად (გრიგოლ კიკნაძე, „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, გვ.46, 1972).

კონკრეტული ისტორიული ფაქტებია სატირული ფაქტები. ის, რაც ჩვენს წინაპრებში იწვევდა იუმორის განწყობას და სიცილს, შეიძლება, ჩვენში სრულიადაც აღარ პოვებდეს ასეთ გამოძახილს. ადვილად მოსალოდნელია, რომ გარკვეულ სიტუაციასა და ისტორიულ ვითარებაში სატირული გამონათქვამი, სხვა პირობებში, უკვე აღარ იწვევდეს ასეთ განცდას და, პირიქით: ის, რაც თავის დროზე სრულიად არ შეიცავდა კომიკურ ტონს, ამჟამად, ჩვენში შეიძლება სწორედ ამგვარ განცდას ქმნიდეს.

ძალზე მკაფიოდ ასახავს სატირული ლიტერატურა იმ ჭიდილსა და ბრძოლას, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში, საზოგადოებრივ ფენებსა, კლასებსა და მათ წარმომადგენელ ცალკეულ პირთა შორის არსებობდა და დღესაც არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ იგი ბრძოლის ერთ-ერთი სახეა.

ხალხური შემოქმედების მონაცემთა შესწავლას სატირის გენეზისის საკითხის კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მათში შემორჩენილია ისეთი ელემენტები, რომლებიც უძველეს ვითარებაზე მიუთითებენ. ზეპირსიტყვიერების ის ნიმუშები, რომლებიც ხალხმა შემოინახა თავის მეხსიერებაში, დიდი შემეცნებითი ღირებულების შემცველიც არის არა მარტო იმიტომ, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის ხალხურ ნიადაგზე ვითარდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ მასშია ჩადებული ხალხის სიბრძნე, ასახულია სოციალურ-ისტორიული მოვლენებისა და ფაქტებისადმი მათი ნამდვილი დამოკიდებულება, შესამჩნევი ხდება მსოფლმხედველობრივი ცვლილების უმნიშვნელო და გამოუკვეთელი ნიუანსებიც კი. მათში ყველაზე ნათლად ჩანს ხალხის შეფასება ამა თუ იმ კონკრეტული მოვლენის, ფაქტისა თუ პიროვნების შესახებ; სატირაში გამოთქმულია ხალხის აზრი გარკვეული ფენების, წოდებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის შესახებ; სატირაში ადამიანები აფასებენ საჭირბოროტო საკითხებს, აბუჩად იგდებენ ან კიცხავენ ნაკლის შემცველ ობიექტსა თუ მოვლენას. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეპოქის, ისტორიული წარსულის ნათელი სურათის შექმნის პროცესში.

ადამიანი სანამ სატირის არსს ჩასწვდებოდა და მისი დახმარებით ასახავდა საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებს, მრავალი ათეული წელი გავიდა. შესაბამისად, მისი განვითარების ისტორია არც თუ ისე მარტივი დასახასიათებელია.

ყველასთვის ცნობილია, რომ თავდაპირველად ადამიანს შიში იპყრობდა მისთვის უცნობი და უცნაური მოვლენების გამო. განიცდიდა რა თავის უმწეობას, გაუნათლებელმა ადამიანმა შექმნა წარმოდგენა ზებუნებრივ ძალებზე, რომლებსაც ვედრებით მიმართავდა და დახმარებას შესთხოვდა. ამგვარი საქციელით იგი ცდილობდა არსებობა შეენარჩუნებინა და თავი დაეცვა იმ მტრისგან და უბედურებებისგან, რომელთაც წინაშე სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. სწორედ ამით

არის განპირობებული მრავალნაირ ვედრებათა წარმოშობა, რომელთაც ვხვდებით, როგორც დამწერლობის უძველეს ნიმუშებში, ასევე ხალხურ სიტყვიერებაში.

როგორც ვედრების გარკვეული სახეობა, ვედრებაცა და ლოცვაც გარკვეული სარჩულის მატარებელია - მათი საშუალებით ადამიანი გამოხატავდა საკუთარ უმწეობას ბუნების წინაშე და არსებობის შენარჩუნებისათვის მიმართავდა არა მხოლოდ ყოვლისშემძლე ღვთაებებს, არამედ წყალსაც და მიწასაც, ქარსაც, მთვარესაც და, საერთოდ, ყველაფერ მატერიალურს. ადამიანს სწამდა, რომ იმ არსებას, რომელსაც მიმართავდა, შეეძლო მისი ვედრების შესრულება. სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით ადამიანი იგონებდა სხვადასხვა საშუალებას (რომელთა შორის იყო მეტყველება, არაერთი ცერემონიალი და სხვ.), რათა თავი შეეზღუდა მიმართვის ობიექტისთვის.

თუმცა, თუ ადამიანი ხედავდა, რომ მისი ვედრების განხორციელება ვერ ხდებოდა, იგი შეიძლება აღშფოთებულიყო კიდევ, რაც თავს იჩენდა სხვადასხვაგვარ არათავაზიან დამოკიდებულებაში მის მიმართ, ვისაც ეკუთვნოდა მისი ვედრება. ეს ყოველივე კი მიუთითებს ადამიანის გათავისუფლებაზე ყოვლის მომცველი შიშისგან. მას ემატებოდა გამბედაობა და ცდილობდა, შეეტია იმ არსებისთვის, რომლის წინაშეც აქამდე უძლური იყო. იმისათვის, რომ მისი ვედრება შესრულებულიყო, ადამიანი იწყებდა ზებუნებრივ არსებათა გაფრთხილებას, მაგრამ, რაც უფრო საეჭვო იყო სურვილთა შესრულება, მით უფრო ძლიერდებოდა ეს გაფრთხილება. ეს მომენტი კი თავს იჩენს ზოგიერთ **შელოცვაში**, რომლებიც შეიცავენ მუქარის და ბრძანების ელემენტებს, რაც მიაწინებს იმ ფაქტზე, რომ შელოცვების შინაარსი თავიდანვე განისაზღვრებოდა ადამიანის პრაქტიკული მოთხოვნით. ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული **წყევლა-კრულის** წარმოშობაც. ეს არის გარკვეული ნაბიჯი იმ მიზნის შესრულებისაკენ, რომლისთვისაც საჭიროა, რომ ადამიანის სურვილთა შემაფერხებელი ჩამოცილებულ იქნეს გზიდან. შესაბამისად, თუ ვედრებით ადამიანი მიმართავს რაღაც არსებას, რომ მან დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებანი, თუ მუქარა ამ სურვილისავე უფრო ენერგიული გამოხატულებაა, წყევლა უკვე სასჯელის გამოყენებაა მის მიმართ, რამაც შეაფერხა ამ სურვილის განხორციელება.

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ **ვედრება, მუქარა და წყევლა** ადამიანის საარსებო პირობების წიაღშია წარმოქმნილი, როდესაც ადამიანი პასიურად აღარ ექვემდებარებოდა საკუთარი ცხოვრების პირობებს. იგი **გმოზდა და კიცხავდა** მისთვის არასასურველ ობიექტს ან მის საზარალო საქციელს.

გამოცდილების შეძენის კვალდაკვალ, ადამიანი ცდილობდა მის მოწინააღმდეგეში ეპოვა ნაკლოვანებები, რომლებზე ხასგასმაც მას გადააქცევდა საშიში მოვლენიდან დასაცინ ობიექტად.

მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანმა, ასე თუ ისე, ცხადად დაინახა, რომ მისი მტერი შეუვალ არსებას არ წარმოადგენს, როდესაც ეს მტერი ადამიანმა დაკნინებული სახით წარმოიდგინა, მაშინ **გაიხსნა გზა მასზე დაცინვისათვის**. როდესაც შესაძლებელი გახდა, მოწინააღმდეგე არსება წარმოჩენილყო უმწეოდ და უსუსურად, ადამიანმა გადააბიჯა განვითარების ახალ საფეხურზე - განუმტკიცდა რწმენა საკუთარ თავში და ირწმუნა გამარჯვების. მაშინ მან დაიწყო **სატირის გამოყენება იარაღად**, რომელიც აამაღლებდა მისთვის არასასურველი ობიექტის წინაშე.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სატირა მხოლოდ თავდასხმაა ობიექტზე. სატირიკოსს თავდაცვა აღარ სჭირდება, რამდენადაც იგი ამაღლებულია ობიექტზე და მას ზემოდან დასცქერის... (გრიგოლ კიკნაძე, „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისთვის“, გვ.57, 1972).

ასე რომ, სატირის წარმოშობისა და განვითარების ხაზი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: **ვედრება - გაფრთხილება - მუქარა - წყევლა - სატირა**.

უკვე წერილობით ლიტერატურაში უნდა ვეძიოთ კომიკური სცენების განვითარების შემდგომი ელემენტები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასეთი ნიმუშების მკაფიო გამოვლენას ვერ ვხვდებით დავით გურამიშვილის, არჩილის და ბესიკის შემოქმედებამდე. ისეთ უძველეს ძეგლებში, როგორიცაა „შუშანიკის წამება“, „აბოს წამება“ ან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, არ ჩანს მოვლენათა ისეთი განვითარება, რაც კომიზმის შექმნას უნდა ემსახურებოდეს. ერთი შეხედვით, თვით თემა გამორიცხავდა ასეთი ხერხების გამოყენებას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ისეთ პერსონაჟთა მოქმედების გაკიცხვა, როგორიცაა ვარსკენი თუ აშოტ კურაპალატი, წინ არაფერი ელოდება. მიუხედავად ამისა, მწერლები მაინც თავს იკავებენ კომიკური

ხერხების გამოყენებისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი აზრით, „სატირული ტონი შეუფერებელი იყო ისეთი ფაქიზი და ამაღლებული თემისათვის, როგორიცაა სასულიერო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერა“ (გრიგოლ კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარებისათვის, 1972წ. გვ. 87).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ისეთი გენიალური ნაწარმოები, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“, არ შეიცავს კომიზმის ამსახველ მკვეთრ ტენდენციებს, თუმცა კი, მასში გაიელვებს სატირული დამოკიდებულების ამსახველი სტრიქონები.

კომიზმის მკვეთრმა ტენდენციებმა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში განსაკუთრებით იჩინეს თავი ე. წ. აღორძინების ხანიდან.

საქართველოს მე-13 საუკუნიდან მძიმე ხანა დაუდგა - გახშირდა გარეშე მტრების თავდასხმები და შემოტევები, რომელთან ბრძოლაც გაუგონარ გმირობას მოითხოვდა მშვიდობიანი მოსახლეობისგან.

ამ პერიოდის ლიტერატურაში უკვე შეიმჩნევა კომიკურად გააზრების გამოკვეთილი ტენდენციები, შესაბამისად, ამ დროის სატირაც საკმაოდ მრავალფეროვანია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია აღორძინების ხანის მწერლების **საწუთროსადმი სევდანარევი სატირული დამოკიდებულება**; ხშირად ვხვდებით ისეთ ტექსტებს, სადაც დახასიათებულია წუთისოფლის გაუტანლობა, სისასტიკე და სიბოროტე. ასეთი სატირული ტენდენციები მკაფიოდ ჩანს ისეთი მწერლების შემოქმედებაში, როგორიცაა არჩილი, დავით გურამიშვილი და ბესიკი.

მეორე და ძირითადი თემა შეეხება **საყოფაცხოვრებო სფეროს**, სატირული თვალსაზრისით არის განხილული ისეთი საყოფაცხოვრებო საკითხები, როგორიც არის ცოლისა და ქმრის ურთიერთობა (დ. გურამიშვილი, ბესიკი...), რძლისა და დედამთილის ურთიერთდამოკიდებულება, ამგვარივე მიდგომით არის განხილული ზოგიერთი პროფესია საბას არაკებში.

ძველ ქართულ ლიტერატურაში საპატიო ადგილი უკავია **ანტიპატრიოტული და ანტისაზოგადოებრივი** საქციელის წინააღმდეგ მიმართულ სატირას (სულხან-საბა, დავით გურამიშვილი, ბესიკი).

სატირულ თხზულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **ძალაუფლებისა და მაღალი წოდების წარმომადგენლებზე** შექმნილ ნაწარმოებებს, ისევე, როგორც ღვთისმსახურებზე. იმდროინდელ ქართულ მწერლობაში გაკიცხულნი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ხასიათდებიან უვიცობით, უქნარობით და თვითკმაყოფილებით.

ამ დროის ქართული ლიტერატურის ნიმუშებში გვხვდება მრავალი ხერხი, რომელთა მიზანიც კომიზმის გამოწვევაა. მათ შორისაა:

1. ბგერებითა და სიტყვებით თამაშის ხერხი
2. შედარება
3. გადაჭარბება
4. ნართაული და სხვა.

სატირულ იუმორისტული თვალსაზრისით, ქართულმა მწერლობამ ახალ ეტაპს მიაღწია მე-19 საუკუნეში. ამ ხანის ნარკვევებში ჩვენ შევხვდებით ისეთ თხზულებებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ლიტერატურის განვითარების პროცესში. აღნიშნას იმსახურებენ პოეტები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი; ამასთანავე, ისეთი ბუმბერაზი მწერლები, როგორებიც არიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, გიორგი ერისთავი.

როგორც მოყვანილი განმარტებებიდან გავიგეთ, სატირა მწერლებისათვის არის იდეალური საშუალება, გააკრიტიკონ ცალკეულ პირთა თუ, ზოგადად, საზოგადოების გონებრივი სიჩლუნგე და კორუფცია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. იგი მიზნად ისახავს, უკეთესობისაკენ შეცვალოს ადამიანთა მოდგმა. გამოგონილი პერსონაჟის წყალობით ავტორები ცდილობენ, ადამიანებს მიანიშნონ და მიახვედრონ საკუთარი სისუსტის და ნაკლოვანებების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურენოვან ნაწარმოებებში მკვეთრად გამოხატული სატირული ტენდენციები პირველად შეიმჩნევა ჯეფრი ჩოსერის (1343-1400 წ.წ.) „კენტერბერულ მოთხრობებში“.

„ოქროს ხანა“ სატირიკოსებისათვის იწყება მე-18 საუკუნიდან, რომელიც ცნობილია, როგორც ე.წ. „განმანათლებლობა“ მსოფლიოს ისტორიაში. მე-17 საუკუნის დასასრულიდან სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მეცნიერების, ფილოსოფიისა და

განათლების სფეროები - ნიუტონმა მსოფლიოს სხვა უდიდეს ასტრონომებთან, ფიზიკოსებთან და მათემატიკოსებთან ერთად მიზნად დაისახა სამყაროს აქამდე უცნობი მოვლენების ახსნა. ეპოქამ ცხოვრების მრავალ სფეროში მოიტანა სასიკეთო ძვრები. ეს ცვლილება განსაკუთრებით შეეხო ბრიტანეთის მდიდარ არისტოკრატებს. შესაბამისად, მათი მდიდრული ცხოვრების გაკრიტიკება იქცა მრავალი მწერლის შთაგონების წყაროდ (Patricia Green, "The Golden Age of Satire", გვ.61).

მაგალითად, ალექსანდერ პოუპი (1688-1744 წ.წ.) საზოგადოების ამ ნაწილს აღწერს თავის ნაწარმოებში "The Rape of Lock".

უფრო მწვავედ სატირული ტენდენციები იგრძნობა ჯონათან სვიფტის შემოქმედებაში. იგი აკრიტიკებს, როგორც ცალკეული ინდივიდებს, ასევე მთლიანად საზოგადოებრივ ყოფას.

გარკვეულწილად დაკარგა პოპულარობა სატირამ მე-19 საუკუნეში, თუმცა, მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალში“ სატირის არაერთ მაგალითს ვხვდებით. ამ ხერხს იგი იყენებდა, რათა წარმოეჩინა საკუთარი შეხედულება მონობის, ადამიანთა ბუნების თუ იმდროინდელი ამერიკული საზოგადოების შესახებ.

მე-20 საუკუნეში სატირამ კვლავ დაიბრუნა ძველი დიდება. მაგალითად, ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა“ ეფექტის გასაძლიერებლად ფანტასტიკის ელემენტებსაც შეიცავს.

იუმორი სიცილის საშუალებით ცდილობს ობიექტის სრულყოფას, განწმენდას ნაკლოვანებებისგან და სრულქმნილი სახით მის განმტკიცებას; მისი აქტიური ფორმაა გონებათაბნელობა.

გერმანელი მწერალი ჰერმან ჰესე იუმორს ასე განმარტავს: „მარტოოდენ იუმორია დიდებული გამოგონება კაცისა, ვინაც შეუბოჭავს თავის მაქსიმალიზმს, ვისაც ლამისაა ტრაგიკული ბედი ხვდომია წილად, იუმორი უბედურ, მაგრამ მაღალნიჭიერ ადამიანთა გამოგონებაა, მხოლოდ მას, კაცობრიობის ამ ყველაზე თვითმყოფადსა და გენიალურ მიღწევას ძალუძს ქმნა შეუძლებლისა. იუმორის წყალობით შეიძლება ცხოვრობდე ქვეყნად, მაგრამ შენად არ იგულვებდე ქვეყანას,

პატივს სცემდე კანონს და მაინც მასზე მაღლა იდგე. მფლობელი გერქვას, არადა „ცარიელ-ტარიელი“ იყო.

იუმორის წყალობით შეიძლება უარი თქვა რაიმეზე, მაგრამ ეს ნათქვამი უარის თქმად არ ჩაგეთვალოს, ასე რომ ამ „უზენაესი ცხოვრებისეული სიბრძნის ფრიად გავრცელებული მოთხოვნის აღსრულება მხოლოდ იუმორს ძალუძს“. ქართულ ენას აქვს კომიკური სცენების შექმნის უამრავი საშუალება. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იუმორის შექმნაცა და აღქმაც დიდ ნიჭთან არის დაკავშირებული. ერთსა და იმავე ფაქტზე, მოვლენასა თუ სურათზე სხვადასხვა ერის წარმომადგენელი განსხვავებულ რეაგირებას ახდენს. ერთისათვის თუ იუმორია, სასაცილოა, მეორისათვის - პირიქით. ასევეა მწერლობაშიც, მწერლები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იუმორის შექმნის, იუმორისტული სცენების დახატვის თვალსაზრისითაც. იუმორს საფუძვლად უდევს ადამიანთა კერძო ნაკლოვანებების შემჩნევის გამახვილებული უნარი. ესენია: ტრაბახი, კუდაბზიკობა, პირმოთნეობა, ფუქსავატობა, ცრუმორწმუნეობა, აკვიატებული სიტყვები (ბეჟან ბარდაველიძე, დავით კლდიაშვილის მხატვრული პროზა, თბილისი 1981).

იუმორის მნიშვნელობის უკეთ გასაგებად ჩამოვყალიბოთ მისთვის დამახასიათებელი თვისებები:

1. იუმორის დროს გამოიყენება, როგორც დიალოგი, ასევე - მონოლოგი;
2. სიცილს, იუმორს იწვევს აგრეთვე საგანგებოდ შერჩეული სათაურები;
3. სიტყვათა მნიშვნელობები პირდაპირი გაგებით არ იხმარება;
4. იუმორის შექმნაში მწერლებს ეხმარება საგანგებოდ შერჩეული ეპითეტები, ანდაზები, აფორიზმები, ფრთიანი გამონათქვამები;
5. ნორმისაგან შეგნებული გადახრა იუმორის მიღების ერთ-ერთი ხერხია. (მწერალი საგანგებოდ ამახინჯებს სიტყვებს ისე, რომ მკითხველთათვის ადვილად გასაგები იყოს);
6. იუმორის სამოსელი შეიძლება იყოს გახვეული მთელი ტექსტი, სტროფი ან აბზაცი;
7. იუმორი გვხვდება ყველგან (პროზაში, ლირიკაში, დრამატურგიაში, ანდაზებსა თუ გამოცანებში);

8. ზოგჯერ კარგად შერჩეული სიტყვის ახალი მნიშვნელობა იწვევს იუმორს.

იუმორი მაშინაც მიიღება, როდესაც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა მეტყველება ენაცვლება ერთმანეთს (ბუნებრივია, რომ ასეთი დიალოგის დროს აუცილებელია იმ უცხო ენის ელემენტარული ცოდნა მაინც, რომ მწერლის ჩანაფიქრი, იუმორი ბოლომდე აღვიქვათ. იუმორი უფრო და უფრო მძაფრდება, როდესაც მოსაუბრე პირებს არ ესმით ერთმანეთის და მათი დიალოგი წარმოადგენს ერთიმეორის საპირისპირო და გამომრიცხველ აზრებს (თენგიზ სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1999).

იუმორი ყველა ეპოქაში გვხვდება. მწერლები ამ მხრივ ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ზოგი მოჭარბებულად ხმარობს იუმორს, ზოგიც ზომიერად, ზოგი კი საერთოდ ერიდება. იუმორი ძალზე ამოუწურავი თემაა. ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ იუმორის დროს თხრობის სტილი არის განსხვავებული, ემოციურად დატვირთული და ექსპრესიული.

სატირისა და იუმორის ისტორიული გენეზისის გაცნობა, უდავოდ, განაპირობებს საკითხის ფართოდ და სიღრმისეულად შესწავლის ინტერესს და აუცილებლობას, განსაკუთრებით დღევანდელი ვითარების ანალიზს ამ მიმართებით. დღეს, როდესაც ხალხები და ენები ასე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ხდება კულტურული მრავალფეროვნების გამოვლინება, ძალზე **აქტუალური** ხდება საკითხთა კვლევა კონტრასტულ ჭრილში, რაც საშუალებას გვაძლევს, როგორც ცალკეული ენებისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლიობების მკვეთრად წარმოჩენას, ისე ზოგადი უნივერსალიების დადგენას. საკვლევ საკითხთა ფართო სპექტრიდან, ვფიქრობთ, დღეისათვის სწორედ სატირისა და იუმორის გადმოცემის საშუალებათა კონტრასტულ ჭრილში შესწავლა იქნება ერთ-ერთი მეცნიერულად ახალი და აქტუალური, თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე კვლევა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის მიზანია სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივი საშუალებების შესწავლა ქართული და ინგლისური ენების მასალის საფუძველზე, კერძოდ, თანამედროვე საგაზეთო-პუბლიცისტურ

ტექსტებზე დაყრდნობით, მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენა; ასევე, თარგმანებზე დაკვირვება და ახსნა იმისა, რამდენადაა შესაძლებელი ორიგინალიდან თარგმნილ ტექსტში სატირისა და იუმორის გამოხატვის შესაძლებლობის შენარჩუნება; ამ მიმართებით წარმოშობილი პრობლემების წარმოჩენა.

მიზნის მისაღწევად დასახული ძირითადი ამოცანებია:

- ❖ სატირისა და იუმორის, როგორც სტილისტიკური გამოხატვის შესაძლებლობასა და განსაზღვრებებზე მსჯელობის გაცნობა/ანალიზი ქართულსა და ინგლისურში;
- ❖ თანამედროვე საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ზოგადი დახასიათება და მათი ძირითადი თემატიკის განსაზღვრა;
- ❖ საანალიზო მასალის კლასიფიცირება და სატირისა და იუმორის გამოხატვის ენობრივი საშუალებების კონტრასტულ ჭრილში ანალიზი; თანხვედრებისა და განსხვავებების დადგენა;
- ❖ სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივ საშუალებათა ურთიერთმიმართებების დადგენა თარგმანებში; ამ მიმართებით არსებული პრობლემების, კერძოდ, უთარგმნელობის შემთხვევების გამოკვეთა;
- ❖ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ექსპერიმენტის ჩატარება იმის გასარკვევად, რამდენად სწორად, გემოვნებით და პროფესიონალურად შეუძლიათ ახალგაზრდებს სატირისა და იუმორის გამომხატველი საშუალებების თარგმნა და შესატყვისების მოძიება; ამ მიმართებით არსებული პრობლემების წარმოჩენა.

მეცნიერული სიახლე. მიუხედავად იმისა, რომ სატირისა და იუმორის შესწავლას გარკვეული ისტორია გააჩნია, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში, საკითხი არ არის სრულფასოვნად და სიღრმისეულად განხილული/გამოკვლეული, მით უფრო, ტიპოლოგიურ/კონტრასტულ ჭრილში და ასევე სხვადასხვა ტიპის ფუნქციურ ტექსტებში; კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს თანამედროვე პუბლიცისტური სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივი საშუალებების ანალიზს ქართული და ინგლისური პუბლიცისტური ტექსტების შეპირისპირების საფუძველზე; ვფიქრობთ, ნაშრომი იქნება საკითხის მონოგრაფიულად კვლევის პირველი მოკრძალებული მცდელობა.

კვლევის მეთოდები: ნაშრომის შესრულებისას ძირითადად გამოვიყენეთ კვლევის ალწერთი, ტიპოლოგიური, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, რომლებიც უაღრესად ფასეულია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად. **ალწერთი მეთოდი:** ალწერთი მეთოდი ლინგვისტიკის ყველაზე ძველი და, ამავე დროს, თანამედროვე მეთოდია. იგი ეწოდება კვლევის იმ ხერხების სისტემას, რომლებიც გამოიყენება განვითარების მოცემულ ეტაპზე ენის მოვლენათა დასახასიათებლად (კოდუხოვი, 1982: 297). ამ მეთოდის საშუალებით მოხერხდა თითოეული ენის თანამედროვე ეტაპზე არსებული ნიშანდობლივობების კლასიფიცირება და მასალის მომზადება კონტრასტული კვლევისათვის.

კვლევის ტიპოლოგიური მეთოდი: კვლევის ტიპოლოგიური მეთოდი წარმოაჩენს განმასხვავებელ, დამახასიათებელ სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ნიშან-თვისებებს, რაც ენებს ჯგუფებად აერთიანებს. ენათა ტიპოლოგიური შედარება გულისხმობს განსხვავებულ ენათა საანალიზო სტრუქტურების შეპირისპირებით ანალიზს, რაც წარმოადგენს ტიპოლოგიური ლინგვისტიკის სპეციალური დარგის - კონტრასტული ლინგვისტიკის კვლევის საგანს (კოსერიუ: 1989: 69-70; გამყრელიძე: 2003: 431-432). ამა თუ იმ საკითხის კონტრასტული კვლევა ამ მეთოდის საშუალებით განვახორციელებთ.

კვლევის შედეგად ტიპოლოგიურ ჭრილში მივიღეთ ერთიანი სურათი, რომლის შედეგად დადგინდა ურთიერთმიმართებანი, გამოვლინდა ორი განსხვავებული სისტემის მქონე ენისათვის დამახასიათებელი ზოგადი უნივერსალიები, საერთო და განსხვავებული ნიშან-თვისებები.

კვლევის **თვისებრივი მეთოდით** შევეცადეთ, გაგვეანალიზებინა თითოეული ენის პუბლიცისტურ დისკურსში სატირისა და იუმორის გამოხატვის საშუალებათა გამომწვევი მიზეზები.

კვლევის **რაოდენობრივი მეთოდი** დაგვცხმარა ქართულ და ინგლისურ საანალიზო წყაროებში მოძიებული მასალის რაოდენობრივ შედარებასა და პროცენტული მაჩვენებლების დადგენაში.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: ნაშრომს, უდავოდ, ექნება თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. თეორიული იმდენად, რამდენადაც კვლევის შედეგად

მივიღებთ თეორიულ მონოგრაფიულ ნაშრომს სატირისა და იუმორის ენობრივი გამოხატვის საკითხებზე კონტრასტულ ჭრილში, რაც პრაქტიკულად, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოდ სალექციო კურსებსა (საკითხის თეორიული განხილვა–ანალიზი) თუ სასემინარო/პრაქტიკულ საქმიანობაში. ნაშრომი საინტერესო იქნება თარგმანით დაინტერესებული პირებისთვისაც, რადგან, შეიძლება ითქვას, რომ ის შეცდომები/გაუგებრობები/შეუსაბამოებები, რომლებიც თავს იჩენს ინგლისურ-ქართულ ან ქართულ-ინგლისურ თარგმანებში, უთუოდ, ამა თუ იმ ენის ბუნების/ნიშანდობლიობების არცოდნის შედეგია.

ამდენად, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საგულისხმო იქნება არა მხოლოდ სატირისა და იუმორის სრულფასოვანი სურათის შესაქმნელად, არამედ, ზოგადად, ენათმეცნიერების სიღრმისეული შესწავლის თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს ფოლოლოგიის, როგორც დარგის, შემდგომ განვითარებას.

საანალიზო წყაროები: გარდა თეორიული სამეცნიერო ლიტერატურისა, საკვლევ/საანალიზო მასალად შევარჩიეთ თანამედროვე ქართული და ინგლისური საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტები. კერძოდ: კვირის პალიტრა; ქრონიკა +; ასავალ-დასავალი; პალიტრა + ; The telegraph; Evening Standards; The Morning Call ; The New York Times; Express; The Gardian.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. იგი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან და შეადგენს **152** ნაბეჭდ გვერდს. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა, საანალიზო წყაროები, ინტერნეტმასალის ელექტრონული ვებ-გვერდები; ნაშრომში ასახულია დიაგრამები, სადაც წარმოდგენილია საილუსტრაციო ემპირიული მასალის მაჩვენებლები.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია საკვლევ საკითხის მოკლე ისტორია; განსაზღვრულია კვლევის მიზნები, ამოცანები და მეთოდები; დასაბუთებულია აქტუალობა, გამოკვეთილია სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

ნაშრომის პირველი თავი ეხება სატირისა და იუმორის, როგორც სტილისტიკური გამოხატვის შესაძლებლობასა და განსაზღვრებაზე მსჯელობას

ქართულსა და ინგლისურში; ამავე თავში მიმოხილულია ზოგადად სატირისა და იუმორის გადმოცემის ძირითადი ენობრივი საშუალებები და ძირითადი თემატიკა შეპირისპირებით ჭრილში.

მეორე თავი, ასევე, კონტრასტულ ჭრილში, მთლიანად მოიცავს თანამედროვე საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტების სატირასა და იუმორს. დახასიათებულია საგაზეთო-პუბლიცისტური სტილი; განხილულია მათი ძირითადი თემატიკა, საგაზეთო სათაურები და სატირისა და იუმორის გამოხატვის ენობრივი საშუალებები საგაზეთო-პუბლიცისტურ ტექსტებში.

მესამე თავი ეძღვნება სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივ საშუალებათა ურთიერთმიმართებებს თარგმანებში. კერძოდ, დადგენილია თანხვედრები და განსხვავებები; გამოკვეთილია ამ მიმართებით არსებული პრობლემები, კერძოდ, უთარგმნელობის შემთხვევები. ამავე თავის ერთი პარაგრაფი ეთმობა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ჩატარულ ექსპერიმენტს.

საგაზეთო სტატიების თარგმანი ე.წ. ჟურნალისტური თარგმანი შედარებით ახალი მიმართულებაა თარგმანთმცოდნეობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ ტიპის თარგმანს ბევრი გამოწვევა აქვს და მთარგმნელიც, შესაბამისად, დიდი გულისყურით უნდა ეკიდებოდეს თითოეული საგაზეთო ტექსტის თარგმნას.

კვლევის პროცესში მოძიებულია სატირისა და იუმორის შემცველი არაერთი ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საგაზეთო სტატია, იმის დასადგენად, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება საგაზეთო სტატიების ტექსტები და რა ინსტრუმენტებითა თუ საშუალებებით ხდება ამ თავისებურებების გადატანა თარგმანში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ფოკუსი უმთავრესად სატირისა და იუმორის ტრანსფორმაციაზე ხდება თარგმანის პროცესში.

ჟურნალ-გაზეთებში უხვად არის ისეთი პასაჟები, რომლებიც სერიოზულ სირთულეებს უქმნის მთარგმნელს თარგმნის პროცესში. სტატიის ავტორები ხშირად მიმართავენ მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ექპრესიულობით ტვირთავს, როგორც სათაურს, ისე სტატიის ტექსტებს. შესაბამისად, ექპრესიულად გაძლიერებული პასაჟები

გარკვეულ გამოწვევებს უქმნის მთარგმნელს ნათქვამის სწორ ტრანსფორმაციაში ერთი ენიდან მეორეზე.

რაც შეეხება, უშუალოდ სატირისა და იუმორის გადმოტანის საკითხს საგაზეთო სტატიების დონეზე, აქ სიტუაცია კიდევ უფრო რთულადაა, ვინაიდან მთარგმნელი დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ საკითხს, ჩაწვდეს მთავარ აზრს და შეეცადოს ნათქვამი იმავე სატირულ-იუმორისტული შეფერილობით გადმოიტანოს, როგორც ეს დედან ტექსტშია დაცული.

მთარგმნელები ხშირად დიდი გამოწვევების წინაშე დგებიან სატირისა და იუმორის თარგმნისას. მაგრამ აქაც არის გარკვეული გაბსხვავებები ორი ენის დონეზე (ქართული და ინგლისური).

ინგლისურიდან ქართულად გადმოთარგმნას შედარებით ნაკლები ძალისხმევა სჭირდება, ვინაიდან ინგლისურენოვან ჟურნალ-გაზეთებში სატირა და იუმორი, ძირითადად, შინაარსობრივ (სემანტიკურ) დონეზეა დაყვანილი. შინაარსის ტრანსფორმირება კი გაცილებით ადვილია.

რაც შეეხება ქართული საგაზეთო სტატიებიდან სატირისა და იუმორის პასაჟების გადატანას ინგლისურში, აქ საქმე უფრო რთულადაა, რადგან ისინი გადმოცემულია არა მარტო სემანტიკურ, არამედ გრაფიკულ, მორფოლოგიურ, სტილისტურ და სოციო-კულტურულ დონეზე. ამ ყველაფერს კი, ზოგჯერ, უთარგმნელობის პრობლემამდეც კი მივყავართ.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, საკვლევი თემის ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების ვალიდურობისა და სანდოობის მიზნით, გადაწყდა ექსპერიმენტის ჩატარება. შესაბამისად, ცალკე პარაგრაფი დაეთმო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ჩატარულ ექსპერიმენტს, რომლითაც შევეცადეთ, გაგვეჩვენა, რამდენად სწორად, გემოვნებით და პროფესიონალურად შეძლებდნენ ახალგაზრდები სატირისა და იუმორის გამომხატველი საშუალებების თარგმნას და შესატყვისების მოძიებას. ექსპერიმენტი დაგვეხმარა ამ მიმართებით არსებული პრობლემების გამოკვეთაში.

ექსპერიმენტი ჩატარდა ეთიკის ყველა ნორმის დაცვით. სამიზნე ობიექტები წინასწარ იქნენ ინფორმირებულნი ექსპერიმენტის შესახებ. მათ მიეწოდათ მაქსიმალური

ინფორმაცია ჩვენი სადისერტაციო კვლევის გარშემო. შესაბამისად, ექპერიმენტში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. ამავე დროს, მათ წინასწარ იცოდნენ, რომ ნამუშევრები ანონიმური დარჩებოდა და, არავითარ შემთხვევაში, არ იმოქმედებდა მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალურად ყველა სტუდენტი ჩაერთო კვლევაში.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები, საკვლევი საკითხის შესახებ დასმული პრობლემების ანალიზი.

I თავი

სატირა და იუმორი, როგორც სტილისტიკური გამოხატვის შესაძლებლობა

§1. სატირისა და იუმორის განსაზღვრებისათვის ქართულში

როგორც ნაშრომის შესავალში აღვნიშნეთ, სატირა და იუმორი ის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რომელიც შესანიშნავად/მკაფიოდ ასახავს საზოგადოებაში არსებულ ჭიდილსა და ბრძოლას. მათი მეშვეობით თავისებურად, თუმცა, არანაკლებ მწვავედ და გამანადგურებლადაც კი, სხვა საშუალებებთან შედარებით, ხერხდება ობიექტზე თავდასხმა, დაცინვა, გაცამტვერება, უვარგისობის გამომჟღავნება (გრ. კიკნაძე, 1972: 5). სწორედ სატირისა და იუმორის უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოცემულ პარაგრაფში მოკლედ/ზოგადად მიმოვიხილავთ სატირისა და იუმორის ირგვლივ/შესახებ არსებულ ტრადიციულ განსაზღვრება-დახასიათებებს.

იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ სატირაც და იუმორიც გამოხატავს დაცინვას, ორივე მათგანი ტრადიციულად ერთმანეთთანაა თავიდანვე დაკავშირებული. ჩვეულებრივ, ყოველი დაცინვა რაიმე მოვლენისადმი/ფაქტისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოაშკარავებაა და/რის შედეგადაც ეს ფაქტი/მოვლენა ნაკლებ ფასეულად, ან ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულად მიიჩნევა. აქ, რა თქმა უნდა, უმთავრესია, რამდენად მწვავედ გამოიხატება მოვლენისა თუ ფაქტის (ობიექტის) მანკიერება (უარყოფითობა). ამის მიხედვით ჩვენ საქმე გვაქვს მეტად ან ნაკლებად მწვავე დაცინვასთან. სწორედამგვარად ჩამოყალიბებული აზრის თანახმად, დაცინვის სიმწვავის ხარისხს შეეფერება სატირისა და იუმორის სახელწოდება: „მწვავე დაცინვა სატირას წარმოადგენს, ხოლო მისი შენელებული გამოსახულება იუმორის სახით გვეძლევა“ (გრ. კიკნაძე, 1972: 14). ე.ი. ავტორის ობიექტისადმი დამოკიდებულების სიმკაცრის ხარისხი განასხვავებს უპირველესად

სატირასა და იუმორს. სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ „თუ ეს დამოკიდებულება ერთობ მკაცრი და აბუჩად ამგდებია, მაშინ იგი სატირულია, ხოლო თუ გაკიცხვას თანაგრძნობაც ახლავს, მაშინ იგი იუმორისტულად უნდა მივიჩნიოთ“ (გრ. კიკნაძე, 1972: 14).

იუმორისა და სატირის შესახებ მსგავს განმარტებებს გვთავაზობენ: ლიპსი, იონას კონი, მიულერ-ფრაიფელსი, ტიმოფეევი და სხვები. ყველა მათგანის აზრით, იუმორი სატირის შერბილებულ ფორმას წარმოადგენს.

აღნიშნული განმარტებების თანახმად, სატირის მიზნად დაცინვის გზით ობიექტის სრული განადგურება განისაზღვრება, ხოლო იუმორის შემთხვევაში დაცინვაში მჟღავნდება სიბრალული, შეწყნარება, თანაგრძნობა ობიექტისადმი, თუმცა, კვლავ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ორივე მათგანს დაცინვა აერთიანებს (დაცინვა უდევს საფუძვლად) და სწორედ ამიტომ ერთ რანგში არიან და მათ შორის „მიჯნის დადება ყოველთვის არ არის ადვილი: სატირა ადვილად გადადის იუმორში და პირიქით, იუმორი ადვილად ღებულობს სატირის სახეს. უთუოდ ამით აიხსნება, რომ სატირისა და იუმორის ცნებები, ზოგჯერ, ერთი მეორეს ენაცვლებიან და ურთიერთს ფარავენ. ეს განსაკუთრებით ხდება მაშინ, როდესაც ნაკლებ მწვავე სატირისა და მკვეთრი იუმორის ნიმუშებს ვადარებთ ურთიერთს“ (გრ. კიკნაძე, 1972: 16). ამგვარი განსაზღვრებისას (იუმორი სიცილ-ტირილს გვიდგენს, ხოლო სატირა კი მხოლოდ დაგმობას შეიცავს) ხშირად ხალხურ მითოლოგიასაც იშველიებენ, მაგალითად, ლაცარუსის მიერ გადმოცემული მითის თანახმად, „ღამით, ტყეში, ურთიერთს შეხვდნენ „სიხარული“ და „მწუხარება“. აქ ისინი შეუღლდნენ, რადგან სიბნელეში ერთმანეთი ვერ იცნეს. ამის შედეგად დაიბადა ვაჟი, რომელიც ერთი თვალით იცინოდა, ხოლო მეორეთი კი ტიროდა. სწორედ მითის ამ ვაჟში ხედავდნენ იუმორის თავისებურების შესახებ ხალხის წარმოდგენის განსახიერებას“ (გრ. კიკნაძე, 1972: 16).

თუმცა, ლიტერატურაში არსებობს სხვაგვარი დამოკიდებულებაც. მიუთითებენ, რომ იუმორის წარმოშობა ადამიანის განვითარების გარკვეულ დონეს - უფრო მაღალ საფეხურს უკავშირდება, რომ „კომიკურის წვდომა ესთეტიკური განათლების მწვერვალია“. რომ ძველი დროის მწერლებისათვის უცხო იყო იუმორის ცნება. „ისინი

ანსხვავებდნენ კომიკურს, სასაცილოს ტრაგიკულისაგან, მათ ესმოდათ გესლიანი, მძვინვარე სატირული სიცილი, მაგრამ მათ არ იცოდნენ ცრემლ-ნარევი სიცილი, არ იცოდნენ სევდიანი იერის მქონე გულკეთილი სიცილი, რაც ახალი დროის იუმორისტებს ახასიათებთ“ (M. Dessoir: 225; გრ. კიკნაძე, 1972: 17). ყურადღება გასამახვილებელია იუმორის ბუნების ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ ხასიათზე (პოსპელოვიცი:188). რადგანაც იუმორი არის გარკვეული დამოკიდებულების დამყარება მთლიანად სამყაროსთან, ამიტომ იგი გულისხმობს ადამიანის განვითარების მაღალ საფეხურს - როცა, მოვლენის მრავალმხრივი ანალიზის შედეგად, ადამიანს უჩნდება საკუთარ თავზე მაღლა დადგომის უნარი. ასეთ დროს იუმორის ფუნქციაა ყურადღების სხვა მომენტებზე გადატანა, რაც ერთგვარად განაპირობებს ადამიანის მძიმე სულიერი ტვირთისაგან გათავისუფლებას (მწვავე და მტკივნეული განცდებისაგან განთავისუფლებას), იუმორის გრძნობა „იწვევს სიცოცხლის გაადვილებას, ხელს უწყობს „მძიმე წუთების გადატანას“ (გრ. კიკნაძე, 1972: 18). ცალსახადაა აღიარებული ისიც, რომ იუმორის ქონა ადამიანის პიროვნების სიძლიერის მიმანიშნებელია, ყველას თვალში მაღლდება ის ადამიანი, რომელსაც იუმორის გრძნობა ახასიათებს. დიახ, როდესაც ადამიანი დასცინის საკუთარ შეცდომას (საკუთარ თავს), ამით იგი უკვე ასწორებს მას; როდესაც ადამიანი ღიმილით ძლევს მათ და ერევა, ახერხებს დამცინავი ტონით საკუთარი საქციელის შეფასებას, ამით, უდავოდ, ქმნის საფუძველს თავის თავზე ამაღლებისათვის.

ამდენად, ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე, სატირისა და იუმორის ზემოქმედების ძალა შეუდარებელია და ცალსახად მიანიშნებს მხატვრული ასახვის ამ საშუალებათა დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე (გრ. კიკნაძე, 1972: 19).

ჩვენი დამოკიდებულება ცალსახად თანხვდება და სრულად ვიზიარებთ იუმორისა და სატირის განსაზღვრებების შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომლის თანახმადაც:

1. სატირას და იუმორს აქვთ საერთო საფუძველი, რამდენადაც ისინი გამოხატულებას პოულობენ დაცინვაში. სატირა მწვავე დაცინვაა და ობიექტის განადგურებას ისახავს მიზნად; იუმორი კი უფრო ლმობიერად ექცევა თავის ობიექტს და ამ დაცინვის უფრო რბილ ფორმას წარმოადგენს;
2. სატირა იუმორთან შედარებით ისტორიულად უფრო ადრეული წარმონაქმნია;

3. იუმორი ახალი საუკუნეების პროდუქტია;
4. იუმორი თავისი ბუნებით ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ხასიათისაა და მისი არსებობა მიუთითებს ადამიანის „ამაღლებაზე“. „ბავშვსა და გრძნობებმოუმწიფებელ ადამიანს უძნელდება იუმორის წვდომა, იუმორის ნამდვილი გაგება ადამიანის სულიერი განვითარების მომწიფებას საჭიროებს“.

ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს ზემოთ მოცემული განსაზღვრებების საკმარისობაზე ან განსხვავებების ხარისხზე მსჯელობა. ჩვენ, შეძლებისდაგვარად, ზოგადად მიმოვიხილეთ არსებული განსაზღვრებები და განსხვავებები სატირისა და იუმორის შესახებ, რაც, ვფიქრობთ, საკითხის არსის სიღრმისეულ წვდომაში, დასახული მიზნის მიღწევასა და ამოცანების სწორად გადაჭრაში უთუოდ დაგვეხმარება.

§2. სატირისა და იუმორის განსაზღვრებისათვის ინგლისურში

იუმორი, სატირა და ირონია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც არსებობს. როგორც კრიტიკის ფორმა, სატირა იყენებს იუმორს მისი მიზნების განხორციელებისათვის. იუმორი მოქმედების, ზეპირი თუ წერიტი მეტყველების ერთ-ერთი მახასიათებელია, რომელიც იწვევს მხიარულებას (Keenoy, 2012). ვაისგერბერის (Weisgerber, 1973) თანახმად, სატირა უფრო ლიტერატურული ჟანრია, ირონია - რიტორიკული იარაღი/ინსტრუმენტი, ხოლო იუმორი კი სუბსტანციაა.

მნიშვნელოვანი როლი აკისრია იუმორს საზოგადოებაში და მისი გამოხატვის ფორმებიც არაერთგვაროვანია დაწყებული პოლიტიკური სატირიდან, დამთავრებული ჩვეულებრივი სახუმარო გამონათქვამებით. სატირისაგან განსხვავებით, იუმორი კეთილი ხუმრობაა, რომელიც ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, განთავისუფლდეს ავი ზრახვებისაგან თუ ცრუ შეხედულებებისგან. იუმორი ადამიანების გუნება-განწყობაზე დადებითად მოქმედებს. იუმორის მიზანი და საბოლოო შედეგია ადამიანთა ნააზრევისათვის მატერიალური ფორმის მიცემა

(http://www.linguistics.ucsb.edu/sites/secure.lsit.ucsb.edu.ling.d7/files/sitefiles/research/papers/18/Cisneros.et_.al_vol18.pdf).

ალისონ როსის (Ross.A., 2005) მიხედვით, იუმორის ქვეშ მოიაზრება ის, რაც ადამიანს გააცინებს ან ღიმილს მოჰგვრის. იუმორი წერითი თუ ზეპირი მეტყველების ისეთი თვისებაა, რომელიც თავისთავად იწვევს გართობასა და სიამოვნებას (Keenoy, 2012). ის, ძირითადად, კომიკური ხასიათისაა და მსმენელსა თუ მკითხველში იწვევს სიცილს. იუმორი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მხატვრული ხერხია, რომელიც განსაკუთრებულ ელფერს სძენს ტექსტს და სიხალისეს ჰმატებს მკითხველს.

იუმორი შეიძლება ჩაითვალოს როგორც უნარი, რომლის საშუალებითაც ხდება სახუმარო, კომიკური თუ გასართობი მოვლენების აღქმა, მიღება, დაფასება და გამოხატვა, რომელიც უმთავრესად სიკეთესთან, ზოგჯერ კი პათოსთანაც კი ასოცირდება და რომელიც მსმენელში სიმპათიასა და გართობის შეგრძნებებს იწვევს. იუმორი ხშირად ცხოვრებაში პრობლემის გადაწყვეტის საშუალებადაც გვევლინება, რომელიც ყოველდღიურ ერთფეროვან ცხოვრებას ამდიდრებს და ალამაზებს (Pal Dibakar, 2010, On Humor and Satire; <file:///C:/Users/user/Downloads/SSRN-id1661518.pdf> მოძიებულია 27.05.2018).

თავისებური ინდივიდუალური ეფექტიც გააჩნია იუმორს - როდესაც ადამიანი სხვაზე იცინის, ამავედროულად, ის თავის თავზეც იცინის, რადგან იუმორი თავის თავში მოიაზრებს ხუმრობას.

იუმორთან მიმართებებში გამონაკლისებიც არსებობს. არის ისეთი სიტუაციები, როდესაც ტექსტი (ვერბალური/წერილობითი) იუმორისტული ხასიათისაა, თუმცა ადამიანებში არ იწვევს ღიმილს ან სიცილს. ან პირიქით, ადამიანები რაღაც დეტალზე იცინიან, თუმცა ვიღაცისთვის ეს შეიძლება საერთოდ არ იყოს სასაცილო. ღიმილი ან სიცილი, შესაძლოა, შიშის ან უხერხულობა/სიმორცხვის გამოხატვის ფორმა იყოს კონკრეტულ შემთხვევაში. ყოველივე ამის მიუხედავად, საპასუხო ქმედება ყველაზე კარგი დამადასტურებელია იმისა, ტექსტი რამდენად არის იუმორისტული ხასიათის. ენის საშუალებით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რატომ იცინის ხალხი (Ross, A., 2005: 1).

განარჩევენ იუმორის ორ სახეს: ვერბალურსა და არავერბალურს.

ვერბალური იუმორი თავს იჩენს, როგორც წერილობით, ისე ზეპირ ტექსტებში, ხოლო არავერბალურ იუმორს სიტუაციური და ვიზუალური სახე აქვს. ვერბალური იუმორი ლინგვისტური მოვლენაა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს მიკრო თუ მაკრო ტექსტის შელამაზება და სასიამოვნო ელფერით შემოსვა.

ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში, აგრეთვე, ვხვდებით იუმორის სხვა კლასიფიკაციებსაც. ფეიგელსონი (Feigelson, 1989) განასხვავებს შემდეგი ტიპის იუმორს: კალამბური (სიტყვათა თამაში), ფარსი (მსუბუქი კომედია), ხუმრობა და ანეგდოტი. ნორიკი (Norrick, 1993 & 1994) გვთავაზობს იუმორის შემდეგ ტიპებს: სარკაზმი, ირონია, სატირა და სიტყვათა თამაში და ამტკიცებს, რომ კალამბურები და იუმორის სხვა სახეობები, როგორიცაა ალუზია, სპუნერიზმი (სიტყვათა თამაშის ერთ-ერთი სახე, სადაც ხდება თანხმოვნების, ხმოვნების, მორფემების ტრანსპოზიცია, უნებლიე გადართვა ძირითადად წინადადების დასაწყისში, რასაც თან ახლავს კომიკური ეფექტი), მეტაფორა და ჰიპერბოლა, შესაძლოა, გაერთიანდეს სიტყვათა თამაშის საერთო კატეგორიაში.

თანამედროვე გლობალურ სამყაროში, პოლიტიკური ელიტისა და მასების ურთერთმიმარეთებების ფონზე, განსაკუთრებით იმდღავრა პოლიტიკურმა იუმორმა, რომელიც ერთგვარი კრიტიკული რეაქციაა ხალხის მხრიდან პოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებაში. პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, იუმორი პოლიტიკური პროცესების განუყოფელი ნაწილი გახდა.

იუმორის მსგავსად, სატირა კიდევ ერთი მძლავრი იარაღია პოლიტიკურ დისკურსში რეალიზმის/ყოველდღიური ყოფისა თუ ვითარების რეალური სურათის წარმოსაჩენად.

სატირა და იუმორი კარგი საშუალებაა ცხოვრებისეული მოვლენების გამოხატვის საქმეში. სატირა ის მძლავრი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ხშირად ხდება მანკიერი მხარეების გამომჟღავნება, ვისამე გამიზნული დაცინვა და განადგურებაც კი.

სატირის სინონიმად გვევლინება ირონია. შესაბამისად, სატირაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით ირონიის განსაზღვრებას, მის მახასიათებლებსა და ფუნქციას. პრაქტიკულად სატირა და იუმორი ერთ საქმეს ემსახურება, სხვადასხვა გადატანითი საშუალებით, მაგრამ მკაფიოდ ასახოს მწვავე ცხოვრებისეული მოვლენები.

არსებობს ირონიის სამი ტიპი: **ვერბალური, სიტუაციური და დრამატული.**

ვერბალური ირონიის შემთხვევაში, ირონია გამოხატავს იმისგან განსხვავებულს, რასაც მოქმელი უშუალოდ ამბობს (Fell, 2013). გასხვავებით ირონიის სხვა დანარჩენი ტიპებისგან, ვერბალური ირონია განზრახული ქმედებაა მოქმელის მხრიდან. ის თავს იჩენს დიალოგში ან დისკურსში ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოქმელს სურს თავისი ნათქვამი იქნეს გაგებული საპირისპიროდ იმისა, რასაც ის რეალურად იძახის.

რაც შეეხება **სიტუაციურ ირონიას**, ის თავს იჩენს მაშინ, როდესაც საბოლოო დასასრული სრულიად განსხვავებულია იმისგან, რაც მოსალოდნელი იყო (Claire, 2004). როგორც წესი, ნებისმიერ ეპიზოდს განვითარების ეტაპზე სავარაუდო დასასრული აქვს. ისეთ შემთხვევაში, თუ ეს პროგნოზირებული დასასრული არ მართლდება და დასასრული სრულიად სხვა სახეს იღებს, ასეთი ტიპის დასასრულს უწოდებენ სიტუაციურ ირონიას.

დრამატული ირონია თავს იჩენს მაშინ, როდესაც ლიტერატურული ტექსტის მოქმედი გმირების მხრიდან წამოსულ სიტყვებსა თუ ქმედებებს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მკითხველისთვის, ანუ მოცემულ შემთხვევაში მკითხველმა გაცილებით მეტი იცის კონკრეტული გმირის შესახებ, ვიდრე თავად ამ ლიტერატურულმა თუ დრამატურგიულმა გმირმა (Hutcheon, 1992). მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიშველიოთ შექსპირის ტრაგედიებიდან მაკბეტი.

მიუკი (Muecke, 1982) განასხვავებს ირონიის ორ კლასს: აშკარა/შესამჩნევი ირონია (observable irony) და ინსტრუმენტული (instrumental irony). ინსტრუმენტული ირონიის შემთხვევაში ადამიანი ხვდება მთავარ მიზეზს, თუ რატომ გამოიყენება ირონია მოცემულ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც აშკარა/შესამჩნევი ირონია შეიძლება იყოს განუზრახავი/წინასწარ დაუგეგმავი, თუმცა მაინც რეპრეზენტაციული.

ვალიტუტის (Valitutti [169) მიხედვით, ირონია რამდენიმე თეორიით შეიძლება იქნეს ახსნილი:

- 1) **უპირატესობის თეორია (Superiority Theory).** ამ მოსაზრების თანახმად, თავშესაქცევი/სამხიარულო მოვლენა, შეიძლება, გამოწვეული იყოს სხვების უიღბლობით. სწორედ ეს ფაქტი პოეზებს ასახვას უპირატესობის ფენომენში. ამ თეორიის მხარდამჭერნი იყვნენ პლატონი, არისტოტელე და ჰობსი.
- 2) **შვების/შემსუბუქების თეორია (Relief Theory).** ეს თეორია შექმნილია ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ვარაუდზე დაყრდნობით, იუმორის ბუნებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, თუ რა ზეგავლენას ახდენს ეს უკანასკნელი ადამიანის გუნება-განწყობაზე და, თუ როგორ ხდება ნეგატიური ენერგიისგან დაცლა. ამ მოსაზრების მიმდევრებად ითვლებიან ფროიდი, მინდესი და სტივენ ფრაი.
- 3) **შეუსატყვისობის თეორია (Incongruity Theory).** ეს თეორია უფრო ლინგვისტურ თეორიად შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, იუმორი უფრო ეფუძნება რაღაც შეუსაბამოს გაცნობიერებას - იმას, რაც არღვევს ჩვენს გონებრივ/მენტალურ ხატებს და მოლოდინებს.

„პოეზიისა და პოეტიკის პრინსტონის ახალი ენციკლოპედიის“ თანახმად, პრემინგერი და ბროგანი (Preminger and Brogan, 1993: 633) განიხილავენ ირონიის შემდეგ ტიპებს: კლასიკური, რომანტიკული, ტრაგიკული, დრამატული, ვერბალური, სიტუაციური და პოეტური. თუმცა, არსებობს ირონიის სხვა კლასიფიკაციაც, რომლის ავტორადაც სკოტი გვევლინება (Scott, 2004):

- 1) **სოკრატისეული ირონია (Socratic Irony)** - როგორც უმანკოებისა და უმეცრების დაფარვის მცდელობა;
- 2) **დრამატული და ტრაგიკული ირონია (Dramatic or tragic Irony)**- ორმაგი ხედვაა იმისა, თუ რა ხდება ხელოვნებასა და რეალურ ცხოვრებაში. ატარდოს (Attardo, 1994) თანახმად, დრამატულ ირონიას ადგილი აქვს ისეთ შემთხვევაში, როდესაც

მკითხველმა ან მაყურებელმა (ფილმის) უფრო მეტი იცის მხატვრული გმირის შესახებ, ვიდრე თავად გმირმა;

- 3) ლინგვისტური ირონია (Linguistic Irony) - არის ორი ლოგიკური ფასეულობის რეალიზება: ლექსიკა და კონტექსტი (ეს ტიპი ირონიის კლასიკურ ფორმას წარმოადგენს);
- 4) სტრუქტურული ირონია (Structural Irony) - როდესაც გულუბრყვილო პროტაგონისტი/მთავარი გმირი ახდენს მოვლენების ინტერპრეტირებას ავტორის ვერსიისგან განსხვავებულს;
- 5) კოსმიური ირონია (Cosmic irony) - რომელიც განიხილავს მწარედ გაცრუებული ხალხის ნააზრევს/მოსაზრებებს;
- 6) რომანტიული ირონია (Romantic irony) - ირონიის ისეთი სახეა, როდესაც ტექსტის ავტორი მკითხველს აიძულებს გაიზიაროს ის, თუ რა ხდება მონათხრობში/ტექსტში.

ვეისტგერბერი (Weisgerber, 1973) სატირას განიხილავს, როგორც ლიტერატურულ ჟანრს, რომლის რიტორიკულ ინსტრუმენტს წარმოადგენს ირონია. ამასთანავე, სატირას იუმორისტული ელფერიც დაჰკრავს, რომლის უმთავრეს მიზანს კონსტრუქციული, სოციალური კრიტიკის შექმნა წარმოადგენს, სადაც აქტიურად მიმართავენ მახვილგონიერებას, იმისათვის, რომ მოხდეს საზოგადოების აზრის ფოკუსირება რაიმე მწვავე და კონკრეტულ საკითხზე.

ძლიერი ირონია და სარკაზმი (სატირაში ირონია კონფრონტაციულია) სატირის ზოგად თვისებას წარმოადგენს, თუმცა, პაროდია, ბურლესკი, გაზვიადება, შეპირისპირება, შედარება, ანალოგია და ორაზროვნებაც ხშირად იჩენს თავს სატირული ჟანრის ზეპირ მეტყველებასა და წერილობით ტექსტებში, რათა შექმნას იუმორის გრძნობა, იმისათვის, რომ მოხდეს მწვავე კრიტიკის ერთგვარი დახვეწა/დაწმენდა, რომელიც საზოგადოებისათვის უფრო მისაღები გახდება (Singh, 2012). დღესდღეობით, სატირა უხვად გვხვდება ლიტერატურაში, დრამატურგიაში, სატელევიზიო შოუებში, მედიასა თუ სოციალურ ქსელებში.

სატირა ერთგვარი ტექნიკაა, რომელსაც მწერალი/ტექსტის ავტორი იყენებს ცალკეული პიროვნებებისა თუ საზოგადოების მანკიერი თვისებების, უგუნური

საქციელისა და კორუფციის გამოსამჟღავნებლად. ამისათვის, იგი მიმართავს ირონიისა და გაზვიადების სტილისტურ ხერხებს, რათა ნათქვამმა იუმორისტული ელფერი შეჰმატოს (Wilox, 2000).

განასხვავებენ ორი ტიპის სატირას:

- 1) **ჰორაციუსეული სატირა** - რომელიც უფრო შემწყნარებლური, დახვეწილი, გონებამახვილურია და ძირითადად მიმართავს იუმორის გამოყენების სტრატეგიას (Leyburn, 2015).
- 2) **იუვენალუსიული სატირა** - რომელიც უფრო მწვავე, ღვარძლიანი, ულმობელი და გაცილებით სერიოზულია. იგი მიმართულია სოციალური მანკიერი მხარეების გამოაშკარავებისაკენ. შესაბამისად, სატირის ეს ფორმა გაცილებით პესიმისტურია, რომელიც ხასიათდება მწვავე ირონიით, სარკაზმით, მორალური გულისწყრომით/აღშფოთებით, ლანძღვა-გინებით, რომელსაც ნაკლებად თუ დასდევს იუმორის ელფერი.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სატირულ-იუმორისტული ვერბალური ტექსტები თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მათ უხვად ვხვდებით, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე პუბლიცისტურ ჟანრში (მასმედიაში). ეს, თითქოს, იმას მიანიშნებს, რომ ადამიანი ყოველდღიურ მონოტონურ-რუტინულ ცხოვრებას იუმორის მეშვეობით ილამაზებს.

იუმორი ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებთან პირდაპირ კავშირშია, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანმა ნებისმიერი ყოფითი მოვლნები და ფაქტები იუმორისტულ ჭრილში აღიქვას და გადმოსცეს. თუმცა, ეს არც თუ ისე ადვილია. ამიტომ, ზოგ ადამიანს განსაკუთრებით კარგად გამოსდის ნათქვამის შელამაზება/დატვირთვა იუმორისტული ელფერით, ზოგს ნაკლებად. ამას მოწმობს **ჯორჯ ბერნარდ შოუს** გენიალური გამონათქვამი „**There is no more dangerous symptom than a temptation to write about wit and humour**“ („იმაზე მეტი სახიფათო რა უნდა არსებობდეს, ვიდრე წერო მახვილგონიერებისა და იუმორის შესახებ“, - თარგმანი ჩვენია).

იუმორი სატირისა და ირონიის გარეშე არ არსებობს. თუ იუმორი ნათქვამის ესთეტიურად შელამაზებული ფორმაა, რომელიც მსმენელში ღიმილსა და სიხალისეს იწვევს, სატირა და ირონია უფრო აგრესიული ფორმაა, რომელიც რეალურ ფაქტებსა და მოვლენებს მწვავე იუმორის წყალობით გადმოსცემს. იგი, ერთგვარად, აფხიზლებს საზოგადოებას და სწორ გზაზე აყენებს მას. შესაბამისად, სატირა საზოგადოებაზე მძლავრი ზეგავლენის ინსტრუმენტად შეიძლება ჩაითვალოს.

§3. სატირისა და იუმორის გადმოცემის ძირითადი ენობრივი

საშუალებები ქართულში

იუმორისა და სატირის გენეზისისა და განსაზღვრებების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მათ ისტორიას ფესვები შორეულ წარსულში მოეპოვება, რაც, უდავოდ, განაპირობებს მათი შესწავლის მრავალწახნაგოვნებას - ეტაპების, თემატიკისა თუ ენობრივი გამოხატულების თვალსაზრისით.

მოცემულ პარაგრაფში შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, ზოგადად მიმოვიხილოთ და ერთგვარად შევაჯამოთ სატირისა და იუმორის გადმოცემის ის ძირითადი ენობრივი საშუალებები, რომლებიც არსებობდა/გამოიყენებოდა მათი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე (ძველ ქართულ ლიტერატურაში; ხალხურ შემოქმედებაში; XIX და XX საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაში).

როგორც გრიგოლ კიკნაძე მიუთითებს, ადრინდელ ქართულ ლიტერატურაში არსებული კომიზმის ხერხებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სატირისა და იუმორის ის მაგალითები, რომლებშიც დასტურდება:

1. ბგერებითა და სიტყვებით თამაში;
2. შედარებებით გამოწვეული კომიზმი/ (შედარებები);
3. გადაჭარბებები, როგორც სატირულ-იუმორისტული ხერხი;

4. ნართაული (არაპირდაპირი გამოსახვის უმნიშვნელოვანესი ფორმა);

5. გერგილიანობა ანუ მოსწრებულობა;

6. ცინიკური და სკაბრეზული მიდგომა, როგორც სატირისა და იუმორის ხერხები

ეს ის საშუალებებია, რომლებიც ქმნიან სრულყოფილ ეფექტს სატირისა და იუმორის მაგალითებში. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი ეს ხერხი „ურთიერთისაგან გათიშული სახით ლიტერატურულ ნიმუშებში ჩვენ არ გვხვდება“ (გრ. კიკნაძე, 1972: 97). ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ხაზს გრ. კიკნაძე საბოლოოდ ასე აყალიბებს: „გარკვეულ სოციალურ ნიადაგზე და ლიტერატურული ტრადიციების საფუძველზე, ისე გაფართოვდა ჩვენი სატირულ-იუმორისტული მწერლობის არე, რომ აღორძინების ხანის დასასრულისათვის უკვე საქმე გვაქვს ბესიკის შესანიშნავ სატირულ თხზულებებსა და დავით გურამიშვილის იუმორის დახვეწილ ნიმუშებთან; ჯერ დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ტონით და სენტენცია-აფორიზმის სამოსლით წარმოდგენილი სატირა და შემდეგ კი - თავიდან ბოლომდე სატირული დამოკიდებულების გამომხატველი თხზულებანი - აი, ის გზა, რომელიც უკვე გაიარა ქართულმა სატირამ XVIII საუკუნის დასასრულისათვის“ (გრ. კიკნაძე, 1972: 124).

რაც შეეხება **ხალხური შემოქმედების** სატირულ-იუმორისტული შთაბეჭდილების შექმნის შესაძლებლობებს, ამ შემთხვევაში ძირითადად გამოკვეთილია:

1. „შემთხვევითი“ ანუ **ნებისმიერი დაკავშირებები**, რაც ერთიმეორესთან შინაგანი ლოგიკით დაუკავშირებელი აზრების „გამთლიანებაში“ მდგომარეობს. ეს განსაკუთრებით „სასიმღერო“ და „შაირების“ სახელით ცნობილ ლექსებშია წარმოჩენილი (მაგ.: „ყველა სადგურს მირჩევნია/მე სადგური სვირი; / კარგი გოგო კი ხარ, მაგრამ/ არ გივარგა ცხვირი); ეს ხერხი არც ზღაპრებისათვისაა უცხო.

2. **შედარება და გადაჭარბება** ჩვეულებრივია ხალხური შემოქმედებისათვისაც, თუმცა აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ გამომჟღავნებულია დამცირების ტენდენცია. კომიზმის მისაღებად მთავარია/აუცილებელია შესადართა შორის აშკარა შეუსაბამობა, ანდა დაპირისპირება. გადაჭარბების ხარისხი ამ დროს უმნიშვნელოვანესია (მაგ.: „პირში რო

ენა გიგორავს, ზღვაშია კალმახისებრო“; „ყურო ირიბად ნაზარდო, სიონის საყდარისებრო“);

3. „ლექსიკური“ სატირა და იუმორი. ასეთ შემთხვევაში სატირულ-იუმორისტული ეფექტი მიიღება გარკვეული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებით. ხალხი საგანგებოდ უსვამს ხაზს მათ შეუფერებლობას თავისი მეტყველებისათვის. ამ მიზანს ემსახურება უცხოური სიტყვები და ასევე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დიალექტური ფორმები/გამოთქმები. ამ ჯგუფში განიხილავენ ე.წ. ენის გასატეხებსაც, რომლებიც უწყინარ სიტყვათა ჩქარი გამეორების გზით სკაბრეზულ გამოთქმად გადაიქცევა და სატირულ-იუმორისტულ მიზანდასახულებას წარმოაჩენს, (მაგ.: „სარტყელი მივირტყი, მოვირტყი/მორტყმული დავიარები“; „ახალციხის ციხის ძირსა, ჩემი ცოლის ძღვენი ვჭამე“...).

4. სკაბრეზული სატირა. აბუჩად აგდებისა და მწარე დაცინვის საშუალებად (გაბედული ტონი) ხალხურ შემოქმედებაში ძალზე ხშირია სკაბრეზული მეტყველება. იგი არ გაურბის მოურიდებელ სიტყვიერ საშუალებებს და ამბის გადმოცემისას არაჩვეულებრივი პირდაპირობით იყენებს სათაკილო სიტყვებსა და გამოთქმებს. ამ ხერხით ზოგჯერ მთქმელს თავისი სიყოჩადის გამოხატვა და მკაფიო შთაბეჭდილების მოხდენა სურს (გაშიარება). ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ, მიუხედავად თავისი უწმაწური შინაარსისა, ასეთი გამოთქმები ადრესატში შეურაცხყოფის გრძნობას არ იწვევს. ეს ძირითადად განპირობებულია მათი ხშირად გამოყენების გამო და გაცვეთილია - დაკარგული აქვს შეურაცხმყოფელი ხასიათი და ფაქტობრივად წარმოადგენს მხოლოდ „სიტყვიერ“ მასალას (გრ. კიკნაძე, 1972: 169). შედარებით მკვეთრი/მკაფიო სატირულ-იუმორისტული ტონი აქვს ისეთ სკაბრეზულ თქმებს, რომლებიც ნართაულობის გამო (არაპირდაპირი გამოსახვის უმნიშვნელოვანესი ფორმა) ადამიანის წინაშე მიხვედრის, გამოცნობის მოთხოვნილებას აყენებენ. მათ ხშირად ესთეტიკური ფუნქციის შერულების უნარი გააჩნია - თქმის და შინაარსის ამგვარი გაშუალებით (პირდაპირ დასახელებას ნართაული ეფარება) უზრუნველყოფილი ხდება ერთგვარი სასიამოვნო ღიმილის წარმოშობა (მაგ.: ერთი ხალხური ლექსის მიხედვით ცოლი თავის თავს მწყერად მიიჩნევს, ხოლო ქმარს კი მიმინოდ) (გრ. კიკნაძე, 1972: 169).

5. ანდაზები და გამოცანები. სატირულ-იუმორისტული განწყობის შექმნისათვის, ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული საშუალება, ძალზე ეფექტურ შესაძლებლობას წარმოადგენს.

ამდენად, დასახელებული შესაძლებლობები აშკარად მიაწოდებს, როგორც, ზოგადად, სატირა-იუმორის სირთულეზე, ისე ხალხური სატირა-იუმორის მრავალფეროვნებასა და მათი გამოხატვის ხერხთა ნაირგვარობაზე.

სატირულ-იუმორისტული მასალა თავისი შინაარსობრივი თუ გამოხატვის მრავალფეროვნებით განსაკუთრებულია XIX საუკუნის მწერლობაში. მაგალითად, ცნობილია, რომ გიორგი ერისთავის კომედიებში დაცინვის საგნად გადაქცეულია: ტრაბახი, უვიცობა, უსაფუძვლო თვითდარწმუნებულობა: გაქნილობა, გაიძვერობა და გონებრივი სიჩლუნგე; მაჟანკლობა და ცრუმორწმუნეობა; მოძველებული, ანდა ნარევი და კუთხური მეტყველება... ამდენად, გიორგი ერისთავის კომედიების სატირული მოტივები მრავალფეროვანია; ამ მხრივ მისი დამსახურება საკმაოდ დიდია ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

საინტერესო იქნება, მოკლედ მიმოვიხილოთ, რა კონკრეტული საშუალებებით, რა მხატვრული ხერხებით აღწევს ყველაზე ხშირად სატირულ ეფექტს გიორგი ერისთავი. ამ მხრივ აღსანიშნავი, უპირველს ყოვლისა, **სწორად მიგნებულ ფაბულაზე პიესების აგებაა**; დასაყრდენი 2-3 კომიკური ხაზის და კომიზმის მთავარი ძარღვის შექმნაა; მწერლისთვის კომედია წარმოადგენს ერთგვარ ფორმას, აჩვენოს მძაფრი და მტკივნეული საზოგადოებრივი პროცესები.

❖ **დამახინჯებული მეტყველება-რეპლიკები**, რომლებიც კარგად წარმოგვიდგენს მოქმედი პირების თვისებებს და მიიღწევა კომიკური ეფექტი; მეტყველების დამახინჯებისას ძირითადია: ცალკეული სიტყვების დამახინჯება; ნარევი (სხვადასვა ენაზე) მეტყველება; არამშობლიურ ენაზე ლაპარაკი (სრულიად შეუფერებელი წყობით); კუთხური გამოთქმების გამოყენება და პერსონაჟთა საუბარი ხელოვნური თუ „ამაღლებული“ სტილით; ენის უცოდინრობით გამოწვეული დამახინჯებები.

❖ **ეპითეტები** - მათი საშუალებით კარგად არის დახასიათებული ქართველი არისტოკრატია. ძველი თაობის დასახასიათებლად გამოყენებულია“ ეპითეტები:

„გაუმაძღარი დათვი“, „პლუტ ვრაცუა“, „ფინთი ვინმე“ და სხვა, ხოლო ახალი თაობის დასახასიათებლად: „მესტვირე“, „მოლექსე“, რუსეთის გიჟი“, „რუსეთუმე“, „გიჟ ვრაცუა“, „ფუჭი გოგრა“, „ქარი-მარი“ და სხვა.

❖ **შედარებები** - დაცინვის ამოცანას ემსახურება შედარებით მცირე ოდენობით დადასტურებული შედარებები, რომლებიც ძირითადად ხალხური მეტყველებაში გავრცელებული შედარებებიდანაა ან იმდროინდელი „ქალაქური“ ყოფისა და ჟარგონის ნიადაგზეა წარმოშობილი.

❖ **გადანაცვლება** - კომიზმის შექმნის ერთ-ერთ საშუალებას ე.წ. გადანაცვლება წარმოადგენს. ეს ის შემთხვევაა, როცა აზრის/მეტყველების გარკვეული მიმდინარეობა სრულიად მოულოდნელად იცვლება და საპირისპირო ან საერთოდ განსხვავებულ სახეს ღებულობს (ერთი აზრი არ მთავრდება, ისე იცვლება მეორით, რაც სრულიად მოულოდნელია; ასეთი მოულოდნელობა კი მძაფრ შთაბეჭდილებასაც ტოვებს).

❖ **დიალოგები** - დიალოგები კომიზმის გამოსახატავად საინტერესო ხერხს წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც ამ დროს ერთმანეთს ენაცვლება მეტყველება სხვადასხვა ენაზე და ასევე საპირისპირო, ურთიერთ გამომრიცხველი აზრი. ასეთ დროს რეპლიკები ერთ სარითმო ერთეულში ერთიანდებიან, რაც ენამახვილობის მკაფიო შთაბეჭდილებასაც ქმნის (გრ. კიკნაძე, 1972: 304).

❖ **ვედრება, მუქარა, წყევლა** - ერთ-ერთი გამოკვეთილი ფორმაა სატირა-იუმორისათვის, რომლებიც კარგდ ემსახურებიან კომიზმის წარმოშობას.

❖ **შელოცვა** - კომიკური შთაბეჭდილებისათვის გამოიყენება შელოცვებიც, რაზედაც თავად ავტორის რემარკებიც მიუთითებს („ხელსახოცით გულს უზომავს“, „ულოცავს“, „ამთქნარებს“, „დატირის“).

სატირა, როგორც საზოგადოებრივ-ლიტერატურული ზემოქმედების მნიშვნელოვან საშუალება, განსაკუთრებული სიმძაფრითაა გამოხატული ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში „იგი ამზეურებს, როგორც მთელი წყობილების, ისე ცალკეულ ადამიანთა მანკიერებას და მათი გარდაქმნა-გამოსწორების მოთხოვნილებასაც აყენებს“ (გრ. კიკნაძე, 1972: 325).

❖ **ირონია** - დაცინვის სახეობა, რომელიც საკმაოდ ფართოდაა გამოყენებული ილია ჭავჭავაძის მხატვრულ პროზაში, არის ირონია. ამ დროს მნიშვნელოვანია, ადამიანმა დაინახოს წინააღმდეგობა ნათქვამსა და მასში ნაგულისხმევს შორის, რამდენადაც

ირონია დაფუძნებულია დაპირისპირებაზე და იქმნება მაშინ, როდესაც ნათქვამია ისეთი რამ, რის საწინააღმდეგოსაც ვგულისხმობთ.

❖ **შედარება** - შეფასების პროცესში, ირონიის მისაღწევად საკმაოდ ხშირია შედარების ორი სახეობა: 1. შედარება, რომელიც პირდაპირ ემსახურება ობიექტის დაკნინების ამოცანას; 2. შედარება, როდესაც იგი, რასთანაც დახასიათებული მოვლენაა შედარებული, თავისი ღირსებით გაცილებით უფრო მაღლა დგას (გრ. კიკნაძე, 1972: 334).

❖ **ეპითეტი** - „ირონიული დახასიათება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მწერალმა გვერდი აუაროს პირდაპირ გამოთქმებს და უხეში სიტყვების გარეშე მიაღწიოს ობიექტზე დაცინვას“ (გრ. კიკნაძე, 1972: 335), თუმცა, მწერალი, სადაც საჭიროდ მიაჩნია, თამამად იყენებს ისეთ სატირულ ეპითეტებს, რომლებიც ობიექტის პირდაპირ დახასიათებას ემსახურება.

❖ **გამეორება** - ილია ჭავჭავაძე ამ ხერხს მიმართავს მაშინ, როდესაც სურს, აჩვენოს პერსონაჟის გონებაშეზღუდულობა. „ილიას პროზაში გამეორება მაშინ ასრულებს დაცინვის ამოცანას, როდესაც იგი გამოხატავს მითვისების ფაქტს, ე. ი. მაშინ დავცინით პერსონაჟს, როდესაც იგი სხვის ნათქვამს იმეორებს, მაგრამ საკუთარ მიგნებულ თქმად სურს მისი გასაღება. ამასთანავე, ამ განზრახვას თან ახლავს თავმოწონების სურვილი და თვითკმაყოფილების გრძნობა“ (გრ. კიკნაძე, 1972: 337).

❖ **აზრობრივი შეცდომები** - ხშირია შემთხვევები, როდესაც დაცინვა შესაძლებელია „აზრობრივი შეცდომების“ დაშვების გამო.

❖ **მიამიტობა** - ესაა ხერხი, როდესაც დაცინვა მოცემულია პერსონაჟების მიამიტობის ფონზე. ზოგადად, გულუბრყვილობა კომიკური სიამოვნების მომგვრელია, თუმცა, თუ იგი კომიკური სიამოვნების მომგვრელია ბავშვების შემთხვევაში, იგი უმეტესად მიუტევებელია მოზრდილი ადამიანებისათვის (მაგ. სწორედ ლუარსაბის მიამიტობის დახასიათებით ილია მძაფრად დასცინის ბატონყმობის ინსტიტუტს).

მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიც სატირულ-იუმორისტული ტენდენცია საკმაოდ მძაფრადაა წარმოჩენილი. „შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთლის სატირული მემკვიდრეობა არის გარკვეული ასახვა და შეფასება იმ მტკივნეული საკითხებისა, რომლებიც იდგა საქართველოს ცხოვრებაში მთელი სამოცი წლის მანძილზე, მოყოლებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან“ (გრ. კიკნაძე, 1972:

344). აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელმა არსებული სიმახინჯეების წარმოჩენისა და დათრგუნვისათვის ფაქტობრივად გამოიყენა ყველა ხერხი:

- ❖ ნართაული (არაპირდაპირი გამოსახვის ფორმა), რომელსაც აკაკი ხშირად ალეგორიის სახეს აძლევს;
- ❖ ეპითეტები;
- ❖ შედარებები;
- ❖ სარკაზმი (უმწვავესი სატირის სახეობა, როცა ობიექტი სრულ არარაობადაა მიჩნეული და აბუჩად აგდებული);
- ❖ პაექრობა;
- ❖ დამაკნინებელი გამოთქმები;
- ❖ ხატოვანი გამოთქმები;
- ❖ ენობრივი დამახინჯება;
- ❖ გამეორება;
- ❖ ენამოსწრებული ორაზროვანი თქმები;
- ❖ ინტრიგა.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემდეგ დავით კლდიაშვილმა ძალზე შთამბეჭდავად შეძლო, როგორც ახალი თემების დამკვიდრება, ისე მათი ორიგინალური, თავისებური თვალთახედვით წარმოჩენა და შექმნა, მართლაც, დაუვიწყარი სახეები/ტიპები. კომიზმის თვალსაზრისით, უდავოდ, ყურადსაღებია კლდიაშვილის მოთხრობები. ამ მხრივ ძირითადად ხაზგასასმელია შემდეგი:

1. **კომპოზიციური კომიზმი** - როდესაც კომიზმი განსაზღვრულია თვით მოთხრობის თემით; თემის კომიკური არსი თავის გამოხატულებას პოულობს მოთხრობის კომპოზიციაში (გრ. კიკნაძე, 1972: 404).

2. **სიტუაციური კომიზმი** - ეს ისეთი შემთხვევაა, როცა კომიზმი გამოწვეულია მოქმედი პირის საგანგებოდ შერჩეულ სიტუაციაში ჩაყენების მეშვეობით/ საშუალებით. შესაძლებელია, სხვაგვარ ვითარებაში „ეს მოქმედი პირი არ გადაქცეულიყო კომიზმის წყაროდ“ (გრ. კიკნაძე, 1972: 406). ამდენად, „სიტუაციურ კომიზმთან“ საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც კომიზმის „მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს აღწერილი კონკრეტული ვითარება და მომეტებულად სწორედ ეს უკანასკნელი აქცევს კომიკურ ფიგურად თვით

მოქმედ პირსაც“ (გრ. კიკნაძე, 1972: 406). აღსანიშნავია, რომ სიტუაციური კომიზმის საუცხოო ნიმუშებს ქმნის ე.წ. „მოდრაობითი კომიზმი“- როდესაც ხდება გარკვეულ მოძრაობათა აღწერა.

3. იუმორისტული პერსონაჟები


4. იუმორის განხორციელების შესაძლებლობები: ეპითეტები; სიტყვების და გამოთქმების ემოციური იერი; ყოფითი სასაუბრო მეტყველება; დამაკნინებელი ხატოვანი გამოთქმები; შედარების ხერხი; დაპირისპირება; წყევლა.

ამდენად, თუ ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე, შევაჯამებთ სატირისა და იუმორის გამოხატვის შესაძლებლობებს ქართულში, ზოგადად, საბოლოოდ, დავინახავთ, რომ ამ მიზნით გამოიყენება:

- ბგერებითა და სიტყვებით თამაში
- შედარებებით გამოწვეული კომიზმი/ (შედარებები)
- გადაჭარბებები, როგორც სატირულ-იუმორისტული ხერხი
- ნართაული (არაპირდაპირი გამოსახვის უმნიშვნელოვანესი ფორმა)
- გერგილიანობა ანუ მოსწრებულობა/ენამოსწრებული ორაზროვანი თქმები
- ცინიკური და სკაბრეზული მიდგომა, როგორც სატირისა და იუმორის ხერხები
- „შემთხვევითი“ ანუ ნებისმიერი დაკავშირებები
- „ლექსიკური“ სატირა და იუმორი
- ანდაზები და გამოცანები
- დამახინჯებული მეტყველება/ყოფითი სასაუბრო მეტყველება
- ეპითეტები
- გადანაცვლება
- დიალოგები
- ვედრება
- მუქარა
- წყევლა
- შელოცვა
- ირონია
- გამეორება

- აზრობრივი შეცდომები
- მიაშიტობა
- სარკაზმი (უმწვავესი სატირის სახეობა, როცა ობიექტი სრულ არარაობადაა მიჩნეული და აბუჩად აგდებული)
- პაექრობა
- დამაკნინებელი გამოთქმები
- ხატოვანი გამოთქმები
- ინტრიგა
- კომპოზიციური კომიზმი
- სიტუაციური კომიზმი
- იუმორისტული პერსონაჟები
- სიტყვების და გამოთქმების ემოციური იერი
- დაპირისპირება

როგორც მაგალითებიდან გამოჩნდა, ქართველი მწერლები ყველაზე ხშირად ეპითეტებს მიმართავენ სატირული ელფერის შესაქმნელად. შევხედოთ დიაგრამას:



§4 სატირისა და იუმორის გადმოცემის ძირითადი ენობრივი საშუალებები ინგლისურში

იუმორი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მხატვრული იარაღია, რომლითაც შეიძლება მწერალმა მკითხველს/აუდიტორიას ასიამოვნოს. მისი საშუალებებით იქმნება ლიტერატურული გმირები თუ სიუჟეტები, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებენ მკითხველში. შესაბამისად, იუმორს მრავალი ფუნქცია აკისრია ლიტერატურულ ნაწარმოებში. ის ინტერესს აღძრავს მკითხველში, იპყრობს მათ ყურადღებას და ეხმარება მათ სიუჟეტის წარმოსახვაში.

შესაბამისად, ქართულის მსგავსად, ინგლისურშიც იუმორის გადმოცემა სხვადასხვა მხატვრული ხერხით არის შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა, ესენია:

- **გაზვიადება ანუ ჰიპერბოლა**, რომლის დროსაც ხდება რაიმეს წარმოჩენა უფრო დიდი მასშტაბებით ყურადღების მიპყრობის მიზნით. ეს ხერხი საუკეთესო საშუალებაა მწერლისთვის იუმორის შესაქმნელად;
- **ლიტოტესი**, რომელიც განსხვავებით ჰიპერბოლისგან, აკნინებს/ამცირებს რაიმეს წარმოსახვის მასშტაბებს;
- **კომიკური ირონია** - ისეთი ხმატვრული ხერხია, რომლის დროსაც ავტორი აცხადებს ერთს, მაშინ როდესაც ფიქრობს მეორეს. ის ერთგვარი ვერბალური ირონიაა, რომელიც შექმნილია იუმორის მიზნით;
- **სიტყვათა თამაში** - სიტყვათა ისეთი მონაცვლეობაა, რომელიც იუმორისტულ ელფერს უქმნის სათქმელს;
- **დიალექტი**, რომელიც ერთი რომელიმე კონკრეტული სოციალური საუბრის სტილია/მანერაა, თავისუფლად შეიძლება გარკვეულ კონტექსტში მოგვევლინოს იუმორის გამომხატველ საშუალებად;
- **ბურლესკი** - კომიკური, პაროდული პოეზიის ჟანრი

- **სიტუაციური ირონია** - როდესაც რაიმე სიტუაციის დასასრული შეუსაბამოა იმასთან, რაც ლოგიკურად უნდა მომხდარიყო, ეს არის სიტუაციური ირონია
- **სარკაზმი**, რომელიც ერთგვარი ღვარძლიანი დაცინვაა და მწვავე ირონიის როლში გვევლინება
- **ოხუნჯობა/ხუმრობა** - მახვილგონივრული, ჭკვიანური გამონათქვამი ან შენიშვნა

ჩარლზ დიკენსი, ვიქტორიანული ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ნოველისტი, ცნობილია თავისი სატირულ-იუმორისტული წერის მანერით. ამას მოწმობს, მისი ერთ-ერთ პიველი, მაგრამ, ამავე დროს, კარგად ნაცნობი ნაწარმოები „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, სადაც ავტორი ხშირად მიმართავს იუმორს, როგორც წერის ტექნიკას, რეალობის წარმოსაჩენად. ეს ნაწარმოები სავსეა იუმორისტული მინიშნებებით, რომელიც წარმოაჩენს ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომ მეცხრამეტე საუკუნის ინგლისური საზოგადოებასა და მთელ რიგ სოციალურ საკითხებს.

ამ კუთხით, არანაკლებ საინტერესოა ჯერომ ჯერომის ცნობილი ნაწარმოები „სამი კაცი ნავში“, რომელიც მწვავე სატირისა და დიდებული კომედიის შესანიშნავი ნაზავია. ჯერომ ჯერომსი, რომელიც თავისი დროის ერთ-ერთ გამორჩეულ იუმორისტ მწერლად არის აღიარებული, სააშკარაოზე გამოაქვს და იუმორისტული ხერხებით აღწერს იმ პერიოდის ბრიტანული საზოგადოების რეალობას.

რაც შეეხება სატირას, ის მიიჩნევა კომედიის ყველაზე ინტელექტუალურ ფორმად. სატირა ერთგვარი ნაზავია იუმორისა და სერიოზული კრიტიკისა, რომელიც თავს იჩენს როგორც ხელოვნებაში, ისე ლიტერატურაში. მარტივად რომ ვთქვათ, სატირა არის იუმორისა და/ან ირონიის გამოყენება მანკიერი საზოგადოებრივი ტრადიციების, ჩვევების, პრაქტიკისა თუ პოლიტიკური სისტემის წარმოსაჩენად. ამგვარად, სატირა მჭიდრო კავშირშია, როგორც იუმორთან, ისე ირონიასთან. მწერლები ხშირად მიმართავენ და ახლაც მიმართავენ სატირას საზოგადოებაში მანკიერი მხარეების აღმოფხვრის მიზნით. ამ მანკიერების წარმოჩენა ერთგვარი მცდელობაა იმისა, რომ საზოგადოება მიხვდეს ნაკლოვანებებს და იზრუნოს გამოსწორებისთვის ან შეცვლისათვის. ამგვარად, სატირის ფუნქცია არ გახლავთ ვინმეს ან რაიმეს დაცინვა.

იგი მიზნად ისახავს გამოაფხიზლოს საზოგადოება, შეცვალოს ხალხის მენტალიტეტი საზოგადოებაში არსებული მწვავე მოვლენების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ლიტერატურული ნაწარმოები შეიცავს სატირულ ელემენტებს, არსებობს მთელი რიგი ნოველები, მოთხრობები თუ დრამატურგიული ნაწარმოებები, რომლებიც მთლიანად სატირული ფორმისაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სატირას ოდითგანვე მიმართავდნენ მწერლები და ლიტერატორები. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიშველიოთ ჩოსერი და შექსპირი. ჩოსერის „კენტერბერული მოთხრობები“ (The Canterbury Tales) მთლიანად სატირული ნაწარმოებია, რომელიც მწვავედ აკრიტიკებს ეკლესიასა და საზოგადოებას.

ჯონათან სვიფტი ითვლებოდა თავისი დროის ერთ-ერთ უძლიერეს სატირიკოსად. მის შემოქმედებას ეკუთვნის სატირული ნაწარმოები „გულივერის მოგზაურობა“, რომელიც სატირულ-იუმორისტულ ფონზე აღწერს ადამიანურ ბუნებას.

სატირულ-იუმორისტული თვალსაზრისით, საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს მარკ ტვენის ყველასათვის კარგად ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოები „ჰეკლბერი ფინი“. ხშირად მკითხველი ვერ სწვდებოდა ამ ნაწარმოებში ავტორის მთავარ სათქმელს და მასში გადმოცემული ნააზრევნი ავტორისულ მოსაზრებად ეჩვენებოდათ. სინამდვილეში კი მარკ ტვენი მკაცრად აკრიტიკებდა და ეწინააღმდეგებოდა სოციალურ უსამართლობას.

შექსპირი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია თავისი კომედიებითა და ტრაგედიებით, მაგრამ მისი ნაწარმოებები ბუნებით სატირულ-იუმორისტულია.

თანამედროვე ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სატირის სამი ფორმა: **პაროდია, ირონია და სარკაზმი** (<https://englishsummary.com/6-types-satire-english-literature/>, მოძიებულია 17.08.2018).

❖ პაროდია

მისი დახმარებით იქმნება ხუმრობები ცნობილ ადამიანებსა თუ მოვლენებზე და, ამავე დროს, სატირულად ართობს და ახალისებს მკითხველს თუ მაყურებელს.

❖ ირონია

ირონიას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთი კონკრეტული აზრის გადმოცემა ხდება საპირისპირო ნააზრევით. ირონია ერთგვარ დისონანს ქმნის მეტყველებასა და მოქმედებას შორის. ირონია შეიძლება იყოს სოკრატისეული, დრამატურგიული, ვერბალური და სიტუაციური.

❖ სარკაზმი


სარკაზმი არის მწვავე კრიტიკა ან კომენტარი სახუმარო ან უკმეხი გზით შექმნილი.

მსგავსად იუმორისა, სატირის გადმოცემა შესაძლებელია შემდეგი მხატვრული ხერხების საშუალებით:

- ირონია
- ჰიპერბოლა
- ლიტოტესი
- ალეგორია
- მეტაფორა
- ალეგორია
- გაპიროვნება

რა თქმა უნდა, სატირისა და იუმორის ამსახველ მარგალიტებში დასტურდება ასევე შედარებისა და ეპიტეტების შემთხვევებიც, თუმცა, ყველაზე უხვად ზემოთ აღნიშნულ მხატვრულ ხერხებს ჰქონდა ადგილი.

ინგლისური ლიტერატურა სატირისა და იუმორის ერთგვარ საინტერესო ფონდს წარმოადგენს. კვლევისას არაერთი ნაწარმოები იქნა მოძიებული და ანალიზის შედეგად გარკვეული შედეგები და მიგნებებიც დაიდო, რომელთა მონაცემებს დიაგრამის სახით გთავაზობთ.



ინგლისურენოვან დისკურსში, როგორც საანალიზო წყაროებზე დაყრდნობით გამოჩნდა, ძირითადი წილი იმერეთს, აფხაზეთს და სამეგრელოს ეთმობა.

ვინაიდან, ჩვენი სადისერტაციო თემის კვლევის მთავარ ფოკუსს არ წარმოადგენს სატირისა და იუმორის გამოხატვის ზოგადი საშუალებები ლიტერატურაში, ჩვენ სიღრმისეულად არ მოგვიძიებია საანალიზო წყაროები დასკვნების გასაკეთებლად მოცემულ ეტაპზე. კვლევისთვის შევარჩიეთ მხოლოდ რამდენიმე ინგლისურენოვანი ნაწარმოები (ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“ და ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა“) და ზემოთ მოყვანილი დიაგრამაც სწორედ ამ ნაწარმოებებზე დაყრდნობით გაკეთებული ანალიზის ნაწილია. ორივე ეს ნაწარმოები მთლიანად სატირულ-იუმორისტულია. შედეგად, მათი ანალიზი საინტერესო სურათს გვაძლევს სატირისა და იუმორის მხატვრულად გამოხატვის საშუალებების ძიებისას.

რაც შეეხება სატირისა და იუმორის ამსახველ მაგალითებს, ყველას ჩამოთვლა ძალიან რთულია, თუმცა, შეძლებისდაგვარად, ყველაზე მკაფიო მაგალითები გამოვიტანეთ საჯაროდ მკითხველისათვის აღნიშნულ დისერტაციაში:

- „The vote was taken at once, and it was agreed by an overwhelming majority that rats were comrades“

(„კენჭისყრა იმწამსვე ჩატარდა და ხმის დიდი უმრავლესობით შეთანხმდნენ, რომ ვირთხები მეგობრები არიან“).

- „Old Major cleared his throat and began to sing. As he had said, his voice was hoarse, but he sang well enough, and it was a stirring tune“

(„ბებერმა მეიჯერმა ჩაახველა და ამღერდა. ხმა მართლა ჩახლეჩილი ჰქონდა, მაგრამ საკმაოდ კარგად მღეროდა და მელოდიაც ერთობ გულისშემძვრელი იყო“).

- „They (animals) were so delighted with the song that they sang it right through five times in succession“

(„ცხოველები იმდენად იყვნენ აღფრთოვანებულები, რომ მიყოლებით ხუთჯერ მაინც იმღერეს“).

- „Moses, who was Mr. Jones's especial pet, was a spy and a tale-bearer, but he was also a clever talker“

(„მოსე ბ-ნ ჯოუნსის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა და, თუმცა ჯაშუში და მატყუარა იყო, ლაპარაკი ეხერხებოდა“).

- „Then they (animals) sang Beasts of England from end to end seven times running, and after that they settled down for the night and slept as they had never slept before“

(„მერე „ინგლისის ცხოველები“ დააგუგუნეს შვიდჯერ და დასაძინებლად მიმოიფანტნენ“).

- „The pigs now revealed that during the past three months they had taught themselves to read and write from an old spelling book which had belonged to Mr. Jones's children and which had been thrown on the rubbish heap“

(„ღორებმა მხოლოდ ახლა გაამხილეს, რომ გასული სამი თვის განმავლობაში წერა-კითხვა უსწავლიათ ჯოუნსის უმცროსი შვილის სახელმძღვანელოდან, რომელიც ნაგავში აღმოაჩინეს“).

- „...pigs sent for buckets and milked the cows fairly successfully“

(„ღორებმა ვედროები მოატანინეს და საკმაოდ მარჯვედ მოწველეს ძროხები“).

- „The dogs learned to read fairly well, but were not interested in reading anything except the Seven Commandments. Muriel, the goat, could read somewhat better than the dogs, and sometimes used to read to the others in the evenings from scraps of newspaper which she found on the rubbish heap“

(„ძაღლებმა ჩინებულად აითვისეს კითხვა, მაგრამ შვიდი მცნების გარდა არაფერი აინტერესებდათ. უნდა ითქვას, რომ თხა მურიელმა ძაღლებს გაუსწრო და ზოგჯერ სადამობოთ სანაგვეში ნაპოვნი გაზეთების ნაგლეჯებს უკითხავდა სხვებს“).

- "No sentimentality, comrade!" cried Snowball..."

(„მოდით თავი დაანებეთ ამ სენტიმენტებს! - შეჰყვირა სნოუბოლმა...“).

- "He fought bravely at the Battle of the Cowshed," said somebody"

(„იგი მამაცურად იბრძოდა „ბოსლის ბრძოლაში“, - წაილულულა ვიდაცამ).

- „Napoleon ended his speech with his usual cry of "Long live Animal Farm!" and after the singing of Beasts of England the animals were dismissed“

(„ჩვეულებისამებრ, თავისი სიტყვა დაამთავრა შეძახილით „გაუმარჯოს ცხოველების ფერმას!“ შეკრებილებმა „ინგლისის ცხოველები“ იმღერეს და დაიშალნენ“).

- "Muriel," she said, "read me the Fourth Commandment. Does it not say something about never sleeping in a bed?"

(„წამიკითხე ერთი მეოთხე მცნება - სთხოვა მან მურიელს, - განა აქ არ არის ნათქვამი, საწოლში არასდროს არ უნდა დავიძინოთ?“).

- "No more delays, comrades!" cried Napoleon"

(„მეტს ნუღარ დავაყოვნებთ, მეგობრებო! - დაჰკივლა მან“).

- "That was part of the arrangement!" cried Squealer"

(„ეს ჩაფიქრებული სპექტაკლის ნაწილი იყო, - იყვირა სქუილერმა“).

- "That is the true spirit, comrade!" cried Squealer"

(„აი მესმის, აი ეს არის საკითხისადმი სწორი მიდგომა!“ - მოუწონა სქუილერმა“).

ალეგორიის საინტერესო მაგალითებია:

- ლილიპუტების კუნძული - ინგლისი („გულივერის მოგზაურობა“);
- ბლეფუსკუ - საფრანგეთი („გულივერის მოგზაურობა“);
- „ტერემეკსემები“ და „სლემეკსენები“- ტორები და ვიგები („გულივერის მოგზაურობა“);
- ლაპუტის „დიდი აკადემია“- „ლონდონის სამეფო საზოგადოება“ (Royal Society of London for the Improvement of Natural Knowledge) („გულივერის მოგზაურობა“);

- „ცხოველების ფერმა“- რუსეთი და ზოგადად საბჭოთა კავშირი („ცხოველების ფერმა“);
- „ცხოველების ფერმის“ - მთავრობა (დორები), საპოლიციო ძალა (ძაღლები), მუშათა კლასი (დანარჩენი ცხოველები) („ცხოველების ფერმა“);
- ცხოველების აჯანყება-1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია („ცხოველების ფერმა“);
- ღორი მეიჯერი-ლენინი („ცხოველების ფერმა“);
- ღორი ნაპოლეონი-სტალინი („ცხოველების ფერმა“);
- ღორი სნოუბოლი- ლევ ტროცკი („ცხოველების ფერმა“);
- ცხოველების დროშა გადაჯვარედინებული ჩლიქით და რქით - საბჭოთა დროშანამგლით და უროთი („ცხოველების ფერმა“);
- „ცხოველთა ფერმის“ ჰიმნი „ინგლისის ცხოველები“-კომუნისტურ პარტიათა ჰიმნი „ინტერნაციონალი“(„ცხოველების ფერმა“);
- „ცხოველთა ფერმის“ დღესასწაულები ე.წ. „ბოსლის ბრძოლის“ დღე და რევოლუციის წლისთავი-საბჭოთა კავშირის მთვარი დღესასწაულები-ოქტომბრის რევოლუცია და ფაშიზმზე გამარჯვება („ცხოველების ფერმა“).

აღნიშნული მაგალითები ნათელი დასტურია იმისა, თუ რამდენად შესაძლებელია სხვადასხვა მხატვრული ხერხის (გაპიროვნება, ალეგორია, ჰიპერბოლა.....) წყალობით გადმოიცეს სატირა და იუმორი.

სატირასა და იუმორზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით იუმორისტულ ანდაზებსა და ეპიგრამებს (მოკლე სატირული ლექსი, რომელიც მიმართულია რომელიმე პიროვნების, საზოგადოებრივი წრის, ჯგუფის ან დაწესებულების წინააღმდეგ). ისინი ღრმა, მოკლე, მაგრამ, ამავე დროს, მწვავე და ბრძნული შტრიხებით არის დატვირთული. ისინი შეიძლება მოიცავდეს სატირას, ცინიზმს, ირონიას ან პარადოქსს:

Great talkers are great liars (დიდი მოლაპარაკე დიდი მატყუარაა);

Muck and money go together (სიმდიდრე პატიოსნებით არ იშოვება);

Give a mouse a hole and she will become your heir (თავს სორო მიეცი და თავს შენს მემკვიდრედ გამოაცხადებსო);

Give a lie twenty-four hours' start and you will never overtake it (ჭორს ოცდაოთხი საათი ვადა მიეცი და ვერასოდეს დაეწევო).

სოციოლოგებისა და სოციოლინგვისტების აზრით, გამიზნული იუმორის წარმატებაც და წარუმატებლობაც დამოკიდებულია სიტუაციურ დინამიურობაზე (Hay 2001; Kuipers 2008: 377–380; Bell 2009). იმისათვის, რომ გამიზნულმა იუმორმა შედეგი გამოიღოს და სიტუაციურად გაამართლოს, საჭიროა, ის სწორად იქნეს აღქმული მოსაუბრეთა შორის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულში გაცილებით მეტია სატირისა და იუმორის გამოხატვის მხატვრული საშუალებები, ვიდრე ინგლისურში. ქართულში გამოხატვის საშუალებებად აღიარებულია: ბგერებითა და სიტყვებით თამაში; შედარებებით გამოწვეული კომიზმი/(შედარებები); გადაჭარბებები/, როგორც სატირულ-იუმორისტული ხერხი; ნართაული (არაპირდაპირი გამოსახვის უმნიშვნელოვანესი ფორმა); გერგილიანობა ანუ მოსწრებულობა/ენამოსწრებული ორაზროვანი თქმები; ცინიკური და სკაბრეზული მიდგომა, როგორც სატირისა და იუმორის ხერხები; „შემთხვევითი“ ანუ ნებისმიერი დაკავშირებები; „ლექსიკური“ სატირა და იუმორი; ანდაზები და გამოცანები; დამახინჯებული მეტყველება/ყოფითი სასაუბრო მეტყველება; ეპითეტები; გადანაცვლება; დიალოგები; ვედრება; მუქარა; წყევლა; შელოცვა; ირონია; გამეორება; აზრობრივი შეცდომები ; მიამიტობა; სარკაზმი (უმწვავესი სატირის სახეობა, როცა ობიექტი სრულ არარაობადაა მიჩნეული და აბუჩად აგდებული); პაექრობა; დამაკნინებელი გამოთქმები; ხატოვანი გამოთქმები; ინტრიგა; კომპოზიციური კომიზმი; სიტუაციური კომიზმი; იუმორისტული პერსონაჟები; სიტყვების და გამოთქმების ემოციური იერი; დაპირისპირება. ინგლისურში კი სატირისა და გამოხატვის საშუალებები გაერთიანებულია, რის გამოც მათი ჩამონათვალი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქართულში გამოხატვის საშუალებებს. ინგლისურში აღნიშნული ხერხებიდან შეგვიძლია გამოვყოთ: ირონია (კომიკური ირონია, სიტუაციური ირონია); გაზვიადება ანუ ჰიპერბოლა; ლიტოტესი; ალეგორია მეტაფორა; ალეგორია; გაპიროვნება, სიტყვათა თამაში, ბურლესკი; დიალექტი; სარკაზმი; კომიზმი; ოხუნჯობა/ხუმრობა.

როგორც დიაგრამებიდან იკვეთება, ქართულში გამოხატვის საშუალებებიდან მკვეთრად ჭარბობს ეპითეტი -49.6 %

შედარება - 19.7 %

ირონია - 11%

ინგლისურში განსხვავებული სურათი იკვეთება. ინგლისურ ენაში სატირისა და იუმორის გამოხატულების საშუალებებიდან ჭარბობს ირონია (27.2 %)

ალეგორია (25.5 %) და

საოცებ(28.7%)

თავსებადობა ამ ორი ენაში მხოლოდ ირონიის დონეზე იკვეთება.

§5. სატირისა და იუმორის ძირითადი თემატიკა

5.1. სატირისა და იუმორის ძირითადი თემატიკა ქართულში

XIX-XX საუკუნის ქართული სატირა თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანია. გამოყოფენ რამდენიმე ჯგუფს:

- საყოფაცხოვრებო სატირა;
- სატირა ბიუროკრატიულ აპარატზე;
- წოდებრივი სატირა;
- სატირა მიმდინარე საზოგადოებრივ მოვლენებზე;
- „სალიტერატურო სატირა“;
- „პიროვნული სატირა“;
- „სატირული წვრილმანები“

გიორგი ერისთავმა, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, ასახა ეკონომიურად დაცემის გზაზე დამდგარი მაღალი წოდების ბედოვლათობა, გონებრივი შეზღუდულობა და ზნეობრივი სიდატაკე. მან პირველმა შეამჩნია, რომ მე-19 საუკუნის 40 –იანი წლებისათვის ქართველმა თავადაზნაურობამ დაკარგა ცხოვრების უნარი, ალღო ვერ აუღო ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ავადმყოფურად ჩაეჭიდა ძველ

პატრიარქალურ სამყაროს და ამაოდ შეეცადა მის შენარჩუნებას. მან დრომოჭმულსა და ჩამორჩენილს შელამაზება კი არ დაუწყო, არამედ ნამდვილი სახელი უწოდა და რეალისტურ სახეებში ასახა მთელი მისი ავლადიდება. თავადაზნაურთა ძველი თაობა გონებაგამოფიტული და გულღვარძლიანია, ალღოს ვერ უღებს ახალ ცხოვრებას და ცხოველური სიჯიუტით ეჭიდება ყოველივე ძველს, დრომოჭმულს. ახალი თაობა ზნეობრივად უფრო მაღლა დგას, გრძნობს უფროსი თაობის სიმახინჯეს, არ მოსწონს მისი მოქმედება, მაგრამ თვითონაც არ შესწევს ცხოვრების გარდაქმნის უნარი, მეოცნებე და უხერხემლოა. სწორედ ეს ყოფა ასახა მან პიესაში „გაყრა“ (1849წ.).

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ (1863წ.) თავიდან ბოლომდე სატირულია. თხზულებაში მწერალი განმანათლებლობის კვალდაკვალ, უგუნურებაში ხედავს ადამიანთა მთვარ უბედურებას. იგი უგუნურებად, გონების დამაჩლუნგებელ სოციალურ სისტემად აღიქვამს ბატონყმობას. მისი სატირული პერსონაჟების დამახასიათებელი თვისება სხეულის სიზანტეზე მეტად გონების უმოძრაობა, გონების სიზარმაცეა. „კაცია ადამიანის?!“ სატირული მახვილი მიმართულია მთლიანად ბატონყმური წყობილების და ამ პირობებში ჩამოყალიბებულ ადამიანის თვისებათა წინააღმდეგ. ილიამ პირდაპირ უჩვეულოდ დაგვიხატა ადამიანთა ხასიათები და ისინი ტიპურ სიტუაციებში წარმოგვიდგინა, რომლებშიც სავსებით ნათლად გამოვლინდა რეჟიმის არსი და სახე. როგორც თვითონ აღნიშნავს, მისთვის ეს კონკრეტული მაგალითი მხოლოდ იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მასში ჩანს საზოგადოებრივი წყობის არსი. იგი მოთხრობის შესავალშივე აღნიშნავს: „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“ და საკუთარ თავს ერთგვარად ამხნევებს კიდევ შემდეგი სიტყვებით: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღებას იქცევს ილიას წერის მანერა და სტილი. ზოგადად, მრავალი მწერლის თხზულებაში სატირული ტონი შერწყმულია ეპიკურ თხრობასთან; ეს ნიშნავს, რომ ამგვარ თხზულებაში სატირული მახვილი არ განსაზღვრავს მის მიმდინარეობას - მწერალი მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული მოვლენის შეფასებისას ავლენს თავის სატირულ დამოკიდებულებას და იგი მხოლოდ თხზულების ერთ-ერთი ელემენტია (კიკნაძე გ. (1972) „ქართული სატირისა და

იუმორის განვითარების ისტორიისთვის“; თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ მის ამა თუ იმ ნაწარმოებში თხრობის ერთი გარკვეული ტონი არის დაცული. ჩვენს შემთხვევაში განსახილველი ნაწარმოები „კაცია-ადამიანი“ მიდგომის მხატვრული პრინციპის მიხედვით ანალოგიური ვითარებით ხასიათდება. თხზულება თავიდან ბოლომდე სატირულია. „კაცია ადამიანიში?!“ ილია ჭავჭავაძე, განმანათლებლობის კვალდაკვალ, უგუნურებაში ხედავს ადამიანთა მთავარ უბედურებას. იგი უგუნურებად, გონების დამაჩლუნგებელ სოციალურ სისტემად აღიქვას ბატონ-ყმობას. მისი სატირული პერსონაჟების დამახასიათებელი თვისება სხეულის სიზანტეზე მეტად გონების უმოძრაობა, გონების სიზარმაცეა.

თავის სატირულ მოთხრობებში დავით კლდიაშვილი დიდი ოსტატობით გადმოგვცემს ადამიანის შინაგან სულიერ მოძრაობას და კონფლიქტებს. მის თხზულებებში ძირითადი თემატიკური სფერო განსაზღვრულია იმერეთის აზნაურთა ცხოვრებით მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. თავის პერსონაჟებს იგი იმ კუთხით გვანახებს, თუ როგორი უშუალო გამოხატულება პოვა მათ ცნობიერებაში და რა გზით წარმართა მათი მოქმედება ამ დროის ეკონომიკამ. მწერალს ნაჩვენები აქვს, რომ აზნაურთა ცხოვრების ადრინდელი პირობები მხოლოდ და მხოლოდ მოქმედ პირთა მოგონებებში ცხოვრობს. ასეთი შინაარსისაა ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოებები: „სამანიშვილის დედინაცვალი“ , „სოლომონ მორბელაძე“, „ქამუშაძის გაჭირვება“ .

სხვა სატირული თემები

ცრუ პატრიოტიზმი: ილია ჭავჭავაძის სატირულ პროზაში დაცინვის საგნადაა ქცეული ცრუ პატრიოტიზმის ყოველი გამოვლინება. მაგალითად: „ვენაცვალე კახეთსა! - ამოხდა მთვრალი ლუარსაბი ენადაბმით, - ვენაცვალე! ეგ რომ არა ყოფილოყო, არც კახური იქნებოდა. მაშინ მე რაღა კაცი ვიქნებოდი? ჩემს განთქმულ სახელსა ვინღა

მოიგონებდა დღეს თუ ლუარსაბის სახელი იხსენება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი, ამ შავი ყურძნის წვენიტა ვარ კაცი!“ .

ენობრივი ნორმები: უნდა აღინიშნოს ილიას დამოკიდებულება მოძველებული ენობრივი ნორმებისადმი. ილია მწვავედ განიცდიდა აღნიშნულ პრობლემას და თვლიდა, რომ სალიტერატურო ენა უნდა დაახლოებოდა ხალხურ მეტყველებას (ილია: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“). სწორედ მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა არა მხოლოდ ანბანის რეფორმა, არამედ მის მიერ მოწვეულმა ქართულის ენის მცოდნეთა კრებამ დაადგინა ბევრი ენობრივი ნორმა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ”მამათა” და ”შვილთა” ერთობლივი ძალისხმევით ქართულმა სალიტერატურო ენამ მიიღო ისეთი სახე, როგორიც შეეფერებოდა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე სამწერლო ენას.

საკითხის მხატვრული ილუსტრაცია მოგვცა ტექსტში მოსე გრძელაძის წერილის სახით, რომელიც ანტონ კათალიკოსის ენობრივი პრინციპებს იცავს და ძალიან შორს დგას სასაუბრო მეტყველებისგან:

„ჩემო აღმატებულო ბედნიერო გვაროვანო სიძეო: თუმცა დიდათ ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით ადავსე ნეტარითა სიძოობითა თქვენიტა და თვალი ჩემი აახილე რომელიცა რომა დაინახა ისევ გაზაფხული მუხთალისა სოფლისა ამისა ფრიად სიხარულში ვარ რომელიცა ეხლა ვარ ჩემო აღმატებულო გვაროვანო სიძეო რომელიცა გთხოვ გამოგზავნო ნიშანი რომა საქმემ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ გამოგზავნო რომელიცა რომა მე მოხუცებული კაცი ავადა ვარ სნეული და პატივი და მასლაათი და ქეიფი რომელიცა აწ მე აღარ ძალმიძს რომელიცა ფრიად შეაწუხებენ ქორწილში რომელიც თქვენ იქნებით ჩემს სახლში მასპინძელი დიად დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენცა დიდი და პატიოსანი ნათესაობა გყავს რომელიცა არც მე ვარ უნათესაო და ბლომად შევყაროთ ისე როგორათაც შეჰფერის დიდებულს გვაროვნობასა თქვენსა და ჩემსა ოჯახს სახლკარიანობასა ჩემსა“.

“სხვებზე ბძანდებოდეთ ბედნიერებით იესო ძე ღვთის მიერ ვითხოვ თქვენს ბედნიერებას რომელიცა რომა მსურს ნახვა თქვენი სიამამრი ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრევანისძე გძელაძე”.

ძალზე მკვეთრად დასცინა გიორგი ერისთავმა ხელოვნური და ამაღლებული სტილით მეტყველებას. „გაყრაში“ ამგვარი შემთხვევები გვხვდება რამაზის რეპლიკებში, როდესაც ჩვეულებრივი საკითხების საუბრის დროს ის მაინც სასამართლო უწყების ენაზე ლაპარაკობს. მაგალითად:

- „კნეიჟნას ვახლავარ, უმორჩილესი მონა. მექმნება ბედნიერება ვიკითხო სიმრთელე ბრწყინვალეებისა თქვენისა!“
- „მრავალთა საქმეთა გამო არა მქონდა დროება. სხვა გვარ, კნეინავ, როგორ არის გარემოება თქვენის საქმისა?“
- „დიახ, უმჯობესია გაყრა... მე, სწორე მოგახსენო, არ მიყვარს გარევა მაგგვარ საქმეში, მაგრამ თქვენ თხოვნას უარი არ ეთქმება. მერე ჩემის სულის თვისება გახლავსთ დავიჭირო მხარე დაჩაგრულთა: გაყრა ადვილი არის; ეცადენით სინიდისით აღმოიჩიოთ მედიატორენი.“
- „დიახ, გმართებთ მაგაზედ ფიქრი. თქვენ გინდათ სასიძოთ კარგი მცოდნე რუსულისა და სასამართლოს რჯულები იცოდეს: ჭკვიანი, ზრდილი თავადიშვილი...“
- „უნდა ავხოცო ბოროტება! ...“
- „დუიელნი აღკრძალულ არიან სტატიით 532-თა.“

სატირულ პროზაში ილია ჭავჭავაძემ მწვავედ გააკრიტიკა ცრუმორწმუნეობა და ექიმბაშობა, ჭორიკანობა და ტრაბახი, პატივმოყვარეობა და უქნარობა, ცბიერება და მრავალი სხვა თვისება.

ქედმაღლობა: მოთხრობაში ილიამ მკვეთრი სატირული მახვილი ჩასცა გადატაკებულ თავადაზნაურთა პატივმოყვარეობასა და კუდაბზიკობას:

დარეჯანი უხსნის ელისაბედს - „გოგოც ჩემია და ჩითმერდინიც; მაგრამ გოგოს ჩითმერდინის თავზე შომოკვრა სწორედ თავლაფის დასხმაა.“

დარეჯანი დიდად უკადრისობს ლუარსაბის ყანაში მუშაობას და ამბობს : „ ჩემს ლუარსაბს ჯერ ისე არ გასჭირებია-რა რომ გლეხოვა ჩაიდინოს“

ლუარსაბი აქებს თავის მოსავალს: „ ჩემოდენი მოსვალი კახეთში ორს არ მოუვა, ქართლშიაც ბევრს არ მოუვა ... თუ ეს მართალი არ იყოს, საიდან ვცხოვრობ ეგრე მეფურად? ლევანსავით ურმებს ხო ქირაზედ არა ვგზავნი, თავადიშვილის სისხლს ხომ არ შევირცხვენ!“

ცრუმორწმუნეობა: რაც შეეხება ლუარსაბისა და დარეჯანის ცრუმორწმუნეობას, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ორივე ღმერთის სიყვარულსაც კი იჩემებდა, შვილის ყოლის სურვილს აყოლილმა დარეჯანმა „ სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვანაირად შელოცვილი ქვები შეიბა და კაბის უბეზედ დაიკერა“. ერთხელ სიზმარიც ნახა: „ერთმა მოხუცებულმა კაცმა ... ერთი წამალი დამალევიანა და მითხრა- გამრავლდი ვითარცა იაკობო!

-ეხლა, გამრავლდიო, ვითარცა იაკობ, მითამ რაო?

-მითამ ისაო რომა გამრავლდიო,-აუხსნა დარეჯანმა

-აი, ვენაცვალე იმის ენას! მაშ იმედიან?

-იდეგ! ნუ იცი შენ ეგ, ნუ! ნუ ხარ უჯერო, ცოდვან“.

ლუარსაბსაც ესიზმრა იმედის მომცემი სიზმარი. დარეჯანმა ისე ახსნა ეს სიზმარი, რომ ცხრა თვის შემდეგ შვილი უნდა ჰყოლოდათ:

„-აბა, როგორ?- ჰკითხა ლუარსაბმა.

-ხომ სტიროდი სიზმარშია?-ეხლა დარეჯანმა ჰკითხა.

-ვტიროდი.

-მეც ხომ ვტიროდი?

-შენცა სტიროდი.

-ტირილი კიდევ სიხარულის ნიშანია. მე და შენ სიხარული სხვა რა გვექნება თუ არა შვილის ყოლა?“

ამდენად, ზემოთ განხილული მაგალითებიდან ნათელია, რომ XIX-XX საუკუნის ქართული სატირა თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანია.

საინტერესოა, რა ვითარება გვაქვს ამ მიმართებით ინგლისურ ენაში.

5. 2. სატირისა და იუმორის ძირითადი თემატიკა ინგლისურში

წინა პარაგრაფში მიმოხილულმა საკითხმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ XIX-XX საუკუნის ქართული სატირა თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანია. აღნიშნულ პარაგრაფში წარმოვაჩინეთ, რა ვითარება გვაქვს ამ მიმართებით ინგლისურ ენაში.

რთულია იმის თქმა, თუ რა ქმნის კონკრეტულ ლიტერატურულ ნაშრომს სატირულს. სატირას შეიძლება ჰქონდეს ლექსის, ნოველის, რომანის, ესეს ფორმა. ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები შეიძლება იყოს სატირული, რომელიც მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს, ანუ, სატირის გადმოცემა ხდება სხვადასხვა საშუალებით, რამაც მთლიანობაში ნაწარმოები შეიძლება გახადოს სატირული. სატირიკოსი ის პიროვნებაა, რომლისთვისაც კონკრეტული მოვლენა თუ სიტუაცია მიუღებელია და ცდილობს თავისი სატირული ხერხებით გამოარკვიოს, რა არის მისაღები და რა მიუღებელი კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში და, ამავე დროს, შესთავაზოს პრობლემის გადაჭრის მისეული გზები (Sutherland, 1958: 16). სრულიად შესაძლებელია, პრობლემის გადაჭრის სატირიკოსის მიერ შემოთავაზებული გზა რეალობას სცდებოდეს, მაგრამ თავისი ნაშრომით/ნაწარმოებით სატირიკოსი აუცილებლად ახერხებს, ფარდა ახადოს მწარე რეალობას და საზოგადოებას მანკიერი მხარეებისკენ მიუთითოს თავის ნაწარმოებში. რაც, საბოლოოდ, გარკვეულწილად, შედეგს მაინც გამოიღებს. იმისათვის, რომ კონკრეტული სატირული ნაწარმოები წარმატებული აღმჩნდეს, მასში გადმოცემული ნააზრევო მისაღები უდნა იყოს მკითხველისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ „სატირიკოსის ხელოვნება სხვათა

შუა საუკუნეების ინგლისურ ლიტერატურაში სატირიკოსთა შორის, უდავოდ, ლიდერობს ჯეფრი ჩოსერი თავისი შეუდარებელი ნაწარმოებით „კენტერბერული მოთხრობები“, რომელიც ერთგვარი გაღაშებაა კათოლიკური ეკლესიისა და იმდროინდელი ინგლისის მართველობის წინააღმდეგ. ჩოსერი მწარე რეალობის გამოსახატავად იუმორს იშველიებდა, როგორც ერთ-ერთ მხატვრულ საშუალებას. ჩოსერის შემდეგ სატირული ტრადიციები ინგლისურენოვან ლიტერატურაში კიდევ უფრო ვითარდება და აყვავებას შუა საუკუნეებსა და რენესანსის პერიოდში იწყებს და კულმინაციას მე-17 მე-18 საუკუნეებში აღწევს ოქროს ხანაში. ამ პერიოდის ინგლისურ ლიტერატურაში სატირული ჟანრის გამოკვეთილი მიმდევრები იყვნენ: ჯონათან სვიფტი, სამუელ ბატლერი, ალექსანდრე პოუპი, რიჩარდ სტილი, ჰენრი ფილდინგი და უილიამ ჰოვარტი.

მე-19 საუკუნეში სატირამ უფრო მსუბუქი კრიტიკის ფორმა მიიღო. ამ დროისათვის მორალი და მანერები ქილიკის დონეზე იყო, თუმცა უფრო მსხვილი ლიტერატურული ნაწარმოებების, კერძოდ კი, რომანის ჩარჩოებში მოექცა. შესაბამისად, სატირას ვხვდებით ლორდ ბაირონის პოემებში, უილიამ გილბერტის ლიბრეტოსა და ოსკარ უაილდისა თუ ბერნარდ შოუს დრამატურგიულ ტექსტებში; ასევე, თეკერეის, ჩარლზ დიკენსის, სამუელ ბატლერის და სხვა მრავალი მწერლის ლიტერატურულ ნაწარმოებებში. იმდროინდელ ამერიკელ სატირიკოსთა შორის გამოირჩეოდნენ: ვოშინგტონ ირვინგი, ოლივერ ვენდელ ჰოლმსი და მარკ ტვენი.

მე-20 საუკუნეში კვლავ გაგრძელდა სატირული ჟანრის ნაწარმოებების მომრავლება, რომელთა მთავარ თემატიკას ატომური ბომბი, ზოგადად ომი, გარემოს დაბინძურებით გამოწვეული პრობლემები, რასიზმი და ნარკოტიკები წარმოადგენდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სატირიკოსთა შორის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მწერლად ითვლება ჯონათან სვიფტი თავისი შეუდარებელი ნაწარმოებით „გულივერის მოგზაურობა“, რომელიც თავიდან ბოლომდე სატირულ-იუმორისტული ჟანრისაა და წარმოადგენს ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებს, სადაც მწერლის თანამედროვე

ინგლისის პოლიტიკური წყობა, მეფე და სასახლის კარია გაკრიტიკებული გარკვეული სიმბოლოების წყალობით, რომლებიც ალეგორიულ ჭრილში გვევლინება (<http://www.bitlanders.com/blogs/gullivers-travels-as-an-allegory/262688>, მოდიებულია 16.08.2019).

„გულივერის მოგზაურობა“ შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც კაცობრიობაზე შეტევა და კრიტიკული თვალთ დანახული ადამიანთა სუსტი და ძლიერი მხარეები.... ის არის ადამიანური ბუნებისა და მორალური, ფილოსოფიური, პოლიტიკური და სამეცნიერო შეხედულებების სრულყოფილი კვლევა. როდესაც მკითხველი ჩასწვდება მოგზაურობის პოლიტიკურ და სოციალურ ბუნებას, ამ წიგნის ანალიზიც ადვილი ხდება. ნაწარმოების პირველი და მესამე თავი ერთგავრი შეტევაა სახელმწიფო მმართველობაზე, ხოლო მეორე და მეოთხე თავი აღწერს კარგი მთავრობის სურათს (<http://www.uh.edu/honors/Programs-Minors/honors-and-the-schools/houston-teachers-institute/curriculum-units/pdfs/2008/comedy/green-08-comedy.pdf>). ეს არის მთავარი სატირული მესიჯი, რომელიც თან გასდევს სრულიად ნაწარმოებს.

სატირასა და იუმორზე საუბრისას შეუძლებელია არ ვახსენოთ მე-19 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალაჩინო წარმომადგენელი მარკ ტვენი თავისი ცნობილი ნაწარმოებით „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“. ნაწარმოებში ჩადებულია სატირული მესიჯები, რომლითაც მწერალი ერთგვარად ილაშქრებს **რელიგიისა და რასიზმის წინააღმდეგ**, რომელიც სერიოზულ პრობლემად იდგა მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდის ინგლისის ისტორიაში.

მე-20 საუკუნის სატირიკოსთა შორის ასპარეზზე გამოდის ოლდოს ლეონარდ ჰექსლი თავისი შეუდარებელი ნაწარმოებით - „საოცარი ახალი სამყარო“. იგი ცნობილი ანტიუტოპიური რომანია, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო. დღევანდელ გლობალიზებულ და პოპ-კულტურის სამყაროში ის გაცილებით აქტუალურია, ვიდრე ოდესმე. „საშიშოც კია იმის აღმოჩენა, ჰექსლის რამდენი სატირული წინასწარმეტყველება იქცა რეალობად უმოკლეს ხანში“, – წერს The New York Review of Books (<https://booknews.ge/?p=824>).


და ბოლოს, სატირასა და იუმორზე საუბრისას, შეუძლებელია არ ვახსენოთ ჯორჯ ორუელი თავისი ცნობილი ნაწარმოებით „**ცხოველების ფერმა**“. იგი სატირული

ალეგორიაა **საბჭოთა ტოტალიტარიზმზე**. ნაწარმოები გამოიცა 1945 წელს. წიგნის მთავარი მოვლენები დაფუძნებულია სტალინის ეპოქის ამბებზე. ორუელი, რომელიც თავად იყო დემოკრატიული სოციალისტი და დამოუკიდებელი ლიბერისტული პარტიის წევრი, აკრიტიკებდა სტალინსა და მის რეჟიმს და უნდობლობით იყო განწყობილი სტალინიზმის მიმართ.

ორუელის ნაწარმოებში საუბარია ცხოველებზე, რომლებმაც აჯანყება მოაწყვეს და ფერმიდან განდევნეს ადამიანები. მათ გადაწყვიტეს, საკუთარი მმართველობის სისტემა შექმნან და თავად მართონ ფერმა, მაგრამ, ამავე დროს, არანაირად არ დაემსგავსონ ადამიანებს. საერთო გადაწყვეტილებით, აკრძალული იყო ტანსაცმლის ჩაცმა, ადამიანივით საწოლზე წოლა, ფულის გამოყენება და სხვა ჩვევები, რომლებიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს. ცხოველებმა ახალ წყობას უწოდეს „ენიმალიზმი“ (ნაწარმოებია ინგლისური სიტყვისაგან animal-ი. ცხოველი, პირუტყვი, ხვასტაგი) (მჭედლიშვილი ჯ., (2010) ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი).

მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში, ფერმა, განვითარებასთან ერთად, „ეცემოდა ადამიანის დონემდე“ და საბოლოოდ მის ერთპიროვნულ მმართველს, ღორს, სახელად „ნაპოლეონი“, უკვე ვერავინ არჩევდა ნამდვილი ადამიანებისგან.

საბოლოოდ, შეგვიძლია შევაჯამოთ სატირისა და იუმორის თემატიკის საკითხი ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში. ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ორივე ენის სალიტერატურო წყაროებში სატირა მწვავე კრიტიკის, იუმორისა თუ ირონიის ფონზე, მიმართულია რელიგიისა და სახელმწიფო მმართველობის წინააღმდეგ.



ეს ორი ასპექტი აერთიანებს ქართულ და ინგლისურენოვან მხატვრულ-ლიტერატურულ სამყაროს ერთმანეთთან, თუმცა, ორივე მათგანი განსხვავებული ფორმით არის წარმოდგენილი. კერძოდ, ქართულ სალიტერატურო ძეგლებში სატირა უმთავრესად მიმართულია ძირგამომჰალი სახელმწიფო მართველობის ფორმის, კერძოდ კი, ბატონყმობის წინააღმდეგ. ქართველი სატირიკოსები აკრიტიკებდნენ ძალადაკარგული თავადაზნაურობის მომაბეზრებელ ქედმაღლურ ჩვევებს, რომელიც ნეგატიურად აისახებოდა ფართო მასებში.

ინგლისურენოვან სალიტერატურო წყაროებშიც სატირიკოსები აკრიტიკებდნენ სამთავრობო მმართველობის მანკიერ ფორმებს. აქვე თავს იჩენს რასიზმის საკითხიც, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავეთ იკვეთება მე-20 საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში.

რელიგია მეორე ასპექტია, რომელიც არანაკლები სიმწვავეთ დგას ქართულ და ინგლისურენოვან სალიტერატურო ძეგლებში. თუმცა, განსხვავებით წინა ასპექტისა, აქ განსხვავება საკმაოდ დიდი და ნათელია. ქართულ ლიტერატურაში სატირიკოსები

ცრურწმენის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ვინაიდან საქართველო ოდითგანვე მართლმადიდებლური სახელმწიფო გალხდათ. შესაბამისად, რელიგია ხშირად იკვეთებოდა მაღალესთეტიურ დონეზე სალიტერატურო წყაროებში, რის გამოც, გასაკვირი არცაა, თუ რატომ იბრძოდნენ მთელი რიგი ქართველი სატირიკოსები ცრურწმენის წინააღმდეგ.

საკითხი განსხვავებული სიცხადით გვევლინება ინგლისურენოვან წყაროებში, სადაც უმთავრესად გაქილიკებულ-გაშარჟებული და გაკრიტიკებულია კათოლიკური ეკლესია, რომელიც დაბალი ფენის მორჩილების საუკეთესო იარაღს წარმოადგენდა იმდროინდელ კათოლიკურ სამყაროში.

II თავი

სატირა და იუმორი თანამედროვე საგაზეთო-პუბლიცისტურ ტექსტებში და მათი გადმოცემის ენობრივი საშუალებები

§1. საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ზოგადი თავისებურებანი

ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგადად მიმოვიხილავთ საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ძირითად თავისებურებებს, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრულია ენობრივი შემოქმედების თავისებური პირობებით; საგაზეთო ჟანრების მრავალფეროვნებასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ იგი იქმნება უმოკლეს ვადაში მეტყველების კულტურის სხვადასხვა დონის ადამიანთა მიერ. ხაზგასასმელია, რომ „მასობრივი კომუნიკაციის საერთო კომპლექსში, სადაც შედის საჟურნალო პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო და მასობრივ აუდიტორიასთან უშუალო ურთიერთობის სხვადასხვა ზეპირი ფორმები, გაზეთს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, რაც უკავშირდება გაზეთის ყოველდღიურ მისაწვდომობას, მრავალპროფილიანი ამორჩევის დიდ დიაპაზონს, აგრეთვე, ყოველი ნომრის შინაარსის მრავალპლანიანობას, გაზეთის საინფორმაციო ოპერატიულობას, მისი მასალის ისეთი ფორმით ფიქსირებას, რომელიც გამოსაყენებლად მოსახერხებელია და ა. შ.“ (გ. კვარაცხელია, 1990: 117), ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ გაზეთი, უშუალო ზეპირი ურთიერთობების შემდეგ, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ყველაზე ძველი ფორმაა, სადაც ყალიბდებოდა და შემდეგ აქედან სხვა ფორმებშიც გადადიოდა ძირითადი სტილისტიკური საშუალებანი და ხერხები, აშკარა გახდება, რომ გაზეთი მასობრივი კომუნიკაციის მეტყველების სტილის ერთგვარი საფუძველი და, ამავდროულად, მისი ყველაზე რთული ფორმაა.

გაზეთის უმთავრეს ფუნქციებად ასახელებენ საინფორმაციო და აგიტაცია-პროპაგანდის ფუნქციებს, რაც ნიშნავს, რომ ავტორს სურს, ადრესატს მიაწოდოს ინფორმაცია და ასევე მასში გამოიწვიოს სასურველი მიმართება/დამოკიდებულება შეტყობინებისადმი. სწორედ ამიტომ გაზეთში ფაქტების უბრალო გადმოცემა კი არ ხდება, არამედ ფაქტებისადმი ავტორის დამოკიდებულება, რომელიც აშკარა ფორმითაა

გამოხატული, უფრო მეტიც, ავტორი ცდილობს, თავის სიმართლეში დაარწმუნოს ადრესატი (გ. კვარაცხელია, 1990: 119).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გაზეთში, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, აისახება თანამედროვეობის აქტუალური საკითხები: **პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი, ფილოსოფიური, კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა**; ცალსახაა, რომ გაზეთის ფურცლებზე ხვდება ფაქტობრივად ნებისმიერი ფაქტი, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობის დაცვით - იგი უნდა იყოს საზოგადოებრივად საინტერესო, გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს მკითხველის ცნობიერებაზე. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მასალის/ფაქტების შერჩევა და მიწოდების ხასიათი.

საინფორმაციო ფუნქცია ხორციელდება საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ისეთი საშუალებებით, რომლებიც მეტყველების ინტელექტუალურობის გამოვლენას უკავშირდება: დოკუმენტალიზმი, სიზუსტე, რაც ენაში ხორციელდება ლექსიკური და ფრაზეოლოგიური საშუალებებით (პიროვნებების, დაწესებულებების, გეოგრაფიული პუნქტების და სხვ. დასახელებები, ციფრები, თარიღები, პროფესიულ-ტერმინოლოგიური გამოთქმები), თხრობის თავშეკავებულობა, ოფიციალურობა, რასაც ასევე გააჩნია თავისებური ენობრივი რეალიზაცია (გ. კვარაცხელია, 1990: 122).

ასე რომ, „პუბლიცისტური ხასიათის ნაწერები უპირატესად შექმნილია საზოგადოებრივ თემებზე“ (ალ. გვენცაძე, 1991: 76).

რაც შეეხება **ზემოქმედების ფუნქციას**, იგი, უპირველეს ყოვლისა, აისახება პუბლიცისტური სტილისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ ექსპრესიასა და შემფასებლურ ემოციურობაში, რომლის შექმნაშიც მონაწილეობს ენის ყველა ლექსიკური და გრამატიკული ერთეული, სინტაქსური ფიგურები, ტროპები...(გ. კვარაცხელია, 1990: 122). და თუ ინფორმაციულობით საგაზეთო-პუბლიცისტური სტილი ძირითადად სამეცნიერო სტილთან ქმნის საერთო არეალს, ექსპრესიულ საშუალებათა გამოყენებით იგი უახლოვდება მხატვრულს, ხოლო შორდება მეცნიერულს. „პუბლიცისტიკის ენა შეზღუდული არ არის მოიხმაროს: ტროპები, სინონიმები, გამეორებები და სხვა“ (ალ. გვენცაძე, 1991: 76).

ამდენად, გასათვალისწინებელია, რომ ისტორიულად პუბლიცისტიკა სამეცნიერო ლიტერატურისა და მხატვრულ-ბელეტრისტული ლიტერატურის მიჯნაზე წარმოიშვა და განვითარდა. და სწორედ მისი სპეციფიკურობაც ამ ორის -მეცნიერულისა და მხატვრულის - ერთიანობაში მდგომარეობს.

„კაცობრიობას დღიდან გაჩენისა ამოდრავებს დიდი სურვილი, იყოს ინფორმირებული. მას, ვინც დიდი ინფორმაციის დაუფლებას ესწრაფვის - ცნობისმოყვარეს უწოდებენ, ხოლო ვინც ძალიან ბევრ ინფორმაციას ერკინება - ჟურნალისტ“ (გერსამია.მ., (2004), პუბლიცისტური ინფორმირების თავისებურებანი, პროფ. ნოდარ ტაბიძის რედაქციით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ.7)

ზოგადად, ინფორმირების პროცესი მოიაზრებს ფაქტების მოძიებას, დამუშავებას, ხშირ შემთხვევაში გაანალიზებასა და შემდგომ გადაცემას. ინფორმაციის თავისებურებანი მკვეთრად ვლინდება პუბლიცისტურ ჟანრებში.

ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივ განვითარების პროცესშია. მისი განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად იზრდება, როდესაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური თუ ტექნოლოგიური ძვრები იჩენს თავს. ბუნებრივია, ენის ცვალებადობა-განვითარებაზე დიდ როლს თამაშობს გლობალური პროცესებიც.

ენაში მიმდინარე ცვლილებები, პირველ რიგში, ასახვას პოვებს პუბლიცისტურ სტილში.

„საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტიკა პუბლიცისტური სტილის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახესხვაობაა, რომელიც თავისი დანიშნულების, ამოცანებისა და საკომუნიკაციო პირობების საკმაოდ რთულ მოვლენას წარმოადგენს. მისი დანიშნულება კულტურათაშორისი ურთიერთობის მედიატორობაა, ამოცანა აუდიტორიის მიზიდვა-შენარჩუნება, ხოლო საკომუნიკაციო პირობები - ენა“ (ცინცაძე ი., (2016, გვ. 6.), თანამედროვე პუბლიცისტიკის ენა და სტილი ბეჭდური მედიის მასალების მიხედვით, ავტორფერატი, თბილისი) .

საგაზეთო ენა სხვადასხვა სტილისტური მახასიათებლების ერთობლიობაა (Dijk 1988a,76; Crystal&Davy 1969,174). პრესის ენა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც განსაკუთრებული დისკურსი თავისი დამახასიათებელი სტილითა და ლექსიკური ფონდით/ლექსიკონით (Pape&Featherstone 2005,49).

პუბლიცისტური სტილის ცნება შეიქმნა გაზეთების, საზოგადოებრივი - პოლიტიკური ჟურნალების, პამფლეტების მოხსენებების, გამოსვლების, საუბრების დისკუსიების და ა.შ. ენიდან, რომლებიც პოლიტიკურ ინფორმაციას შეიცავენ. პოლიტიკური ინფორმაცია შეიცავს ფაქტებს, მოვლენებს და ამბებს საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური სფეროდან, ურთიერთობებს ერებს, პარტიებს, სახელმწიფოთა შორის. ამას ერთვის აგრეთვე ინფორმაციები იმ მოვლენების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, რომელთაც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. ეს სტილი უტყუარობითა და ობიექტურობით ხასიათდება. იგი დაკავშირებულია მის ისეთ მახასიათებლებთან, როგორიცაა სისრულე, სიღრმე, სიზუსტე და განსაზღვრულობა. პუბლიცისტიკის აგიტაციურ-პროპაგანდისტული ფუნქციით განისაზღვრება მისი ექსპრესიულობისა და ემოციურობის მაღალი ხარისხი, რომელიც დამოკიდებულია მისი განხორციელების კონკრეტულ ფორმაზე და სამეტყველო სპეციფიკაზე. საგაზეთო სტატიები ხასიათდება სხვადახვა საშუალებათა გამოყენების მრავალფეროვნებით და არ გააჩნია საკუთარი გამომხატვის ფორმა. იგი არის ბასრი რეპორტაჟი, რომელიც ერთ პოზიციას ემყარება. იგი არსებითს და მნიშვნელოვანს განსაკუთრებული ხატოვანი ხერხებით გამოყოფს.

სტილისტიკა ამა თუ იმ ენის გამომსახველობით შესაძლებლობათა, ანუ სტილური ხერხებისა და საშუალებების შემსწავლელი მეცნიერებაა. ამდენად, სტილისტიკა ენობრივ შემოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს, დაწყებული სიტყვათა თანმიმდევრობით და დამთავრებული გამომხატველი საშუალებებით, ანუ მხატვრული ხერხებით. სტილი ყველა სახის ტექსტშია ზეპირმეტყველებასა თუ წერილობით წყაროებში. გამოყოფენ სხვადასხვა სტილისტურ ხერხებს (შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, ანტითეზა, მეტონიმია და სხვა) მეტაფორული საშუალებები უფრო მეტად გამოყენებულია საგაზეთო პუბლიცისტური სტილის ტექსტებში.

პუბლიცისტური სტილი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენს. საგაზეთო პუბლიცისტურ ტექსტებში ინფორმაცია-კომუნიკაციის მრავალფეროვნება მოიაზრება-დაწყებული ნეიტრალური, მშრალი ინფორმაციით და დამთავრებული აქტიური პუბლიცისტური პათოსით. პუბლიცისტური ტექსტების გადმოცემის ასპარეზი ჟურნალ-გაზეთებია. საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტების მიზანია საზოგადოების ჯგუფის ინფორმირება აქტუალურ საკითხთან ან მოვლენასთან დაკავშირებით. საგაზეთო პუბლიცისტიკა მოქალაქეებს ობიექტურ ვითარებას წარუდგენს და მონაწილეობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიმართულებით; ხელს უწყობს სოციალური პროცესების სტიმულირებას.

საგაზეთო-პუბლიცისტური სტილისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- მისი არაერთგვაროვნების გამო, მკაცრად განსაზღვრული არ არის.
- ის ფართოდ ავლენს სუბიექტურ ემოციას და მგზნებარებას და, ამიტომაც, მასში მცირე დოზით არ იჭრება, ერთი მხრივ, მხატვრული სტილის, ხოლო, მეორე მხრივ, სასაუბრო სტილის ელემენტები.

თანამედროვე საგაზეთო პუბლიცისტური ზოგიერთი ტექსტი აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება მშრალი და მაქსიმალურად ნეიტრალური ინფორმაციით, ხოლო ზოგიერთი კი გამოირჩევა მხატვრული ხერხების გამოყენების სიუხვით, რაც მკითხველში მძაფრ ემოციებს აღძრავს. მსგავს შემთხვევებში ჩანს სტატიის ავტორის სუბიექტური მოსაზრებებიც:

მაგ.1. ერთმა „კეთილისმსურველმა“ „ლამაზისეულიც“ კი მიწოდა, ასეთი რუჯი რატომ აქვს, აშშ-ს პრეზიდენტმა ხომ უნდა იცოდეს, რომ ქართველები თეთრკანიანები ვართო („კვირის პალიტრა“, 4-10 მარტი, 2019 გვ. 13);

მაგ.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მამის სახელის გაქრობა ვერც იმ კანონზომიერებას გააუქმებს, რომელიც ბრძნულ - ხალხურ გამონათქვამებშია ასახული და რომლის თანახმადაც „კვიცი გვარზე ხტის, მწყერი ხეზე ვერ შეჯდება“ და „კუს შვილი კუ იქნება“ (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, #15, 21 აპრილი, 2019 გვ.12.).

პირველი მაგალითი ადასტურებს, რომ საგაზეთო ტექსტში დაფიქსირებულია მხოლოდ რესპოდენტის მოსაზრება. რესპოდენტის მიერ მიწვდილ ინფორმაციასთან დაკავშირებით სტატიის ავტორის მიერ სუბიექტური აზრი არ არის დაფიქსირებული.

მეორე მაგალითი გვიჩვენებს კონკრეტული მოვლენის ავტორისეულ შეფასებასა და ანალიზს.

სხარტი და დინამიური თხრობა - საგაზეთო პუბლიცისტური ტექსტის ერთ-ერთი მახასიათებელია.

მაგ.: „26 მაისს, საღამოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთა და დაგვამშვიდა, დავით გარეჯის ტერიტორიიდან აზერბაიჯანის მხარემ ტრაქტორები და ბულდოზერები გაიყვანა და ვითარების დრამატიზება საჭირო არ არისო!

არადა, აზერბაიჯანელებმა ტექნიკა იმიტომ გაიყვანეს, რომ 20-დან 25 მაისის ჩათვლით შეუჩერებლივ იმუშავეს და ჩიჩხიტურის ტაძრამდე გზის გაყვანა უკვე დაამთავრეს! („ასავალ-დასავალი“, 27 მაისი-2 ივნისი, 2019 გვ. 3)

თემის აქტუალობა - ინფორმაციის სიახლე და ექსკლუზიურობა ერთ-ერთი ღირებულებითი ნიშანია საგაზეთო პუბლიცისტური ტექსტებისათვის.

საგაზეთო პუბლიცისტურ ტექსტებში შეინიშნება **ახალი ლექსიკისა და ტერმინოლოგიის, სლენგისა და ნეოლოგიზმების გამოყენება.**

მაგალითად: ყოფილი გეის აღსარება („ასავალ-დასავალი“, 27 მაისი-2 ივნისი, 2019, # 21 გვ.16); ხელისუფლებას არა აქვს პასუხი, რატომ „გაიჭედა“ პარლამენტში კანონპროექტი („კვირის პალიტრა“, #18, 2018); „ეს ადამიანები „აპრავებენ“ რეჟიმს („კვირის პალიტრა“, #9, 2018); მსგავსი ნიმუშებია: „ყველა თავისთვის უბერავს“; „საქმეს კერავს“ და სხვა.

ნეოლოგიზმების სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა პოლიტიკური ტექსტები, რომელთა დიდ ნაწილს მოეპოვება შესაბამისი ქართული ლექსიკური ერთეულები, თუმცა, მათი შემოსვლა-დამკვიდრების პროცესში ეს ფაქტორი უგულებელყოფილია და უპირატესობა უცხო წარმოშობის ლექსიკურ ერთეულს ენიჭება. მაგ.: პოზიცია/მდგომარეობა; ინტენსიური/გამდიდრებული; სიტუაცია/მდგომარეობა; ინდიკატორი/მაჩვენებელი; ინიციატორი/მოთავე და სხვა (ჩარკვიანი, ნ., 2018, 116).

საგაზეთო ენა სხვადასხვა სტილისტური მახასიათებლების ერთობლიობაა (Dijk 1988a,76; Crystal&Davy 1969,174). პრესის ენა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც

განსაკუთრებული დისკურსი თავისი დამახასიათებელი სტილითა და ლექსიკური ფონდით/ლექსიკონით (Pape&Featherstone 2005, page 49). (T. 2. M. 1994. 604 cPape&Featherstone 2005,page 49).

ორინა ცინცაძე თავის ავტორეფერატში აღნიშნავს: „როდესაც პუბლიცისტური სტილის რაობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვიმსჯელოთ პუბლიცისტური სტილის სინტაქსზე. კერძოდ, როგორც ცნობილია, პრესაში ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველების სინტაქსი გამოიყენება. მიზეზი ისაა, რომ სასაუბრო სტილი ენის ბუნებრივი საყოველთაო ფორმაა, ამიტომ იოლი გასაგებია. სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სასაუბრო სტილი თავისებურად ანეიტრალებს პრესის წიგნურ მეტყველებას. სასაუბრო სტილს ლაკონურობა, მოქნილობა, სისხარტე ახასიათებს და ამით ფრაზა შეკუმშული და შინაარსობლივად ტევადი ხდება. ამით ახერხებს პრესა დროის ერთეულში ინფორმაციის უზრუნველყოფას. სასაუბრო სტილის ელემენტები პუბლიცისტური მეტყველების ექსპრესიულობასაც აძლიერებენ“ (2015).

თანამედროვე პუბლიცისტიკა თავისებურია და მას აქვს ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა:

1. სხარტი და დინამიკური თხრობა;
2. თემის აქტუალობა, ინფორმაციის სიახლე და ექსკლუზიურობა;
3. ახალი ლექსიკა- ტერმინოლოგიის, სლენგის აქტიური გამოყენება;
4. პოლიტიკური პათოსი;
5. ენობრივი შტამპების, კლიშეების, ჩამოყალიბების ტენდენცია;
7. სიტყვებისა და გამოთქმების მეტაფორული გამოყენება;
8. შემოკლებები და აბრევიატურები;
9. ეფექტური ფრაზების წინ წამოწევა.

საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტების ფუნქციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არის მძლავრი ბერკეტი ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების სხვადასხვა ჭრილში განხილვის. ამისათვის საგაზეთო პუბლიცისტიკაში გამოხატვის სხვადასხვა საშუალება გამოიყოფა მათ შორის იუმორი და სატირა, რაც სწორედაც ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს.

§2. საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტების სატირისა და იუმორის თემატიკა ქართულსა და ინგლისურში

როგორც დაკვირვება ცხადყოფს და ეს თვალის ერთი შევლებითაც დასტურდება, პუბლიცისტიკა თავისი უმთავრესი ფუნქციების შესასრულებლად და მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ენობრივ საშუალებას შორის აქტიურად იყენებს სატირასა და იუმორს.

ჩვენი ძირითადი ამოცანის გადასაჭრელად, აუცილებლად ჩავთვალებთ, თვალი გადაგვევლო და წარმოგვედგინა ამ მიმართებით არსებული ისტორიული ვითარება.

ზოგადად, სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია და ჩვენც ცალსახად ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სატირისა და იუმორის სრულფასოვნად შესასწავლად, საგულისხმოა პრესაში არსებული მასალის გათვალისწინება და ბეჭდვითი ორგანოების როლის ნათელყოფა სატირულ-იუმორისტული ლიტერატურის შექმნაში (გრ. კიკნაძე, 1972: 183).

თავდაპირველად პრესაში გამოქვეყნებული სატირულ-იუმორისტული მასალა მოკლებულია ნამდვილ ორიგინალობას, როგორც თემატურად, ისე სიტყვიერი გამოსახულების საშუალებების თვალსაზრისით, თუმცა, 1860 წლიდან თანდათან თავს იჩენს მკვეთრი და ორიგინალური სატირა, რაც ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული.

„სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ და გიორგი ერისთავის „ცისკარი“ არ შეიცავენ მნიშვნელოვან სატირულ-იუმორისტულ მასალას, ამიტომ მათ ადრინდელი ქართული სატირული ლიტერატურის განვითარების შეფერხების პროცესის გამოხატულებადაც კი მიიჩნევენ 30-50 წლის განმავლობაში (გრ. კიკნაძე, 1972: 193). ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს: „ცისკარი“ მეტად ფეხმოკლე და ხელმოკლე იყო, მაგრამ ეს ეპატიება, როგორც ახალს საქმეს, ჯერ უჩვეულო და უასაკოს... იმისი კარგი ის იყო, რომ არსებობდა. ზოგჯერ მარტო არსებობაც ღვაწლია, ნამეტნავად იმ გაჭირვებაში, როგორშიაც იყო „ცისკარი“ (ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1941. ტ.2: 89). თუმცა ჟურნალ „ცისკრის“ ერთგვარმა განყოფილებამ „სალაყბოს ფურცლის“ სახელწოდებით, მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ჟურნალიც და საზოგადოებაც. შინაარსს მკითხველს იგი

აწვდიდა სატირულ-იუმორისტულ ფორმაში. ამ განყოფილების შექმნის მიზანი აშკარად იყო იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო როტო და გადაუდებელი საკითხების დასმა და განხილვა.

„სალაყბოს ფურცელი“ საგანგებოდ მსჯელობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: „დაწინაურებულ“ ქართველთა გადაგვარების, სხვადასხვა თანამდებობაზე კანდიდატთა დასახელებისა და არჩევის საკითხები; ქალაქისა და ლოტოს თამაში; ქარაფშუტობა, ჭორაობა, წამხდურობა და მოდით გატაცება; ოჯახისა და მეურნეობისადმი უყურადღებობა; მექრთამეობა და პროტექცია, საზოგადო ინტერესების მივიწყება; მართლმსაჯულება, ადამიანთა თანასწორობა, ქართულად მეტყველების აუცილებლობა და ქართული ენის დაცვა, განათლება და სხვა.

აქტუალური საკითხების დასმა, შემჩნევა, უდავოდ, მიუთითებს თხზულებათა საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, თუმცა არ ნიშნავს საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნის შესაბამისად მათ გადაწყვეტას.

საგაზეთო ენის ანალიზის პროცესში ძალზე საინტერესოა სტატიების თემატიკაზე დაკვირვება და მათი ზოგიერთი ლინგვისტური თავისებურების წარმოჩენა. თემატური კლასიფიკაცია ერთობ პირობითია და იგი გარკვეული თემის დომინანტობის ფაქტიდან გამომდინარეობს.

აღსანიშნავია სატირისა და იუმორის შემდეგი კლასიფიკაცია:

1. საყოფაცხოვრებო სატირა
2. სოციალურ-პოლიტიკური სატირა

თანამედროვე საგაზეთო სტატიებში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, გაიზარდა პოლიტიკური შინაარსის სტატიების გამოქვეყნება. სტატიის ავტორები პოლიტიკური პერსონების მიმართ სუბიექტური მოსაზრების გადმოსაცემად აქტიურად იყენებენ სატირასა და იუმორს. მათთვის სატირა და იუმორი კარგი იარაღია, იმისათვის, რომ საზოგადოებას მათი მანკიერი თვისებები დაანახვოს ან მიმდინარე მოვლენების სიმწვავე სატირისა და იუმორის საშუალებით გადმოსცეს.

„სატირა და იუმორი ის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რომელიც მკაფიოდ ასახავს საზოგადოებაში არსებულ ჭიდილსა და ბრძოლას. მათი მეშვეობით თავისებურად, თუმცა, არანაკლებ მწვავედ და გამანადგურებლადაც კი, სხვა საშუალებებთან

შედარებით, ხერხდება ობიექტზე თავდასხმა, დაცინვა, გაცამტვერება, უვარგისობის გამომჟღავნება“ (გრ. კიკნაძე, 1972, გვ. 5).

საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის შინაარსობრივი მხარე განისაზღვრება ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან, მიზანსა და მისწრაფებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი თემატიკით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გაზეთში, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, აისახება თანამედროვეობის აქტუალური საკითხები: **პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი, ფილოსოფიური, კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა**; ცალსახაა, რომ გაზეთის ფურცლებზე ხვდება ფაქტობრივად ნებისმიერი ფაქტი, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობის დაცვით - იგი უნდა იყოს საზოგადოებრივად საინტერესო, გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს მკითხველის ცნობიერებაზე. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მასალის/ფაქტების შერჩევა და მიწოდების ხასიათი.

საგაზეთო-პუბლიცისტური სტილი აერთიანებს სხვადასხვა სფეროს: პოლიტიკურს, საზოგადოებრივს, ეკონომიკურს, კულტურულს, სპორტს და სხვა მიმართულებებს. საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტების მიზანია მიმდინარე მოვლენების, კულტურის, ტექნიკისა და მეცნიერების ახალი მიღწევების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. მაგალითად: გაზეთი „კვირის პალიტრა“, 21-27 იანვარი, 2019წ. - სულ არის **31** სტატია, აქედან **11** სტატია-პოლიტიკური შინაარსის, საზოგადოებრივი - **9**, კულტურის - **2**, ეკოლოგიის - **3**, სხვადასხვა თემატიკის - **6**. გვხვდება ასევე რელიგიის თემასთან დაკავშირებული სატირისა და იუმორით გამსჭვალული სტატიები: „პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლემ ლიბერასტული ნაგავი ააქოთა“ („ასავალ-დასავალი“, 6-12.06.2019 #18, გვ.15). სტატიაში განხილულია თამარ ჩერგოლეიშვილის მოსაზრება პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლესთან დაკავშირებით. ავტორმა უარყოფითი იუმორისტული დამოკიდებულება გამოხატა - ის (თამარ ჩერგოლეიშვილი) აღნიშნავს, რომ „არ მჯერა სამოთხე-ჯოჯოხეთის „ქრისტე-გ-გ“ მოკვდა და მოკვდა მორჩა დამთავრდა! სამოთხე არის თუ რაღაცა ისეთს შევქმნი შემდეგ ჩემი სახელი კარგად ახსოვთ. ამ ქვეყნად მოდიხარ და უნდა მოასწრო რისი გაკეთებაც გინდა, სასურველია კვალი დატოვო“ რა გაეწყობა როდესაც თამარა ჩერგოლეიშვილი მოკვდება მისი განვლილი ცხოვრებიდან

გამომდინარე, კვალი ნამდვილად არ დარჩება და ყველაზე ღმობიერი ადამინიც სწორედ ამას იტყვის: „მოკვდა და მოკვდა!“ („ასავალ-დასავალი“, 6-12.06.2019 #18გვ.15).

ერთ-ერთი სტატიის ავტორი უარყოფით/სატირულ დამოკიდებულებას გამოხატავს დავით ბერძენიშვილის მიმართ და „ნაგავს“ უწოდებს:

„დავით ბერძენიშვილი იმიტომ არის ნაგავი, რომ ჰგონია, მართლმადიდებლობა ქართველი ეროვნული რელიგია არ არისო, არადა, ეს ნაგავი პროფესიით ისტორიკოსია... ვინ ვინ და ამ ნაგავმა მაინც უნდა იცოდეს, რომ თუ კი ვინმესთვის არის მართმადიდებლობა ეროვნული რელიგია, ეს სწორედ ქართველი ერია! და უხერხულადაც კი მიმაჩნია, რამდენი მილიონი ქართველის სისხლი დაიღვარა ათასწლეულთა მანძილზე ქრისტეს გზის ერთგულებისთვის“ („ასავალ-დასავალი“ 6-12.06.2019 #18გვ.15).

განხილული ქართულენოვანი გაზეთებიდან („ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „კვირის პალიტრა“) ინფორმაციის 75%-ზე მეტი დათმობილი აქვს პოლიტიკური თემატიკის სტატიებს. „ასავალ-დასავალის“ თითქმის ყველა სტატია პოლიტიკური ხასიათისაა.

აღსანიშნავია, რომ ძალზე საინტერესო საკვლევ საკითხად გამოიყურება თანამედროვე საგაზეთო ტექსტების ლინგვისტური კვლევა თემატიკის მიხედვით. განსაკუთრებით პოლიტიკური თემატიკის ტექსტებისა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური დისკურსის შესწავლას გარკვეული ისტორია გააჩნია. კვლევამ ცხადყო, რომ, ფაქტობრივად, დღეს ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში მიმდინარე პროცესებიც კი პოლიტიკურ ჭრილშია განხილული. პოლიტიკური რიტორიკისადმი ინტერესი შეიმჩნევა, როგორც თავად პოლიტიკოსთა, ასევე არაპოლიტიკოსთა შორის... პოლიტიკური დისკურსი უფრო მეტად „სოციალური“ გახდა, რამაც ხალხის მასიური ჩართულობა გამოიწვია დებატებში (ჩარკვიანი ნ., 2018, 115).

ქართულენოვანი გაზეთებიდან „კვირის პალიტრაში“ დასტურდება სტატიები, რომელიც ეხება ეკონომიკის, სპორტის, ტექნოლოგიებისა და ხელოვნების სფეროში მიმდინარე მოვლენებს:

- „საქართველო - ღვინის სამშობლო“ - პროექტი, რომელმაც იაპონელებს ქართული ღვინო შეაყვარა. (კვირის პალიტრა #21, 20-26 მაისი, 2019, გვ. 17) აღნიშნულ სტატიაში განხილულია ქართული ღვინის ექსპორტი იაპონიაში.

- 4 ინდაურითა და 6 ჭუჭულით დაწყებული ბიზნესი (კვირის პალიტრა #21, 20-26 მაისი, 2019, გვ. 16)
- როგორ იქცა „პალიტრანიუსის“ პროდიუსერი მეურნედ (კვირის პალიტრა, #45, 5-11 ნოემბერი, 2018 გვ. 15-18)
- მომავლის პროფესიები - ციფრული სამყარო (კვირის პალიტრა, #45, 5-11 ნოემბერი, 2018 გვ. 19)
- „სესილიას დიდი მონოლოგი უნდა წაეკითხა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არ იყო საჭირო - აღნიშნულ სტატიაში -კინოში მუსიკის, ხმისა და სხვადასხვა ეფექტის როლზე რეჟისორი ნანა ჯანელიძე იმ ფილმების მაგალითზე საუბრობს, რომლებიც მის შემოქმედებას უკავშირდება (კვირის პალიტრა, #45, 5-11 ნოემბერი, 2018 გვ. 23).

ბრიტანული გაზეთების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მათში უმთავრესად ჭარბობს სტატიები ისეთ თემებზე, რომელთა მასშტაბურობა საკმაოდ მაღალია. ამასთანავე, ისინი ორიენტირებულია უარყოფით მოვლენებზე, რომელიც ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი ხდება. მიმდინარე ეტაპზე ბრიტანული გაზეთების გვერდები ეთმობა ისეთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, როგორიცაა ბრექსიტი (გაერთიანებული სამეფოს გასვლა ევროკავშირიდან). პრაქტიკულად ყველა გაზეთი მთავარ გვერდებს უთმობს ამ თემას. მაგ.: **BREXIT LIVE: Backstop BREAKTHROUGH? DUP throws scrambling May LIFELINE - deal could PASS** (გაზეთი *Daily Express*) https://admin.express.co.uk/news/politics/1077550/brexit-news-latest-update-deal-vote-no-deal-theresa-may-DUP?utm_source=traffic.outbrain&utm_medium=traffic.outbrain&utm_term=traffic.outbrain&utm_content=traffic.outbrain&utm_campaign=traffic.outbrain

Brexit: Tories scramble to claim we WILL leave on time after 'delay' overheard in bar (გაზეთი *Daily Mirror*) <https://www.mirror.co.uk/news/politics/brexit-tories-scramble-claim-leave-13992721>

ბრექსიტის საკითხთან დაკავშირებით, ჟურნალ-გაზეთები აქტიურად განიხილავენ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის თარიღს და პრემიერ მინისტრ ტერეზა მეის როლს მოცემულ სიტუაციაში.

Brexit: MPs plotting last minute ambush to force Theresa May to delay Brexit day (გაზეთი *Daily Mirror*)
<https://www.mirror.co.uk/news/politics/brexit-mps-plotting-last-minute-13990330>

When is Brexit? Key dates in 2019 as UK prepares to leave the EU (გაზეთი *Daily Mirror*)
<https://www.mirror.co.uk/news/politics/brexit-key-dates-2019-uk-13830033>

Theresa May asks MPs to hold their nerve on Brexit talks (გაზეთი *The Guardian*)
<https://www.theguardian.com/politics/2019/feb/12/theresa-may-asks-mps-to-hold-their-nerve-on-brexit-talks>

ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე, აპროგნოზებენ შესაძლო მიგრაციებს ბრექსიტის გეგმის განხორციელების ფონზე.

UK net migration could INCREASE by 100,000 under Government's post-Brexit plans (გაზეთი *Daily Mirror*) <https://www.mirror.co.uk/news/politics/uk-net-migration-could-increase-13990884>

What is the Brexit backstop, and why is the Irish border so important to the deal? (*The Telegraph*) <https://www.telegraph.co.uk/politics/0/brexit-backstop-irish-border-important-deal1/>

‘They’ve thrown their hands up and walked out!’ EU to back Robbins' Brexit delay plan (გაზეთი *Daily Express*) <https://www.express.co.uk/news/uk/1086555/Brexit-news-UK-EU-Article-50-delay-Olly-Robbins-no-deal-latest>

ჟურნალ-გაზეთები ბრექსიტის შემთხვევაში, აგრეთვე, საუბრობენ შესაძლო ფულად მახინჯიებზე და იმ შექმნილ გარემოებაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი უკვე დიდი ბრიტანეთის დარჩენა ევროკავშირის ფარგლებში.

Dark money is pushing for a no-deal Brexit. Who is behind it? (გაზეთი *The Guardian*)
<https://www.theguardian.com/commentisfree/2019/feb/13/dark-money-hard-brexit-targeted-ads-facebook>

No deal vs no Brexit: How Britain could end up staying in the EU after all (გაზეთი *The Telegraph*) <https://www.telegraph.co.uk/politics/2019/01/29/no-deal-vs-no-brexit-britain-could-end-staying-eu/>

Brexit: Theresa May's policy is not 'deal or delay', says Stephen Barclay (გაზეთი *BBC News*)
<https://www.bbc.com/news/uk-politics-47218687>

Brexit: Are we running out of time? (გაზეთი *BBC News*) <https://www.bbc.com/news/uk-politics-47174159>

Brexit: Will there be a resolution to months of indecision? (გაზეთი *BBC News*)
<https://www.bbc.com/news/uk-politics-47206342>

ზემოთ ჩამოთვლილ ბრიტანულ გაზეთებში არანაკლები ადგილი უჭირავს ეკონომიკას, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის შიდა თუ გარე პოლიტიკასთან, კერძოდ კი, ბრექსიტთან.

Can blockchain save Brexit? It could solve Ulster border problem? (გაზეთი *Daily Express*)
<https://www.express.co.uk/finance/city/1086586/blockchain-save-Brexit-ulster-border-crv>

Pound euro exchange rate: GBP/EUR steadies as crumbling Eurozone worries Eurogroup (გაზეთი *Daily Express*) <https://www.express.co.uk/finance/city/1086070/Pound-euro-exchange-rate-crumbling-Eurozone-worries-Eurogroup-tfx>

როგორც ჩანს, ბრიტანული პაუნდის ბედი ბევრს აღელვებს. შედეგად, ბრიტანული პაუნდისა და ამერიკული დოლარის გარშემო მიმდინარე მოვლენები

თანამედროვე ბრიტანული თუ ამერიკული გაზეთების აქტიური განხილვის საგნად არის ქცეული.

Pound LIVE: GBP Sterling RECOVERS against US dollar after slumping to THREE-WEEK LOW (გაზეთი *Daily Express*) <https://www.express.co.uk/finance/city/1085948/pound-euro-us-dollar-exchange-rate-live-price-updates-brexit-news-theresa-may>

Pound to euro exchange rate: GBP rises ahead of key Theresa May Brexit speech today (გაზეთი *Daily Express*) <https://www.express.co.uk/travel/articles/1085924/pound-euro-exchange-rate-brexit-news-gbp-bank-of-england-latest>

Why a cheaper pound is not always a good thing (გაზეთი *The Telegraph*) <https://www.telegraph.co.uk/business/2019/02/13/cheaper-pound-not-always-good-thing/>

ინგლისური მედია სივრცე ყურადღებით აკვირდება სამეფო ცხოვრებას, რასაც მოწმობს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ამ თემატიკის ამსახველი პერმანენტული სტატიები, ანუ, შეიძლება ითქვას, ბრიტანული მედია გულგრილი არ არის ახალი ამბების პერსონალიზაციის მიმართ. მაგ.:

Royal family warns social media trolls: We'll report you to police (გაზეთი *The Times*) <https://www.thetimes.co.uk/edition/news/royal-family-warns-social-media-trolls-we-ll-report-you-to-police-tgxx6kktz>

Meghan Markle and Kate REUNITE for Prince Charles's party at Buckingham Palace (გაზეთი *Daily Express*) <https://www.express.co.uk/news/royal/1095892/meghan-markle-kate-middleton-royal-news-prince-charles>

Meghan Markle and Kate Middleton in rare joint visit at Queen's party for Charles (გაზეთი *Daily Mirror*) <https://www.mirror.co.uk/news/uk-news/breaking-meghan-markle-attends-queens-14089635>

ხაზგასასმელია, რომ განხილული სტატიების სათაურებად ხშირია კითხვითი და კითხვა-მახილის წინადადებები, რადგან რიტორიკული ფორმა კიდევ უფრო ამძაფრებს ირონიას და მკითხველის ინტერესს, რაც, უდავოდ, გაცილებით კითხვადს ხდის სტატიას.

მაგ.: Brexit: Will there be a resolution to months of indecision? Can blockchain save Brexit? It could solve Ulster border problem? აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისურენოვანი პრესისათვის უცხო არაა პერსონალიზაცია, თუმცა არა ისეთი სიხშირითა თუ სიმძაფრით, როგორც ქართულენოვანი მედია სივრცეში. მაგ.: **Meghan Markle and Kate Middleton in rare joint visit at Queen's party for Charles Brexit: Theresa May's policy is not 'deal or delay', says Stephen Barclay.**

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ინგლისურენოვანი გაზეთების სათაურებში კონკრეტული სიტყვების დიდი შრიფტით გამოსახვა, რაც ემფატიზობას სძენს კონკრეტულ სათაურს და იმთავითვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მაგ.: Meghan Markle and Kate **REUNITE** for Prince Charles's party at Buckingham Palace.... Pound **LIVE**: GBP Sterling **RECOVERS** against US dollar after slumping to **THREE-WEEK LOW** ...

ინგლისურენოვან ონლაინ გაზეთებში, მაგალითად, The Telegraph წარმოდგენილი სტატიები ძირითადად კლასიფიცირებულია შემდეგი თემატიკის მიხედვით:

- **მეცნიერება**

Google facing fresh US antitrust investigation after billions in EU fines (The Telegraph, June 1, 2019)

- **პოლიტიკა**

Jeremy Hunt hints at Huawei climbdown as Donald Trump sets off for State visit (The Telegraph, June 2, 2019)

- **განათლება**

Average A-level Music class now has just three students, study finds (The Telegraph, May 31, 2019)

- **ჯანმრთელობა**

Farmed or wild? Fresh or frozen? The ultimate guide to the healthiest fish (The Telegraph, June 2, 2019)

- ბიზნეს-ეკონომიკა

China 'rigs' 5G test to favour Huawei (The Telegraph, June 1, 2019)

- სპორტი

Why was Tottenham vs Liverpool Champions League final the flattest in recent memory? (The Telegraph, June 2, 2019)

- კულტურა

Venice Preserved, RSC Swan, review: less tragedy, more pity – for the actors involved (The Telegraph, June 2, 2019)

მეტი თვალსაჩინოებისათვის, გრაფიკული სახით გამოხვატეთ ქართული და ინგლისურენოვანი ჟურნალ-გაზეთების სატირისა და იუმორის თემატიკა, საიდანაც ნათლად ირკვევა, რომ ინგლისურენოვან ჟურნალ-გაზეთებში სტატიების თემატიკა შედარებით უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტიზებულია.

პოლიტიკა

ეკონომიკა

საზოგადოებრივი

კულტურა

ეკოლოგია

სხვადასხვა
თემატიკა

პოლიტიკა

მეცნიერება

ბიზნეს-ეკონომიკა

განათლება

ჯანმრთელობა

კულტურა

სპორტი

სხვადასხვა თემატიკა

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართული და ინგლისურენოვანი გაზეთების მთავარ საანალიზო საკითხებს პოლიტიკა წარმოადგენს. ამდენად, ხაზგასასმელია, რომ თუ ბრიტანულ მედიაში ინტერესი ბრექსიტსა და სამეფო კარზეა გადატანილი, ქართული ჟურნალ-გაზეთებში განთავსებული სტატიების უმრავლესობა პოლიტიკურ თემებს ეძღვნება და უმეტესად პერსონალიზებულია, ანუ მიმართულია კონკრეტული პირებისკენ, უმთავრესად პოლიტიკოსებისკენ. ეს, შესაძლოა, იმით იყოს გამოწვეული, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, რაც იძლევა შესაძლებლობას ცალკეული პერსონების მიმართ ცნობადობის გაზრდისა და მათდამი ინტერესის გაჩენისა საზოგადოების მხრიდან. პერსონალიზაცია თავად სტატიების სათაურებშიც უხვად დასტურდება. მაგ.: რატომ იცავს ნანა კაკაბაძე „კანონიერ ქურდებს“ ?! (კვირის პალიტრა);

ღარიბაშვილი "ქართული ოცნების" გადასარჩენად - ექსპრემიერი, მისი ცოლის ნათესავები და მორიგი "მადლობა ბატონ ბიძინას!" (გაზეთი - კვირის პალიტრა); <https://www.kvirispalitra.ge/politic/51377-gharibashvili-qqarthuli-ocnebisq-gadasarchenad-eqspremieri-misi-colis-nathesavebi-da-morigi-qmadloba-baton-bidzinasq.html>;

არასამთავრობო ორგანიზაციები - მამუკა ხაზარაძის განცხადება ამყარებს ეჭვებს საქართველოში სახელმწიფოს მიტაცების ნიშნებთან დაკავშირებით (ნეტგაზეთი - IPN ინტერპრესნიუსი) <https://www.interpressnews.ge/ka/article/535771-arasamtavrobo-organizaciebi-mamuka-xazarazis-gancxadeba-amqarebs-echvebs-sakartveloshi-saxelmcipos-mitacebis-nishnebtan-dakavshirebit/>.

სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის რანგში პარლამენტს ხვალ პირველად მიმართავს (გაზეთი - კვირის პალიტრა) <https://www.kvirispalitra.ge/politic/51389-salome-zurabishvili-prezidentis-rangshi-parlaments-khval-pirvelad-mimarthavs.html>

"რას აკეთებთ თქვენ მანდ, პანკისში?! ტვინი, გული, სინდისი ან თვითგადარჩენის ინსტინქტი თუ შეგრჩათ ვინმეს ხელისუფლებაში?! რით ვერ გაძღა თქვენი მუცლები?! ვინ მოგცათ საქართველოს უსაფრთხოებით თამაშის უფლება?! თუ ამ ქვეყანას რამე დაემუქრა, პირველი თქვენ გაისრისებით ნანგრევებში, იცოდეთ!!!"

<https://www.kvirispalitra.ge/public/52810-qshevardnadzes-saakashvils-ivanishvils-yvelas-mravaljeradad-da-mudmivad-ufethqdebath-pankisiq-rogor-ekhmaurebian-qfeisbukshiq-pankisis-kheobis-movlenebs.html> (გაზეთი - კვირის პალიტრა);

"შევარდნაძეს, სააკაშვილს, ივანიშვილს - ყველას მრავალჯერადად და მუდმივად უფეთქდებათ პანკისი" <https://www.kvirispalitra.ge/public/52810-qshevardnadzes-saakashvils-ivanishvils-yvelas-mravaljeradad-da-mudmivad-ufethqdebath-pankisiq-rogor-ekhmaurebian-qfeisbukshiq-pankisis-kheobis-movlenebs.html> (გაზეთი - კვირის პალიტრა).

მსგავსად ბრიტანული მედია სივრცისა, ქართულ გაზეთებში ეკონომიკური თემატიკის სტატიები მჭიდრო კავშირშია ქვეყანაში შექმნილ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობასთან. მაგ.:

„ხაზარაძე-ჯაფარიძის შემთხვევა ქვეყანაში ბიზნესის განწყობას გააუარესებს“ (ნეტგაზეთი - ბიზნეს პრეს ნიუსი bpn) <https://www.bpn.ge/article/53672-xazaraze-japarizis-shemtxveva-kveqanashi-biznesis-gancqobas-gaauaresebs/>

გადამხდელთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი - ვვარაუდობ, რომ ბევრი ქართველი ბიზნესმენი კაპიტალის გატანას ქვეყნის გარეთ დაიწყებს (ნეტგაზეთი - ინტერპრეს ნიუსი) <https://www.interpressnews.ge/ka/article/535773-gadamxdelta-kavshiris-vice-prezidenti-vvaraudob-rom-bevri-kartveli-biznesmeni-kapitalis-gatanas-kveqnis-garet-daicqebis/>.

განაალიზებული მაგალითებიდან ცალსახად იკვეთება, რომ დამოკიდებულება საკითხებისადმი ხშირად უარყოფითია, უიმედო, საექვო და ირონიული/სატირული, რაც უმეტესად გამოხატულია რიტორიკული კითხვა-შემახილებით.

ბუნებრივია, როგორც ბრიტანული, ისე ქართულენოვანი გაზეთების სატირისა და იუმორის თემატიკა კიდევ უფრო მრავალფეროვანია და პერმანენტულ ცვალებადობაშია დროსა და სივრცეში. ჩვენი კვლევის ობიექტი შემოიფარგლა დროის შედარებით მოკლე და კონკრეტული მონაკვეთით, რაც ნათლად ცხადყოფს, თუ რისკენ ან ვისკენ არის მიმართული ქვეყნისა თუ საზოგადოების ინტერესები მოცემულ მომენტში.

§ 3. სატირა და იუმორი თანამედროვე საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტების სათაურებში

ბოლო ათწლეულების მანძილზე ირონიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლინგვისტიკის ყველა მიმართულებით, თუმცა, ის სათავეს უძველესი დროიდან იღებს და მას არისტოტელეს ეპოქამდე მივყავართ. ეს ის პერიოდია, როდესაც ირონიას მხოლოდ უარყოფითი დატვირთვა გააჩნდა (Gibbs and Izett, 1994, Sperber and Wilson, 1995).

სადღეისოდ ლინგვისტებს შორის გაცხოველებული კამათია გამართული იმის თაობაზე, ირონია კვლავ ნეგატიური შინაარსობრივი დატვირთვით რჩება, თუ მან უფრო მსუბუქი იუმორისტული შეფერილობა მიიღო. ერთი კი ნათელია, ირონია პირდაპირ კავშირშია სატირასთან.

ირონიის დეფინიციისას ლიტერატურათმცოდნეობით ლექსიკონებში დასტურდება მისი რამდენიმე მნიშვნელობა:

- უარყოფა ან დაცინვა (მასხარად აგდება), რომელიც თვალთმაქცურად ვლინდება თანხმობის ან მოწონების ფორმით;
- „რიტორიკული ფიგურა“; დაცინვის გამოთქმა ქარაგმების მეშვეობით, როცა კონტექსტში სიტყვა საპირისპირო მნიშვნელობას იძენს;
- კომიკურის სახეობა, სიცილი სერიოზულობის ნიღბის ქვეშ, რომელიც მალავს უპირატესობის ან სკეფსისის გრძნობას (ჯალაღონია, 2016)

ირონიის ფორმალურ-ლოგიკური სპეციფიკის ახსნა მოგვცა ა. ფ. ლოსევმა: „განსხვავებით სიცრუისგან, ირონია არა მხოლოდ მალავს ჭეშმარიტებას, არამედ გამოხატავს მას, ოღონდ - განსაკუთრებული ქარაგმებით (Лосев, 1965). ამ მხრივ მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია საგაზეთო სტატიების სათაურების ანალიზი.

საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტების განხილვისას ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა გაზეთის სათაური, წინადადების სინტაქსური წყობა,

რიტორიკული შეკითხვები, მიმართვის ფორმა, სასაუბრო კონსტრუქციები, დაუსრულებელი წინადადებები, იდიომები და სხვა.

სტატიის სათაური მედია-ტექსტის ის უმთავრესი საკვანძო ერთეული და უმნიშვნელოვანესი გასაღებია, რომლის საშუალებითაც ხდება მკითხველის ყურადღების მიპყრობა. ხშირია საგაზეთო სათაურების ზედაპირული გადახედვა და იმ კონკრეტულ სტატიაზე შეჩერება, რომლის სათაურიც უფრო მეტად იპყრობს მკითხველის ყურადღებას.

შესაბამისად, სტატიის სათაური უნდა იყოს სტილურად დახვეწილი, მრავლისმთქმელი და, ამავე დროს, დამაინტრიგებელი. მიზნის მისაღწევად, უმთავრესი როლი ეკისრება ენობრივ ექსპრესიას და გამოხატვის იმ ენობრივ თუ სტილურ საშუალებებს, რომლებიც სათაურს დახვეწილს და კიდევ უფრ მიმზიდველს ხდის.

უპირველესი, რაც საგაზეთო სტატიის სათაურებზე დაკვირვებამ და მათმა ანალიზმა გვიჩვენა, ისაა, რომ სათაურის გაფორმებისას, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება ირონია, განსაკუთრებით კი - ვერბალური ირონია. ამ მხრივ იდენტური ვითარებაა, როგორც ქართულ, ისე – ინგლისურენოვან მედია–სივრცეში.

თითოეული მედია–სივრცე (ქართული/ინგლისური) განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც გრაფიკული, ასევე, სტილური გაფორმებით. თუმცა, მათ შორის გარკვეული მსგავსებები შეინიშნება.

როგორც ქართულში, ისე ინგლისურში, თვალშისაცემია საგაზეთო ტექსტების სათაურის გაფორმება. ქართულში ეს ფერების (უმთავრესად წითელი და შავი ფერის) ჩანაცვლებით ხორციელდება. მაგ.:

- ჩვენი **უცხო** თბილისი (კვირის პალიტრა)
- **უდავოდ** უსამართლონი (კვირის პალიტრა)
- ნაცების მელანქოლია (ასავალ-დასავალი, #21, 27 მაისი-2 ივნისი, 2019, გვ.11)
- საქართველო ღორკაცებმა შეჭამეს (ასავალ-დასავალი, #21, 27 მაისი-2 ივნისი, 2019, გვ.19)
- გა**WAR**და?! (კვირის პალიტრა)
- BREAKING NEWS: **Narcolepsy on the Ri**– (Iron- E-News, 27th March, 2017)

ინგლისურენოვან საგაზეთო სტატიების სათაურებში კი გრაფიკული გაფორმება დამატებით დიდი და პატარა ასოების მონაცვლეობით ხორციელდება. მაგ.:

- **RAF SCRAMBLED** as Russian fighter jets **BUZZ** airspace – Putin Tests Nato patience yet again (Express)
- Kate is likely to lose **THIS MUCH** sleep during the royal baby’s first year (Express)
- Meghan Markle to have royal baby **SOON?** Royal wives expected to become “pregnant quickly” (Express)
- Prince Harry’s private secretary **LEAVES** job despite being “godsend” to Meghan Markle (Express)

ინგლისური სტატიების სათაურებისთვის დამახასიათებელია ასევე აბრევიატურების გამოყენება, რაც ქართულ საგაზეთო სტატიებში ნაკლებად/ფაქტობრივად არ შეინიშნება.

მაგალითად:

1. Bob Seely Donald Trump is absolutely right about Huawei, and anyone interested in being PM should listen. (The Telegraph, June 2, 2019)
2. Frankenburger, anyone? Why lab-grown meat will be on menus sooner than you think-Are you ready for a hamburger grown in a lab? As the world struggles to feed its ever-growing population, the smart money (including Bill Gates’s) is on man-made alternatives to old-fashioned meat.
3. It is a treasure trove of some of the world’s most precious design objects – from 16th-century Persian rugs to Queen Victoria’s sapphire-and-diamond coronet. But this week the V&A’s dazzling collection in South Kensington will be joined by an unlikely new item: the humble sausage. For Carolien Niebling, the 35-year-old Dutch artist whose sausage-based works form a central part of Food: Bigger than the Plate. (<https://www.telegraph.co.uk/technology/0/frankenburger-anyone-lab-grown-meat-will-menus-sooner-think/>)

გრაფიკული გაფორმების გვერდით მეტად საინტერესოა, უშუალოდ, სათაურების ენობრივი ექსპრესია და მათი სტილური გაფორმება, ანუ ის სტილური საშუალებები, რომლის მიხედვითაც ხდება ირონიის ექსპრესიულობის ზრდა სათაურებში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს გარითმვის სტილური საშუალების გამოყენება, როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან საგაზეთო სათაურებში.

- ვით კალიგულამ აკურთხა სენატში ცხენი თავისი,
გთხოვ, პრემიერის „კრესლოში“ ჩემი ნიანგი ჩამისვი (ასავალ-დასავალი)
- Nine films that weren't shot where you thought (The Telegraph)

არანაკლებ საინტერესოა ქართული საგაზეთო სტატიების სათაურებში რიტორიკული კითხვების გამოყენება. მაგ.:

- „მუზეუმი“ თუ „ავტობაზრობა“?! (კვირის პალიტრა)
- პარლამენტი თუ ნინიას ბაღი?! (კვირის პალიტრა)
- ვის დაკრულზე „ცეკვავს“ ლარი?! (კვირის პალიტრა)
- „ოცნებაში“ დიდი წმენდა იწყება?! (ასავალ -დასავალი, 2019)

რიტორიკულ კითხვებთან ერთად, როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან საგაზეთო სათაურებში უხვად გვხვდება კითხვითი წინადადების ფორმები. მაგ.:

- რა ღირს ჩინოვნიკის საჯდომი... ავეჯი? (ქრონიკა +)
- სამთავრობო ცვლილებები თუ შესაკრებთა გადანაცვლება? (ქრონიკა +)
- ვინ არის ფრანგი ექსპერტი ერიკ ჰიუბრეხტი, რომელმაც თბილისის გენგებმა „დაბრაკა“? (ქრონიკა +)
- სად ერეკლე, სად ბანანი? (ქრონიკა +)
- სად გაგონილა, ვინმეს ემუქრებოდე და თან სთხოვდე შეწყალებაზე შუამდგომლობას? (გაზეთი „ასავალ-დასავალი“ #15, 21 აპრილი, 2019)

- დოქსოპულო შენ მამა გყავს? (ასავალ-დასავალი, 15-21.04.2019 გვ.12 #15)
- „კლანი არსად წასულა“, - ვის სურს უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლეობა? (Net.gazeti.ge, 5 ივნისი, 2019)
- ეს ასეთი შტერი არ იყო და აბა, რა თავს იშტერებს? სააკაშვილი ბოკერიაზე (Net.gazeti.ge, 16 აპრილი, 2019)
- Why is Trump surrounded by cocky, unqualified and kooky men? (Gardian)
- Meghan Markle to have royal baby SOON? Royal wives expected to become “pregnant quickly” (Express)
- The Jobless rate Is So Low. Why Aren’t Wages keeping Up? (The New York Times)
- More Clooney babies? Not likely, says Amal Clooney (The Telegraph 2017)
<https://www.telegraph.co.uk/news/2017/09/06/clooney-babies-not-likely-says-amal-clooney/>
- Want to know why Theresa May failed? (The Telegraph 2019)
- Frankenburger, anyone? (The Telegraph 2019)

კითხვითი წინადადებების გარდა, ქართულენოვან სათაურებში გამოყენებულია მახილის წინადადებები:

- დავაქორწინეთ, მამაშ!... (ასავალ-დასავალი)
- მივუთრიეთ! მივაშავეთ! მივაბნელეთ! (ასავალ-დასავალი)
- ქალია -ადამიანი! (ასავალ-დასავალი 6-12.06.2019 #18გვ.15)
- არჩევნებიდან არჩევნებამდე! (ასავალ- დასავალი, 2019)

ორივე ენის საგაზეთო სათაურებში ავტორები ხშირად მიმართავენ ბრჭყალებს ემოციის, კერძოდ კი, ირონიის ექსპრესიის მისაღწევად:

- „მეორედ მოსვლის“ ამოცანა (კვირის პალიტრა)
- ვის დაკრულზე „ცეკვავს“ ლარი? (კვირის პალიტრა)
- რა მზიანი აქვს „მწყალობელ“ პრეზიდენტს? (კვირის პალიტრა)
- დღეს ჩვენ მივიღეთ „მოსამართლეთა მაფია“ (კვირის პალიტრა)

- „ზელენსკი გაუმზადეთ ზელიონკა“ (ასავალ-დასავალი, 6-12.05.2019 #18 გვ.13)
- „ვიღაც შენგელაია და რაღაც რულოვსი“ - (ასავალ-დასავალი, 6-12.05.2019 გვ.10 #18)
- 'This isn't a film, this is real': the untold story of Saving Private Ryan – by the men on the beach (The Telegraph, June 5, 2019)
- 'I'm too embarrassed to tell my friends that my husband does all the work around our house' (The Telegraph, June 5, 2019)
- Japanese 'forest bathing' backed by Duchess of Cambridge 'should be prescribed on the NHS'(The Telegraph, June 5, 2019).
- Meghan Markle to have royal baby SOON? Royal wives expected to become “pregnant quickly” (Express)
- „Knives, Knives, knives“: Trump jobs at London Crime (The New York Times)

დიდ ყურადღებას იპყრობს ქართულენოვანი საგაზეთო სათაურების სტილური თავისებურებები. კერძოდ, ერთ-ერთი სტატიის სათაურში, რომელიც მხოლოდ ერთსიტყვიანია, ავტორს დასესხებული აქვს ინგლისური სიტყვა **war** (ომი), რომელიც გაერთიანებული აქვს ქართულ თავსართთან და ბოლოსართთან და კომპლექსურად მიღებულია ქართული სიტყვა შინაარსობრივი დატვირთვით „ტყვია გავარდა“:

- გა**WAR**და?! (კვირის პალიტრა)

ქართველი ჟურნალისტები ექპრესიულობისა და ირონიის გასამძაფრებლად არც სალიტერატურო ენისათვის მიუღებელ ვულგარულ გამონათქვამების, სლენგებისა თუ ჟარგონების, გამოყენებას არიდებენ თავს; ზოგჯერ არის დიალექტური სიტყვების გამოყენების ნიმუშებიც:

- ვინ არის ფრანგი ექსპერტი, ერიკ ჰიუმბრეხტი, რომელმაც თბილისის გენგეგმა „**დაბრაკა**“ ? (ქრონიკა +)
- პარლამენტი თუ წინიას ბაღი?! (კვირის პალიტრა)
- რა ღირს ჩინოვნიკის სა**ჯდომი**... ავეჯი? (ქრონიკა +)
- სად ერეკლე, სად ბანანი? (ქრონიკა +)

- აბა, არ უნდა იცოდეს, სად მიძვრები? (კვირის პალიტრა)
- როგორ „პრავდებოდა“ უნებართვო მშენებლობები (კვირის პალიტრა)
- ბედოვლათი თელავის მერია და აბდალი თელავის საკრებულო (კვირის პალიტრა)
- ნიკა გვარამიას სამეგრელოში „კუტა“ უწოდეს (გაზეთი ასავალ-დასავალი (2019).

ქართულენოვან მედია სივრცეში უხვად გვხვდება საგაზეთო სტატიის ისეთი სათაურები, რომლებიც ან მზა ფრაზებია კინოფილმებიდან თუ სხვა წყაროებიდან დასესხებული, ან აფორიზმების, მყარი გამონათქვამებისა თუ ანდაზების ერთგვარ ტრანსფორმაციას წარმოადგენენ. ასეთი შემთხვევები თითქმის არ დადასტურებულა ჩვენ მიერ გაანალიზებულ ინგლისურენოვან საგაზეთო სტატიის სათაურებში.

- „ხვედელიძე, გოლი, გოლი, მინდა“ (კვირის პალიტრა)
- როცა პოროშენკო ქუხს, კანონი დუმს! (ქრონიკა +)
- გიჟი ქორწილს შევიდა, ჩემ სახლს აქ სჯობიაო! (პალიტრა +)
- „დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცთა მოუხდებოდეს“ (პალიტრა +)
- დოქსოპულო შენ მამა გყავს? – „ღამურის სინდრომით შეპყრობილთა კომპლექსების გამო მთელ ერზე არ უნდა გავრცელდეს კითხვა-დოქსოპულო, შენ მამა გყავს? ქართველი ერი კოლექტიური დოქსოპულო არ არის! დაუბრუნეთ ქართველ ერს მამის სახელი! (ასავალ-დასავალი, 15-21.04.2019 გვ.12 #15)

ქართულენოვანი საგაზეთო სტატიის სათაურები კიდევ ერთი თავისებურებით გამოირჩევა. სახეზეა ალუზიის (ინგლისური ტერმინი, მხატვრული ხერხი - Allusion) მაგალითები, როდესაც სათაურებში გამოყენებულია ნაწარმოების ან სხვა ლიტერატურული შრომებიდან დასესხებული, როგორც საკუთარი, ისე – საზოგადო სახელები და ხდება მათი განზოგადება ირონიის მეტი ექსპრესიულობისათვის. მაგ.:

- სეთურიზმი - ხელისუფლება დენტის კასრზე (პალიტრა +)
- კალაძის სულიკო აქ არის! (ქრონიკა +)

- ვით კალიგულამ აკურთხა სენატში ცხენი თავისი, გთხოვ, პრემიერის „კრესლოში“ ჩემი ნიანგი ჩამისვი (ასავალ-დასავალი)
- „ქალი ვიცი ცრემლიანი“- ერევანში ოჯახში ძალადობაზე შეუსაბამო კანონპროექტს აკრიტიკებენ. (Net gazeti.ge, 23 ნოემბერი, 2017)
- **Saga of the Toxic Ball Fields** (The New York Times)
- **“Lucky Man”** wins lottery on same day as his birthday and retirement (Evening Standards)
- **We will schlock you** (The Telegraph, 2003, no. 24) აღნიშნულ მაგალითში ცნობილი როკ ჯგუფი “Queen”-ის ცნობილი სიმღერის ფრაზაა გამოყენებული.

ტექსტის სათაურებში გამოყენებულია ნაწარმოების ან სხვა ლიტერატურული შრომებიდან დასესხებული, როგორც საკუთარი, ისე საზოგადო სახელები და ხდება მათი განზოგადება - სათაურის ექსპრესიულობისათვის:

ქალია-ადამიანი?! - აღნიშნული რეპლიკა მიმართულია თამარ ჩერგოლეიშვილის მიმართ. მისი გამოყენება თამარ ჩერგოლეიშვილის გამოთქმულმა მოსაზრებამ განაპირობა, სადაც ის აღნიშნავს რომ „არ მჯერა სამოთხე-ჯოჯოხეთის „ქრისტე-გ.გ“ მოკვდა და მოკვდა მორჩა დამთავრდა! სამოთხე არის თუ რაღაცა ისეთს შევექმნი შემდეგ ჩემი სახელი კარგად ახსოვთ. ამ ქვეყნად მოდიხარ და უნდა მოასწრო რისი გაკეთებაც გინდა, სასურველია კვალი დატოვო“ რა გაეწყობა, როდესაც თამარა ჩერგოლეიშვილი მოკვდება მისი განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე, კვალი ნამდვილად არ დარჩება და ყველაზე ღმობიერი ადამინიც სწორად ამას იტყვის: „მოკვდა და მოკვდა!“ (ასავალ-დასავალი 6-12.06.2019 #18გვ.15).

აღნიშნული ფრაზა გამოყენებულია ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან **„კაცია ადამიანი?!“**.

კაცია ნაგავიანი - აღნიშნულ სტატიის სათაურში გამოყენებული სიტყვებით თამაში, ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამინის“ ანალოგიით. კაცია ნაგავიანი დავით ბერძენიშვილის ეპითეტია ავტორის განმარტებით (ასავალ-დასავალი 6-12.06.2019 #18გვ.15);

„ვიღაც შენგელაია და რაღაც რულოვსი“ - სააკაშვილი რულოვსის კამპანიაში აქტიურად ჩაერთო და ქართული ოცნების წისქვილზე აქტიურად ჩაერთო და წყალს

პირდაპირ ჰოლანდიიდან „სკაიპის“ მეშვეობით ასხამს. კერძოდ, ზუგდიდში რულოვსის კინკლა მხარდამჭერებთან „სკაიპით“ საუბრის დროს ნაცების რუმბივით გაგორებული ფალავანი ისეთებს არახუნებს, „ოცნება“ და მისი მერობის კანდიდატი გეგა შენგელია, სათავიანთოდ უკეთესს რომ ვერც ინატრებენ. მაგალითად: რამდენიმე დღის წინათ „მაგარ სკაიპში“ მყოფმა სააკაშვილმა, რომელიც ზუგდიდელ ნაცებს ჰოლანდიიდან ესაუბრებოდა ლეპტოპის დესკტოპიდან შუბივით გამოსტყორცნა გულის განმგირავი და სისხლის გამყინავი ფრაზა - თუ ზუგდიდის მერი ვილაც შენგელია გახდება, მე მასთან არ ვითანამშრომლებ, მაგრამ სანდრას თუ აირჩევთ, მასთან ერთად ისე ვიმუშავებ, ზუგდიდელებს აგაყვავებთ და ოქროს სარაიებს აგიშენებთო! (ასავალ-დასავალი, 6-12.05.2019 გვ.10 #18)

ავტორი შეფარულად და, ამავე დროს, ირონიულად აღწერს პერსონის მდგომარებას სიტყვის წარმოთქმის დროს „მაგარ სკაიპში“. მაგარ სკაიპში ავტორი გულისხმობს სიტყვებს „მაგარ კაიფში“.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ გაანალიზებული ინგლისურენოვანი საგაზეთო სტატიების სათაურები მხატვრული ხერხების სიუხვით მაინც და მაინც არ გამოირჩევა, სახეზე გვაქვს „მწვავე ინგლისური იუმორი“, რომელიც ვერბალური ირონიის ნათელი მაგალითია და, ამავე დროს, სატირისა თუ სარკაზმის რეალური გამოხატულება. მაგ:

- **Teen pregnancy drops off significantly after age 25** (The Morning Call)
- **Barbershop Singers bring joy to school for deaf** (The Morning Call)
- **Cybersecurity could make or break your business** (The Telegraph)
- **Bread and water fed to pupils who forgot lunch money** (The telegraph)
- **“Lucky Man” wins lottery on same day as his birthday and retirement** (Evening Standards)
- **EU Elections: Right Wing Nationalists, Left Wing Greens Make Big Gains** (<https://www.politico.eu/article/angela-merkels-coalition-first-in-eu-election-greens-make-big-gains-european-parliament-election-2019/>)

- **Dressed to distress – fashion statements of the Trumps on tour**
(<https://www.theguardian.com/fashion/shortcuts/2019/jun/04/dressed-to-distress-fashion-statements-of-the-trumps-on-tour>)

მსგავსი სატირა ვერბალური ირონიის სახით ქართულენოვან საგაზეთო სტატიების სათაურებშიც გვხვდება:

- „ცივი ომის“ ცხელი გაზაფხული (კვირის პალიტრა)
- ნატოს კარი სუპერმარკეტის კარი არაა, რომ მიახლოებისას თავისით გაიღოს
(ქრონიკა +)
- ჩვენი უცხო თბილისი (კვირის პალიტრა)
- „მივიღეთ საკუთარ თავში ჩაკეტილი აუტისტური პოლიტიკური პროცესი“
(კვირის პალიტრა)

როგორ უნდა მიიზიდოს საგაზეთო ტექსტმა მკითხველი? პირველ რიგში, რასაც მკითხველი აქცევს ყურადღებას, არის სათაური, რომელიც წინ უძღვის ტექსტს. ის არის ერთგვარი მინიშნება, რომელიც აქცენტს აკეთებს მთავარ იდეაზე, ხაზს უსვამს მთავარ სათქმელს. მისი ფუნქციაა კონკრეტული ტექსტის დასახელებასთან ერთად სხვადასხვა ტექსტების ერთმანეთისათვის გამოიჯვანა. თანამედროვე პრესაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათაურებს, რომლებსაც მკითხველის ანკესზე წამოგება შეუძლია. ის არ უნდა იყოს მხოლოდ ინტერესის აღმძვრელი, აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს ტექსტის შინაარსს, ამავედროულად, უნდა იყოს ლაკონური და ინფორმაციული.

მაგალითი:

„საარჩევნო კუროზები“ (კვირის პალიტრა 20-26.05.2019გვ.31)

საგაზეთო სათაურებს ორი ფუნქცია გააჩნია: **საინფორმაციო და სარეკლამო**. თუმცა თანამედროვე პრესაში მათი ფუნქციების გამოიჯვანა ვერ ხერხდება. ხშირად ისინი ერთმანეთს მოიცავენ. სათაური არა მარტო ტექსტის სახელია, არამედ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის ტექსტში განხილული საკითხის შესახებ, რომლითაც მკითხველში გარკვეული ინტერესის აღმძვრაც შეუძლია. სწორედ ამ დროს კვეთენ ერთმანეთს საინფორმაციო და სარეკლამო ფუნქციები. სარეკლამო ფუნქციაა -

უჩვეულო შინაარსისას და სტრუქტურის მქონე სათაურების შედგენა, რომლის მიზანია მკითხველი ყურადღების მიპყრობა. ავტორი ცდილობს შექმნას „დამაინტრიგებელი“ სათაური, რომელიც მიიზიდავს მკითხველს, მაგრამ ვერ დააკმაყოფილებს მათ ცნობისმოყვარეობას. ამ მიზნით სათაურებში ხშირად გამოიყენება სატირა და იუმორი.

მაგ. :

1. ივნის-ივლისი იმდენად მძიმე იქნება და ისეთი რაღაცეები მოხდება, რომ შუალედური არჩევნები და 17 მაისი მოგონება იქნება (ასავალ-დასავალი, 2019)
2. ქალთა-ადამიანი? აღნიშნული სათაურით ირონიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს სტატიის ავტორი პერსონის მიმართ (ასავალ-დასავალი 6-12.06.2019 #18გვ.15)
3. კაცია-ნაგავიანი (ასავალ-დასავალი 6-12.06.2019 #18გვ.15)
4. დიდი მელიაქოთი სამეგრელოში (ასავალ-დასავალი, 2019)
5. ყველამ თავის ლოთ მამიდას მოუაროს(ასავალ-დასავალი, 2019)
6. „ზელენსკი გაუმზადეთ ზელიონკა“ (ასავალ-დასავალი, 6-12.05.2019 #18 გვ.13)
7. პუტინი უკრაინას ახალ შეჭამანდს უმზადებს, რომელიც სააკაშვილით იქნება შეკაზმული (ასავალ-დასავალი, 6-12.05.2019 #18 გვ.13)
8. პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლემ ლიბერასტული ნაგავი (ასავალ-დასავალი, 6-12.05.2019 #18 გვ.1)
9. „The cab is working” (Bean Soap Time, 2019)
10. Latest election poll tracker (The Telegraph, 2019)
11. Female morphology, web design, and the potential for multiple mating in Nephila clavipes: do fat-bottomed girls make the spider world go round?
(<http://blogs.discovermagazine.com/seriouslyscience/2016/04/18/5294/>)
12. Friends Don't Let Friends Eat Cookies: Effects of restrictive eating norms on consumption among friends. (<http://blogs.discovermagazine.com/seriouslyscience/2016/04/18/5294/>)
13. Physician, where art thou?
(<http://blogs.discovermagazine.com/seriouslyscience/2016/04/18/5294/>)

14. Anomalous Optoelectronic Properties of Chiral Carbon Nanorings...and One Ring to Rule Them All. (<http://blogs.discovermagazine.com/seriouslyscience/2016/04/18/5294/>)
15. Breaking Badly: DFT-D2 Gives Sizeable Errors for Tensile Strengths in Palladium-Hydride Solids. (<http://blogs.discovermagazine.com/seriouslyscience/2016/04/18/5294/>)

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი საგაზეთო სტატიების სათაურები, სატირის თვალსაზრისით, ყურადღების ცენტრშია და ერთ-ერთ მთავარ საანალიზო წყაროდ შეიძლება მოგვევლინოს თავისი მდიდარი სტილური გაფორმებითა თუ ენობრივი სტრუქტურირებით.

§4. სატირისა და იუმორის გადმოცმის ენობრივი საშუალებები

თანამედროვე ქართულ და ინგლისურ საგაზეთო-პუბლიცისტურ ტექსტებში

სატირა და იუმორი ის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რომელიც მკაფიოდ ასახავს საზოგადოებაში არსებულ ჭიდილსა და ბრძოლას. მათი მეშვეობით თავისებურად, თუმცა, არანაკლებ მწვავედ და გამანადგურებლადაც კი, სხვა საშუალებებთან შედარებით, ხერხდება ობიექტზე თავდასხმა, დაცინვა, გაცამტვერება, უვარგისობის გამომჟღავნება (გრ. კიკნაძე, 1972: 5). იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ სატირაც და იუმორიც გამოხატავს დაცინვას გარკვეული დოზით, ორივე მათგანი ტრადიციულად ერთმანეთთანაა თავიდანვე დაკავშირებული. ჩვეულებრივ, ყოველი დაცინვა რაიმე მოვლენისადმი/ ფაქტისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოაშკარავებაა, რის გარეშეც ეს ფაქტი/მოვლენა ნაკლებ ფასეულად, ან ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულად მიიჩნევა. აქ, რა თქმა უნდა, უმთავრესია, რამდენად მწვავედ გამოიხატება მოვლენისა თუ ფაქტის (ობიექტის) მანკიერება (უარყოფითობა).

როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი მედია-დისკურსი მდიდარია სატირისა თუ იუმორის ამსახველი მიკრო თუ მაკრო ტექსტებით. შესაბამისად, ამოუწურავია სატირისა და იუმორის გამოხატვის საშუალებებიც ორივე ენაში. ყველა

მაგალითის ერთ სირცეში განთავსებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რადგან დასტურდება თითქმის ყველა ის შესაძლებლობა, რაც ლიტერატურულ ტექსტებში. მათში მიზნის მისაღწევად ერთმანეთის გვერდითაა: ხმარებიდან გასული სიტყვები, არქაიზმები თუ ნეოლოგიზმები; ბარბარიზმები, ჟარგონები და ვულგარული თქმები, ჰიპერბოლები, მაღალფარდოვანი გამონათქვამები; ზგერებისა ან სიტყვების თამაშის ნიმუშები; გარიტმის შემთხვევები, სიტყვების ირონიულად, საპირისპირო მნიშვნელობით გამოყენება და სხვა. ჩვენი აზრით, ამ მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება პრესის ენა.

საანალიზო ენებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა იკვეთება იმ თვალსაზრისით, რომ განსაკუთრებით ქართული მედია-სივრცე არ ერიდება მწვავე სატირული ენით გადმოსცეს ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენები.

კვლევა ცხადყოფს, რომ სტატიის ავტორები ძალზე მოხერხებით, ოსტატურად და ხშირად მრავლისმეტყველადაც კი იყენებენ ტროპული მეტყველების ნიმუშებს სატირისა და იუმორის გამოწვევის მიზნით. ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, მეტონიმია, გამეორება, ჰიპერბოლა, ალეგორია, ალუზია, გაპიროვნება... ის მხატვრული შესაძლებლობებია, რომლებიც ეხმარება ავტორს მწვავე საკითხები თუ მოვლენები ზუსტად, ეფექტურად, ლაკონურად, ემოციურად და ექსპრესიულად გადმოსცეს სათქმელი, ამხილოს მანკიერება თუ სხვა რამ. თუმცა, უმთავრესი იმის აღნიშვნაა, რომ მათი მეშვეობით უმეტეს შემთხვევებში იმდენად ღრმა ქვეცნობიერების მქონე ქვეტექსტები მოიაზრება, რომ ძნელია (ფრაზის/სიტყვის) ზუსტი დეფინიცია/გამიჯვნა - ეს არის ეპითეტი, შედარება თუ მეტაფორა..., მათი განხილვა ერთდროულად რამდენიმე ჭრილშია შესაძლებელი. ყოველივე ეს კი ნათლად მეტყველებს საანალიზო ენების მრავალმხრივობასა და სტატიის ავტორის მოხერხებულობაზე.

თანამედროვე ქართულ პუბლიცისტურ ტექსტებში აშკარად შეინიშნება დამცირების ტენდენცია; ორი საგნის, ორი მოვლენის შეპირისპირება, რათა ერთი მათგანი აიხსნას, დახასიათდეს მეორის მეშვეობით, ტროპული მეტყველების საკმაოდ პროდუქტიული ხერხით - **შედარებით** მიიღწევა. შეფასების პროცესში, ირონიის მისაღწევად, ხშირია შედარების ორი სახეობა:

1. შედარება, რომელიც პირდაპირ ემსახურება ობიექტის დაკნინების ამოცანას;

2. შედარება, როდესაც დახასიათებული მოვლენა თავისი ღირსებით შედარებით უფრო მაღლა დგას. კომიზმის მისაღებად მთავარია შესადართა აშკარა შეუსაბამობა, ან/და დაპირისპირება. გადაჭარბების ხარისხი ამ დროს უმნიშვნელოვანესია:

- გიდები ათას სისულელეს უყვებიან უცხოელ სტუმრებს **ქართლის დედაზე – ამბობენ, რომ ის თამარ მეფეა (!?)** ამ სფეროში სრული განუკითხაობაა, ძალიან ბევრ თაღლითს შეხვდებით. აბა, უცხოელ ტურისტებმა რა იციან ქართლის დედასა თუ ზოგადად საქართველოზე და ადვილად ტყუვდებიან. დღეს ვინც მოისურვებს, გიდია (კვირის პალიტრა, 2019 გვ. 13).

დაცინვის ამოცანას ემსახურება ასევე, შედარებები, რომელიც ჟარგონის ნიადაგზეა წარმოშობილი:

- საბაგიროდან გადმოსვლისთანავე ქუჩის მუსიკოსები გვხვდებიან. რეპერტუარი ტურისტების ეროვნების მიხედვით იცვლება. პირველად “კატიუშა” შემოსძახეს... ჩვენ წარიყალასკენ მიმავალ გზას ავუყევით და იმ ადამიანებს გავესაუბრეთ, ვისი შემოსავალიც ტურისტულ სეზონზეა დამოკიდებულია. ნუკრი ლომიძე: - ჩვენთან მიშვებულია ეს სფერო, ტურისტების რაოდენობა იზრდება, მაგრამ ქართველებზე მეტად ირანელები, რუსები და ინდოელები ხეირობენ. მათ ჰყავთ თავიანთი გიდები, რომლებიც ინტერნეტში ამოკითხული მცირე ინფორმაციით ადვილად ახერხებენ ტურისტების „დაბოლებას“. მთელი დღე აქ ვართ და ზოგჯერ ისეთ სისულელეს გავიგონებთ ხოლმე გვრცხვენია (კვირის პალიტრა, 2019 გვ. 13).

- მაგ.: ადამიანი, რომელიც პირადი ცხოვრებიდან რაიმეს მაღავს, აშანტაჟებენ, რომ თუ იმას არ შეასრულებს, რასაც ეუბნებიან, ამ საიდუმლოს გამოუქვეყნებენ და საქვეყნოდ თავი მოეჭრება. ამის შიშით პიროვნება იძულებული ხდება „**ნასედკობის**“ ტვირთი ბოლომდე ატაროს (ქრონიკა +, 2018). აქ აქცენტი გადატანილია ჟარგონზე - „**ნასედკა**“;

- „უპირველეს ყოვლისა დავით ბერძენიშვილი იმიტომ არის **ნაგავი**, რომ სახარებით ნაკარნახევი პატრიარქის ეპისტოლეები „ფსევდო პატრიოტული“ და „მუასაუკუნეობრივი“ ჰგონია და ამას „მარაზმს“ უწოდებს, ანუ ქართველი ერი, რომელიც დედა ეკლესიის წიაღშია და ქრისტეს სწავლებას სასოებით შესცქერის მარაზმშია!“ (გაზეთი ასავალ -დასავალი 6-12.05.2019 #18გვ.15);

- „პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლემ **ლიბერასტული ნაგავი** ააქოთა“ (ასავალ-დასავალი 6-12.06.2019 #18გვ.15).

პრესის ენაში ქართველი პოლიტიკური პირები კარგად არიან დახასიათებულნი **ეპითეტებით**. იგი ისეთი მხატვრული განსაზღვრებაა, რომლითაც ხაზგასმულია საგნის ან მოვლენის თვისება, რაც ავტორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს და რომელიც როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალება, ემოციური წარმოსახვისა და შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით გამოიყენება (ს. გაჩეჩელაძე, ლიტერატურის მცოდნეობის შესავალი, თბილისი 1957, გვ. 314-315). მაგ.:

- ვასილ მაღლაფერიძის სამშომ სატანისტი ერეკლე დეისაძე მოციქულად გამოაცხადა. ჩვენს ქართულ ტელევიზიებში მიმდინარე სატანისტურ გნიასზე „ასავალ-დასავალს“ არაერთხელ შემოუკრავს განგაშის ზარი. ამჯერად მკითხველს ხალხის ჯიბიდან დაფინასებულ პირვილ არხზე არსებულ სიბილწეზე მოვუთხრობთ, რაც ოთხ აპრილს ეშმაკის **თავ-ყბიანი ერეკლე დეისაძის** განცხადებაში გამოიხატა. რაღაცას ზმუოდა, ანუ მისი აზრით მღეროდა!, თუმცა რატომ მხოლოდ მისი აზრით?! დავით ევგენიძის საავტორო გადაცემა „მუსიკის თორმეტი მოციქული“, ასე ქვია პირველი არხის ერთ არცთუ რიგით პროექტს, რომლის მიხედვითაც მუსიკის ერთ-ერთი მოციქული ყოფილა არსება, რომელიც ცნობილი გახდა იმით, რომ დაწერა სიბილწე სახელად „საიდუმლო სირობა“ და თავისივე „სირობა“ ერეკლე დეისაძემ ერთობ ამაყად გაიხსენა ამ გადაცემაში. იმ ავადსახსენებელ წიგნს ერთი ასო შევუცვალე, რომ დამეტოვებინა რაც იყო, ხომ არაფერი მოხდებოდა ?! ერთმა ასომ გამოიწვია ის ყველაფერი „სერობა-სირობა!“ ამას მოყვა „ე“ „ი“ ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია, რომ ამაზე რაღაცეები მომეგონებინა, მხოლოდ სათაურში ჩადებული ნაღმი იყო, რაზეც მივხვდი, ამ რეაქციით, რომ უკვე ძლიან კარგად შემიძლია, რომ ამ ხალხს ის ვუთხრა, რაც მინდა (ასავალ-დასავალი, 6-15-21.45.2019 გვ.16 #15).

ამ სტატიის ავტორი ეპითეტით (**თავ-ყბიანი**) კარგად გამოხატავს პიროვნების მიმართ უარყოფით და დამცინავ, ირონიულ დამოკიდებულებას.

უამრავია ნიმუში, როცა ერთი სიტყვა კი არა, არამედ მაღალფარდოვანი მხატვრული ენითაა გადმოცემული ტექსტი და სწორედ ამ გზითაა გაჟღენთილი სატირული ელემენტებით. მაგ.: **მენეჯმენტის უბადლო ცოდნით ვაშენეთ ევროპისთვის გასაკვირი, კეთილდღეობითა და სამართლიანობით გაჟღენთილი, ცამდე აზიდული**

ქართული დემოკრატია... (ალია, 2019). რომ არა ისეთი მხატვრული სიტყვა-ეპითეტები, როგორიცაა **უბადლო, გაჟღენთილი, ცამდე აზიდული**, ალბათ ამ ტექსტშიც ყურადსაღები და საინტერესო, სატირული და იუმორისტულიც არაფერი იქნებოდა.

ემოციის გასაძლიერებლად და სატირული ექსპრესიის მისაღწევად ავტორები ზოგჯერ **მეტაფორის** რამდენჯერმე გამეორებასაც გვთავაზობენ. სწორედ **გამეორებისა და მეტაფორის** თანხვედრა ერთ-ერთ საინტერესო შესაძლებლობად გამოიყურება პრესის ენაში სატირისა და იუმორის გამოსახატავად:

- დავით ბერძენიშვილი იმიტომ არის **ნაგავი**, რომ ჰგონია, მართმადიდებლობა ქართული ეროვნული რელიგია არ არისო, არადა, ეს **ნაგავი** პროფესიით ისტორიკოსია... ვინ ვინ და ამ **ნაგავმა** მაინც უნდა იცოდეს, რომ თუ კი ვინმესთვის არსი მართმადიდებლობა ეროვნული რელიგიაა, ეს სწორედ ქართველი ერია! და უხერხულადაც კი მიმაჩნია, რამდენი მილიონი ქართველის სისხლი დაიღვარა ათასწლეულთა მანძილზე ქრისტეს გზის ერთგულებისთვის (ასავალ-დასავალი 6-12.06.2019 #18, გვ.15) .

საინტერესოა ასევე მეტაფორად ქცეული ეპითეტებით („**აოხრებული**“, „**ქათამი**“) გამოხატული კომიზმის მაგალითები. „ირონიული დახასიათება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მწერალმა გვერდი აუაროს პირდაპირ გამოთქმებს და უხეში სიტყვების გარეშე მიაღწიოს ობიექტზე დაცინვას“ (გრ. კიკნაძე, 1972:335), თუმცა, ავტორი, სადაც საჭიროდ მიაჩნია, თამამად იყენებს ისეთ სატირულ ეპითეტებს, რომლებიც ობიექტის პირდაპირ დახასიათებას ემსახურება:

- ტურისტების პოლიტიკური მიმომხილველი და გიდებით „**აოხრებული**“ თბილისი (კვირის პალიტრა, 20-26 მაისი, 2019 გვ. 12-13);

- „**ქათამი ნიკა გვარამია**“ –

ზოგჯერ ერთი რომელიმე საზოგადო ან, უბრალოდ, ნეიტრალური შინაარსის სიტყვა შეიძლება იქცეს იუმორის ან სატირის გამოხატვის საუკეთესო საშუალებად კონტექსტიდან გამომდინარე. მაგალითად, როგორც ქვემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, სრულიად ნეიტრალური შინაარსის მატარებელი ზმნა-შემასმენელი - „**გადაყლაპვა**“, მოთავსებული ბრჭყალებში, ამძაფრებს მის იუმორისტულ ხასიათს და მეტაფორულად გამოხატავს სათქმელს:

- ბოლო თვეებში რუსეთ-ბელორუსის ურთიერთობების დაძაბვის, ორი ქვეყნის პირველი პირების დეკემბრის შეხვედრებისა და ამ შეხვედრების შემდეგ მათ მიერ

გაკეთებული განცხადებების ფონზე პოლიტიკურ ანალიტიკოსთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რუსეთმა ბელორუსის „გადაყლაპვა“ დაიწყო და ეს პროცესი მომავალ 2019 წელს უფრო მასშტაბური გახდება (რეზონანსი, 2018).

მსგავსი ვითარება გვაქვს შემდეგ მაგალითშიც:

- „საკაშვილს ძალიან უნდა, რომ საქართველოში ვითარება „აადულოს“, მაგრამ...“ (კვირის პალიტრა 20-26 მაისი, 2019 გვ.2-3). სრულიად ნეიტრალური შინაარსის მატარებელი ზმნა-შემასმენელი „აადულოს“ მოთავსებულია ბრჭყალებში, რაც, უდავოდ, ამბაფრებს მის შინაარსობრივ დატვირთვას უშუალოდ ამ ტექსტში და სტილს უფრო სატირულ-იუმორისტულს ხდის.

საგაზეთო პუბლიცისტიკაში აუცილებლად ცალკე უნდა გამოიკვეთოს **გაპიროვნების** ხერხი, რომელიც მეტაფორის ერთ-ერთ სახეობად განიხილება და რომლითაც ადამიანური თვისებები (განსაკუთრებით პოლიტიკური პირების) მიწერილი აქვთ უსულო საგნებს, მოვლენებს, ფრინველებსა თუ ცხოველებს: „გაპიროვნება იგივე პერსონიფიკაციაა. მისთვის დმახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო საგნების გასულიერება, ცხოველთა, ფრინველთა გაადამიანება. ადამიანური თვისებები, ქცევები, და ა. შ. გათავისებულია უსულო საგნებსა, ფრინველებსა თუ ცხოველებში“ (თენგიზ სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1999, გვ.144). სწორედ მისი საშუალებით ხორციელდება საგნებისა და მოვლენების მიახლოება ადამიანთან:

- 1989 წელს **ჩიტმა ხუთი ამბავი მოიტანა** (ნეტ გაზეთი, 2019);
- ღია წერილი პრემიერს, რომელიც ცრუობს - პრემიერო თქვენთვის ორი ამბავი მაქვს, ცუდი და უფრო ცუდი. ცუდი ისაა, რომ **ტყუილს მოკლე ფეხები აქვს**, ხოლო უფრო ცუდი: Google.com ისა და Youtub.com – **ტყუილს ფეხები საერთოდ აღარ აქვს** (Netgazeti.ge)

გარკვეულწილად მეტაფორაა ალეგორიაც, რომელიც აზრს, აბსტრაქტულ იდეებს კონკრეტული სურათების მეშვეობით იგავით, ქარაგმულად, გადაკრულად

გადმოგვცემს და რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, არც თუ ისე უმნიშვნელო ადგილს იკავებს საგაზეთო დისკურსში.

- რა თქმა უნდა, ბოლივარისა და ჩეგუვარას ტრაგიკული აღსასრულის გათვალისწინებით, ეს ერთობ საფრთხილო საქმეა! „მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის დაუკრეფია“, თანაც როგორ ჟღერს - „ვივა, კომენდანტ ვენესუელა!“

- პუტინი უკრაინას ახალ შეჭმანდს უმზადებს, რომელიც სააკაშვილით იქნება შეკაზმული. ახალ შეჭმანდს უმზადებს - აღნიშნული ფრაზა გამოყენებულია ალეგორიული მნიშვნელობით. ნიშანდობლივია, რომ პუტინის მიერ ამ განცხადების გაკეთებამდე სააკაშვილი ანტიდასავლური პოზიციით გამოირჩა და ევროპა უკრაინისადმი კოლონიალურ მიდგომაში დაადანაშაულა. აი, რა თქვა მან ვარშავაში უკრაინელებთან შეხვედრისას: „ზედმეტად წარმატებული უკრაინა არავის სჭირდება, თავს ნუ მოიტყუებთ, ისევე როგორც არავის ჭირდებოდა ზედმეტად წარმატებული საქართველო, მათ შორის დასავლურ ქვეყნებს, ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, არც ვლადიმერ პუტინს, რომელსაც უკრაინა საერთოდ არ სჭირდება, ვისთვისაა უკრაინა ანაქრომია. ვერ ხვდება რატომაა, რისთვისაა ეს ქვეყანა. მეორე მხრივ კი არის დასავლეთი, რომელსაც კოლონიალური მიდგომები აქვს (ასავალ-დასავალი, 6-12.05.2019 #18 გვ.13) - ამ გზით გამოხატა ავტორმა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით იუმორისტულ-სატირული დამოკიდებულება.

- რა თქმა უნდა, ისეთებიც იქნებიან (თანაც გონივრული ეჭვი მაქვს, საკმაოდ ბევრნიც) დააყოლებენ ძალი მიაკვდაო (ასავალ-დასავალი 6-12.06.2019 #18 გვ.15);

სატირისა და იუმორის გამოხატვის ერთ-ერთ საინტერესო შესაძლებლობად დასტურდება ალუზიის ნიმუშები: მაგ., „საქართველოს მოსახლეობამ პირდაპირი არჩევნების წესით ბოლოჯერ გააკეთა არჩევანი და „თამარ მეფე“ ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. აღმოჩნდება თუ არა „თამარ მეფე“ მარგველაშვილზე უფრო ურჩი?“. მოცემულ წინადადებაში ალუზია წარმოჩენილია „თამარ მეფის“ სახით და დღევანდელ ქვეყნის პრეზიდენტი სწორედ ამ მმართველთან არის შედარებული რა თქმა უნდა, სატირული კუთხით.

მეტაფორასთან, ეპითეტთან, შედარებასთან და სხვა პოეტურ ხერხებთან ერთად გვხვდება ჰიპერბოლის ნიმუშები - ტროპის სახეობა, რომელიც მოვლენას

გაზვიადებულად გამოხატავს. მას ხშირად მიმართავენ ჩვეულებრივი ლაპარაკის დროსაც (ს. გაჩეჩელაძე, ლიტერატურის მცოდნეობის შესავალი, თბილისი 1957, გვ. 314-315):

- **სიხარბემ გადაჭამა ქვეყანა** (კვირის პალიტრა, #4, 21-27 იანვარი, 2019, გვ. 9)

ხშირად სატირისა და იუმორის გამოხატვა ერთ კონკრეტულ მიკრო ტექსტში ხდება არა ერთი კონკრეტული, არამედ რამდენიმე ასეთი საშუალებით. მაგ.: „მომავალ საუკუნეებში კაცობრიობა ამ ფრაზას აუცილებლად **ჩაუკირკიტდება** და იტყვის, რომ მაშინ, როცა მსოფლიო **ულტრალიბერალობისა და პედერასტიზმის აყროლებული ჭაობისკენ** მიექანებოდა, **დედამიწის ერთ პატარა ნაგლეჯზე**, კავკასიაში, ცხოვრობდა საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც **დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა!** (ასავალ-დასავალი, 2018). ძალზე საინტერესოა ამ მიკრო ტექსტის გაშიფვრა და იმ მთავარი ენობრივი საშუალებებისა თუ სტრატეგიების მოძიება, რომელთა საშუალებითაც შესანიშნავად მოხდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას პიროვნების დახასიათება. მაგალითში ერთმანეთის გვერდით ვხვდებით მეტ-ნაკლებად მოძველებულ, ლამის ხმარებიდან გამოსულ სიტყვას „**ჩაკირკიტება**“ და ნეოლოგიზმებს: „**ულტრალიბერალიზმი**“ და „**პედერასტიზმი**“. საინტერესოა მეტაფორის მაგალითი: **მსოფლიო ულტრალიბერალობისა და პედერასტიზმის აყროლებული ჭაობისკენ მიექანებოდა...** აქვე სტატიის ავტორს, ემოციურობის ხარისხის ამაღლების მიზნით, გამოყენებული აქვს შესანიშნავი გამონათქვამი/ფრაზეოლოგიზმი „**დინების საწინააღმდეგოდ გაცურვა**“, რაც ლაკონურად, მაგრამ სრულიად ნათლად ასახავს სტატიის მთავარი მოქმედი პირის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას განვლილი ცხოვრების გზას.

არის შემთხვევები, სადაც სხვა ხერხებთან ერთად სატირისა და იუმორის გამოხატვის საშუალებად ხმარებიდან გამოსული სიტყვა გვევლინება. მაგ.: ამის შემდეგ, **უწიგნური და უტვინო კირკიტაძე** სააკაშვილმა პარლამენტს მოაშორა და ქვემო ქართლის **ლუბერნატორად** გაამწესა, თუმცა, რა **ტუტრუცანაც** თბილისში იყო, კირკიტაძე რუსთავეშიც იმ **ტუტრუცანად** დარჩა (ასავალ-დასავალი, 2018). „**ლუბერნატორი**“ - ეს მეფის რუსეთიდან შემოსული სიტყვა გახლდათ, რომელიც კალკირების წესით პირდაპირ გადმოვიდა და დამკვიდრდა ქართულ ლექსიკაში ისე, რომ ფონეტიკური მჟღერადობაც არ შეუცვლია. დროთა განმავლობაში, ბუნებრივია, კონკრეტულად ეს სიტყვა, ისევე როგორც სხვა ბევრი ლექსიკური ერთეული დამკველების ფაზაში შევიდა და

ხმარებიდან იქნა გამოსული. ამ კონკრეტულ სიტუაციაში კი ავტორს შესანიშნავად აქვს ეს სიტყვა კონტექსტში მორგებული სატირული ელფერის გამწვავების მიზნით. იგივე მიზნით, იგივე ტექსტში, ავტორს გამოყენებული აქვს კოლოკვიალიზმი „ტუტრუცანა“. მწვავე კრიტიკის გამოხატვის კიდევ ერთ საშუალებად, იმავე ტექსტში გვევლინება ეპითეტები „უწიგნური“, „უტვინო“;

„დახურე დუქანი, გახსენი კომიტეტი“ (Netgazeti.ge, 8 Tebervali, 2019) დროთა განმავლობაში, ბუნებრივია, კონკრეტულად ეს სიტყვა, ისევე როგორც სხვა ბევრი ლექსიკური ერთეული დაძველების ფაზაში შევიდა და ხმარებიდან იქნა გამოსული.

მეტად საინტერესოა შემდეგი წინადადებაც: თუ გვინდა, რომ ქართულ სახელმწიფოს მართლა სახელმწიფო ერქვას და არა „ფაჩიკოს გარმონი“, მაშინ გახარიამ სიტყვა უნდა შეასრულოს, კანონი აღასრულოს და ვინც დასასჯელია დასაჯოს! (ასავალ-დასავალი, 2019). ეს წინადადება ორი საინტერესო ლინგვისტური მოვლენით იპყრობს ყურადღებას. პირველი, გამოყენებულია სასაუბრო ლექსიკიდან სახუმარო გამონათქვამი „ფაჩიკოს გარმონი“ და, მეორე შემთხვევაში, გარიტმის ხერხი ექსპრესიულობის გაზრდის მიზნით: სიტყვა უნდა შეასრულოს, კანონი აღასრულოს და ვინც დასასჯელია დასაჯოს!. ეს ნიმუში დაცინვის და გაქილიკების თვალსაზრისით ნაკლებად მწვავეა, თუმცა, მაინც საინტერესო და აშკარად იუმორის შემცველი.

საგაზეთო სტატიებში, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ჩანს ავტორისეული ანალიზი და შეფასება მომხდარი მოვლენის შესახებ. ის ზოგჯერ ხედავს შეუსაბამობებს, სასურველს ან სავალდებულოს, ნორმისა და სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს შორის და სწორედ ასეთ შემთხვევაში მჟღავნდება ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი. ეს უარყოფითი დამოკიდებულება კი შეიძლება გამომჟღავნდეს სწორედ კომიზმის საშუალებით. „სიცილი ერთ-ერთი კარგი იარაღია. დაცინვის ანუ კომიზმის სხვადასხვა სახეები არსებობს. ასეთია სატირა და იუმორი. სატირა მკვეთრი, გამანადგურებელი დაცინვაა. იგი მიმართულია ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც სტატიის ავტორს არასწორ მოვლენად მიაჩნია. სატირა სინამდვილის ასახის ისეთი ფორმაა, რომელშიც მკვეთრად იხატება ცხოვრების წინააღმდეგობანი განზოგადების თავისებური ხერხების გამოყენების საშუალებით (სიმონ გაჩეჩილაძე, 1957წ. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი). საგაზეთო-პუბლიცისტურ ტექსტებში სატირისა და იუმორის ყოველი ცალკეული ნიმუში ერთმანეთისაგან განსხვავდება. ეს

განსხვავება დამოკიდებულია სტატიის ავტორის წერის მანერასა და მისი სტილის ემოციურ ფონზე. ზოგჯერ ობიექტისადმი ავტორის დამოკიდებულება მღელვარე და აღშფოთებული სახის მქონეა. ზოგჯერ უფრო ნეიტრალური სახით ვლინდება. ზოგჯერ სატირისა და იუმორის ნიმუში თავდასხმითია და აგრესიული:

- სად გაგონილა, ვინმეს ემუქრებოდე და თან სთხოვდე შეწყალებაზე შუამდგომლობას (კვირის პალიტრა, #10, 4-10 მაისი, 2019, გვ. 29);

- ერთმა „კეთილისმსურველმა“ „ლამაზისეულიც“ კი მიწოდა, ასეთი რუჯი რატომ აქვს, აშშ-ს პრეზიდენტმა ხომ უნდა იცოდეს, რომ ქართველები თეთრკანიანები ვართო (კვირის პალიტრა 4-10 მარტი, 2019 გვ. 13);

- დეპუტატმა ინციდენტის დასრულების შემდეგ ისეთი კომენტარი გააკეთა, შთაბეჭდილება რჩება, რომ მას ტერენტი გრანელი არამართო პროზაიკოსი, არამედ ცოცხალიც ჰგონია. კერძოდ, აი, რა თქვა: „მე მინდა ტერენტი გრანელს მოვუხადო ბოდიში და საზოგადოებას მინდა მოვუხადო ბოდიში, რომ დღევანდელი საღამო არ გამოგვივიდა მშვიდი, მაგრამ ხიდან ხეზე აუცილებლად გადაფრინდება ჩიტი“ - ძნელი სათქმელია, მიიღებს თუ არა ტერენტი გრანელი ბოდიშს. არც ის არის გამორიცხული, რომ მან საიქიოდან შეუთვალოს -არა ბოდიში, არა მადლობა, არამედ რაღაც სხვა და იქვე დაამატოს ვაი თქვენს პატრონსო.

რაც შეეხება ხიდან ხეზე ჩიტის გადაფრენას, გაზაფხულის მშვიდი საღამოებიც იქნება და ჩიტიც ხიდან ხეზე გადაფრინდება, მაგრამ ასეთი დეპუტატების ხელში საქართველო რა ჩიტსაც დაიჭერს მაგასაც ვნახავთ (გაზეთი „ასავალ-დასავალი“ #15, 21 აპრილი, 2019 გვ.11).

- ქართულ პოლიტიკაში საკმაოდ მრავლად არიან პერსონები, რომლებსაც მამის ნაჭამი ტყემალი დღემდე კბილებს ჭრის (გაზეთი „ასავალ-დასავალი“ #15, 21 აპრილი, 2019 გვ.12).

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მამის სახელის გაქრობა ვერც იმ კანონზომიერებას გააუქმებს, რომელიც ბრძნულ -ხალხურ გამონათქვამებშია ასახული და რომლის თანახმადაც „კვიცი გვარზე ხტის, მწყერი ხეზე ვერ შეჯდება“ და „კუს შვილი კუ იქნება“ (გაზეთი „ასავალ-დასავალი“ #15, 21 აპრილი, 2019 გვ.12).

„სიცილისა და დაცინვის გამოწვევის გზით ამა თუ იმ მოვლენის გაკიცხვა, აი, სატირისა და იუმორის ძირითადი მიზანი. მათი როგორც კომიკურის სახეობათა

ანალიზის დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რამდენიმე გარემოება. ყოველი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სატირისა და იუმორის ზემოქმედების ძალა შეუდარებელია და ცალსახად მიანიშნებს მხატვრული ასახვის ამ საშუალებათა დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე“ (გრ. კიკნაძე, 1972, გვ.19).

სატირულ საგაზეთო-პუბლიცისტურ ტექსტებს სპეციფიკური ფუნქცია აქვს, რადგან მათი უპირველესი მიზანი მახინჯი საზოგადოებრივი მოვლენების აღმოფხვრაა. სატირა და იუმორის დახასიათება ტრადიციულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს კავშირი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ როგორც სატირა, ისე იუმორი, გავრცელებული აზრის მიხედვით, გამოხატავს დაცინვას. ყოველი დაცინვა არის მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოაშკარავება და მოვლენის მიჩნევა ან ნაკლებ ფასეულად ან ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულად. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მწვავედ განიცდება მოვლენის მანკიერება, ჩვენ საქმე გვაქვს მეტად ან ნაკლებად მწვავე დაცინვასთან. განმტკიცებული აზრის თანახმად, დაცინვის სიმწვავის ხარისხს შეეფერება ან სატირის ან იუმორის სახელწოდება. გაზეთებში წარმოდგენილი სტატიების განხილვის შედეგად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მწვავე დაცინვისთვის გამოყენებულია სატირა, ხოლო მისი შენელებული გამოსახულება იუმორის სახით გვეძლევა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ცალკე აღებული სიტყვები თუ ფრაზები არაფრის მთქმელია, მათში ექსპრესიულობის არანაირი კვალი არ ჩანს; თუმცა, კონტექსტში მკაფიოდ იკვეთება სატირა. ასეთ კონტექსტს ხშირად მწვავე პოლიტიკური სიუჟეტები უდევს სარჩულად. მაგ.: შევთავაზე, მაგრამ მან (ლუკაშენკომ) მითხრა, რომ სახლში უნდა იყოს, რადგან ბევრი საკითხია მოსაგვარებელი და ბევრი საქმე აქვს. მაგრამ შევთანხმდით, რომ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და ჰოკეისაც ვითამაშებთ და თხილამურებითაც ვისრიალებთ", - თქვა ვლადიმირ პუტინმა (რეზონანსი, 2018).

ერთი შეხედვით, თითქოს, ამ წინადადებას არც იუმორისტული და, მით უმეტეს, სატირული შეფერილობა არ დაჰკრავს ნეიტრალური სასაუბრო ლექსიკიდან გამომდინარე, თუმცა თუ გავითვალისწინებთ რუსეთ-ბელორუსიის პოლიტიკურ ურთიერთობებს, ეს ერთი, თითქოს არაფრისმთქმელი წინადადება, შეიძლება იქცეს მწვავე სატირის გამოხატულებად. მსგავს შემთხვევებად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი წინადადებებიც/ნიმუშებიც:

„მკრიფასო მკითხველო, როგორც ცნობილი საქართველოს „ნაპრეზინდენტალის“ პატრონმა და მწყემსმთავარმა ვლადიმერ პუტინმა უკრაინის ახლად არჩეულ პრეზიდენტს ვლადიმერ ზელენსკის მოუწოდა-„სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა მიეცით და ქვეყანაში შეუშვითო!“; ეს იმას ნიშავს, რომ სულ მალე სააკაშვილმა თავი უკრაინაში უნდა „დურთოს“ და მონასტერი არიოს, რათა ეს უმდიდრესი და ულამაზესი ქვეყანა საბოლოოდ დაინგრეს, აოხრდეს და რუსეთის კერძი გახდეს. ეფრეიტორო სააკაშვილო, თუ გინდა რომ რძე და ყველით არ ჩამოგკიდოს, შეასრულე პოლკოვნიკ პუტინის ბრძანება. (ასავალ-დასავალი, 6-12.05.2019 გვ.10 #18) - აღნიშნულ მაგალითში სამი სიტყვაა „ნაპრეზინდენტალის“; „დურთოს“ და მონასტერი არიოს, რომელიც ცალკე აღებული ექსპრესიული დატვირთვა შეიძლება არ ჰქონდეს, თუმცა ამ კონკრეტულ მაგალითში სატირისა და იუმორის გამოხატვის შესაძლებლობაა.

თუ განვიხილავთ სტატიას პოლიტიკოს თალაკვაძეზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხშირად ირონიულ დამოკიდებულებას მომხდარი ფაქტი იწვევს. განსაკუთრებით, როდესაც პოლიტიკური სახის და კულტურის შემთხვევებია აღწერილი ავტორის მიერ.

მაგალითი:

ბრეჟნევი თალაკვაძეში! (ასავალ-დასავალი, 2019 გვ.10)

ჭიათურის ცენტრში გამართულ სცენაზე თალაკვაძემ ბრძანა: „ჩვენ გვსურს, გთხოვოთ მერიის მანდატის განახლება იმისთვის, რომ გავაგრძელოთ და დავასრულოთ საქმეები, რომლებიც თქვენთან ერთად დავიწყეთ ზესტაფონში...“ ამაზე ჭიათურელები კი შეიშმუშნენ, მაგრამ როგორც იტყვიან გაატარეს! თუმცა თალაკვაძე იმ დროს დროსა და სივრცეში იყო დაკარგული და კვლავ დააბრუნა: „მკრიფასო ზესტაფონელებო, თქვენ იცით რომ საქმეები...“ აი, აქ კი აჩოჩოლდა ხალხი, თალაკვაძეს ზურგს უკან მდგარმა ჯანდაცვის მინისტრმა სერგეენკომ ახალგაზრდა ლიდერს კისრის მოღრეცვით, ისე რომ პირიც არ გაუღია“, ჭიათურელებო“, უკარნახა! ჰოდა, თალაკვაძემ იხტიბარი არ გაიტეხა და განუმარტა „აა...აქედან ზესტაფონში მივდივართ მაინცო...“ ანუ სად ერეკლე და სად ჩვენი არჩილ თალაკვაძეო..., მერე რა, რომ აქედან ზესტაფონში მიდიხარ მაინც?! ვერ გეტყვით შესაძლოა სერგეენკო ამიტომაც გააყოლეს ამ წინა საარჩევნო ტურნეში თალაკვაძეს! ანუ პროფილის მიხედვით კიდევ კარგი რომ თალაკვაძეს ყვრიმალების დასრესვა არ დასჭირდა, თორემ ვინ იცის იქ ჩვენი სანაქებო ჯანდაცვის მინისტრი რას

დაატრიალებდა-„თალაკვამისეული ლოგიკით, ხომ შიძლება მთლად ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაეკეთებინა და ეთქვა, მაინც იქითკენ მივდიოდითო და... არჩილ თალაკვამის თავს (უფრო სწორად ტვინს) დატეხილმა ამ ამბავმა ნეტარ ხსენებული ლეონიდ ილიჩი გამახსენა. შეიძლება ბევრს ახსოვს კიდეც ბებრულ მარაზში მყოფ ლეონიდ ბრეჟნევს ბოლო თბილისური ვიზიტისას ანალოგიური რამ დაემართა, როდესაც დადგა განშორების დრო თვითმფრინავის ტრამპთან შევარდნაძე თვალცრემლიანი გადაეხვია „გენსეკს“ ტუჩები დაუკოცნა! ცრემლები ასეთი მასპინძლობით გულაჩუყებულ ბრეჟნევსაც წამოუვიდა და ასე მიმართა ედუარდ ამბროსის ძეს: „დიდი მადლობა შენ, ძვირფასო ჰეიდარ, შენი სტუმართმოყვარეობისათვის“ სკლეროზით შეპყრობილ ბრეჟნევს შევარდნაძე აზერბაიჯანის კომპარტიის მაშინდელ ლიდერ „ჰეიდარ ალიევი“ აერია, თბილისი კი ბაქოში. ბრეჟნევს მანამდეც ჰქონია „არეგები“, მაგალითად უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში დაფრენამდე, ილუმინატორიდან გადახედვის შემდეგ მას ტუჩები გაუწკლავუნებია და მრავლის მეტყველად უთქვამს:“ მდაა... კრასივი გოროდ დუშანბე!“

მოკლედ არჩილ თალაკვამეს აშკარად ბრეჟნევი დაემართა! (ასავალ-დაავალი, 15-21.03.2019 #15 გვ.10).

კონტექსტია სატირის მიღწევის საშუალება ქვემოთ მოყვანილ მაგალითშიც:

„დეპუტატმა ინციდენტის დასრულების შემდეგ ისეთი კომენტარი გააკეთა, შთაბეჭდილება რჩება, რომ მას ტერენტი გრანელი არამართო პროზაიკოსი, არამედ ცოცხალიც ჰგონია. კერძოდ აი რა თქვა „მე მინდა ტერენტი გრანელს მოვუხადო ბოდიში და საზოგადოებას მინდა მოვუხადო ბოდიში , რომ დღევანდელი სადამო არ გამოგვივიდა მშვიდი, მაგრამ ხიდან ხეზე აუცილებლად გადაფრინდება ჩიტი“ - ძნელი სათქმელია, მიიღებს თუ არა ტერენტი გრანელი ბოდიშს. არც ის არის გამორიცხული, რომ მან საიქიოდან შეუთვალოს - არა ბოდიში, არა მადლობა, არამედ რაღაც სხვა და იქვე დაამატოს ვაი თქვენს პატრონსო. რაც შეეხება ხიდან ხეზე ჩიტის გადაფრენას, გაზაფხულის მშვიდი სადამოებიც იქნება და ჩიტიც ხიდან ხეზე გადაფრინდება, მაგრამ ასეთი დეპუტატების ხელში საქართველო რა ჩიტსაც დაიჭერს მაგასაც ვნახავთ (გაზეთი „ასავალ-დასავალი“ #15, 21 აპრილი, 2019 გვ.11) ავტორი მეტაფორის გამოყენებით გადმოსცემს სატირულ დამოკიდებულებას მომხდარი ფაქტის მიმართ.

ხაზი უნდა გაესვას იმ ხერხს, რომელიც იწვევს კომიზმს **ბგერებითა და სიტყვებით თამაშის ხერხით**. მათი თავისებური განლაგებით, მათ შორის თავისებური

ურთიერთობის დამყარებით ცდილობს ავტორი მიზნის მიღწევას, ძირითადად ადამიანის დაკნინებას, უარყოფითობის წარმოჩენას:

- სააკაშვილი შეიძლება ვენესუელაში გადაისროლა როცა ვენესუელას ასეთი ამბებია, აბა სხვაგან სად უნდა იყოს ისეთი „ვენესუელა“, როგორიც სააკაშვილია. სააკაშვილი მონაწილობდა საქართველოს „ვარდების რევოლუციაში“, უკრაინის „ნარინჯისფერ რევოლუციაში“ ბელორუსიის „თერთ რევოლუციაში“ ყირგიზეთის ყაყაჩოსფერ რევოლუციაში“- ჰოდა, ახლა ეს „ვენესუელა“ ვენესუელაში რატომ უნდა ჩავიდეს.

- ისევ „ვენესუელა“ სააკაშვილს რომ დავუბრუნდეთ, ის ვენესუელაში თუნდაც იმიტომ უნდა ჩავიდეს, რომ პოსტსაბჭოთა პოლიტიკოსის მანტია „გლობალური მასშტაბის ლიდერის“ ტიტულით შეიცვალოს (2019 წლის 6-12 მაისი #18 გვ.12).

- ნაცების მელიანქოლია (ასავალ -დასავალი #21, 27 მაისი-2 ივნისი, 2019)

- ანაკლიის მშენებელი თუ ანაკლიის გადამშენებელი (ასავალ -დასავალი#21, 27 მაისი-2 ივნისი, 2019)

იუმორის გამოსახატად ავტორი ზოგჯერ განგებ მიმართავს სახელის დამახინჯებით გამოყენების ხერხს, რათა მკითხველში ღიმილი გამოიწვიოს და დააკნინოს სამიზნე პერსონა.

- ღვთისმშობლის შეურაცხყოფის შემდეგ **ჯულიეტონა** გაბუნიაშვილმა წმინდა ქრისტიანული რიტუალიც გაამასხარავა (ასავალ-დასავალი 15-21.04.2019 გვ. 1).

მსგავსად ქართულისა, ძალზე საინტერესოა სატირისა და იუმორის მოვლენაზე დაკვირვება ინგლისურენოვან მედიაში, სადაც ქართული მედიისაგან განსხვავებით, შედარებით თავშეკავებულობა შეიჩნევა და სატირას იუმორი უფრო ჭარბობს. ქართული მედია-ტექსტების მსგავსად, ინგლისურენოვან მედია დისკურსში სატირისა და იუმორის გადმოცემის სხვადასხვა საშუალება გვხვდება. მაგ. **Bitcoin has had a wild ride since its birth on 3 January 2009** (Gardian, 2018). ქილიკი მეტაფორის საშუალებით არის გადმოცემული, სადაც ბიტკოინების გამოჩენა შედარებულია მანქანის რბოლასთან.

როგორც აღმოჩნდა, ბიტკოინების თემა საკმაოდ აქტუალურია მოცემულ ეტაპზე მედია-სივრცეში, შესაბამისად, არაერთი სტატია აქვს დათმობილი ამ თემას და სტატიის ავტორებიც არ იშურებენ ძალისხმევას იუმორისა თუ სატირის საშუალებით რეალური

სურათი წარმოსახონ საზოგადოების წინაშე. მაგ. **Two years after its inception, 10,000 bitcoin was just about enough to buy a couple of takeaway pizzas.** (Gardian, 2018). მოცემულ წინადადებაში, სახეზეა **შედარების** საინტერესო მაგალითი, სადაც ბიტკოინების ფასის დავარდნა შედარებულია იაფფასიან პიცასთან.

სატირის ნათელი მაგალითია შემდეგი წინადადება: **Euroscepticism is infiltrating the EU's intellectual elite** (The Telegraph, 2019). მოცემულ წინადადებაში ავტორი მკაცრ ინგლისურ იუმორს მიმართავს, რომელიც სატირაში უფრო არის გადაზრდილი და ევროკავშირის მოაზროვნე საზოგადოებას „ინტელექტუალურ ელიტად“ (**intellectual elite**) მოიხსენიებს, რაც **მეტონიმის** ნათელი მაგალითია.

ინგლისურენოვან მედიაში მაღალჩინოსნებთან მიმართებაში აშკარად შეინიშნება სატირისა თუ იუმორის შტრიხები, თუმცა არა ისეთი სიმწვავეთ, როგორც ეს ქართული მედია-ენისათვის არის დამახასიათებელი. აქაც არის **გარიტმვის** მაგალითები იუმორისტული ელფერის შესანარჩუნებლად და არც **კოლოკვიალიზმებს** ივიწყებენ რიგი ავტორები, იმისათვის რომ სათქმელი ირიბად, თუცმა მთელი სიცხადით მიიტანონ მკითხველამდე. მაგ.: **Writing on the GQ website, Luke Darby argues: “Obama was ‘cool’ if you liked him, or aloof and professorial if not.** (Gardian, 2019). ავტორი ცდილობს იუმორისტულ ჟანრში გარიტმოს ამერიკის ერთ-ერთი ყოფილი პრეზიდენტის ობამას პერსონაჟი **Obama was ‘cool’ if you liked him, or aloof and professorial if not.** აქვე პერსონის უკეთ დახასიათების მიზნით **ეპითეტებიც** არის გამოყენებული „cool“, aloof, რომელთაგან პირველი, ამავედროულად, ჟარგონის მაგალითიცაა.

„Crazy Is as Crazy Does“

you can judge if someone is crazy if they do something crazy, or routinely does crazy things. They may well be crazy even if they appear quite sane. In fact, the phrase in question was probably used in that specific context: trying to determine whether someone is crazy or not. აღნიშნული გამონათქვამი ტრამპის მისამართითაა ნათქვამი, მაშინ როდესაც მან დასცინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჟურნალისტს და მედიას.

მეტად საინტერესო გარემოებას ვხვდებით ინგლისურენოვან მედია-სივრცეში. მაშინ, როდესაც მსოფლიოში წამყვანი ჟურნალ გაზეთები, როგორიცაა “New York Times”, “Gardian”, “The Morning Star”, “Euro News”, “Express”, “Independent”, “Telegraph”

და ა.შ. ცდილობენ თავი აარიდონ უხეშ ქილიკსა და სარკაზმს, ამავდროულად, არსებობს მთელი რიგი ინგლისურენოვანი ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვა თემატიკის მოვლენებს აშუქებენ მთელი სიცხადით და არ იშურებენ მწვავე სატირისა თუ უხეში იუმორის გამოყენებას სტატიის შემქნისას. თვით ამ გაზეთების სათაურებიც კი სატირულ-იუმროსტულ ჟანრშია ლინგვისტურად გაფორმებული. მაგ.: “Bean Soup Times”, “The Chaser”, “the New Yorker”, “The Inconsequential”, “Iron E-news”, “Ironic Times” და ა.შ.. ამ ჟურნალ-გაზეთებში უხვად ვხდებით სატირისა და იუმორის მაგალითებს: საინტერესოა ფედერალური ბიუროს მთავარი პროკურორის რობერტ მიულერის სიტყვების ციტირება ამერიკარუსეთის ურთიერთობებთან დაკავშირებით: „**I mean, I feel like I’m getting further away from the conclusion every time I open my Twitter feed.**“ (<https://chaser.com.au/world/mueller-asks-trump-aides-to-pause-corrupt-deals-to-give-him-a-chance-to-catch-up/>) პროკურორის სიტყვებში აშკარა დაბნეულობა შეიმჩნევა, რომელიც სატირულ-იუმროსტულ შტრიხებით არის შეფერილი და სტილურად გადმოცემულია პარალელიზმის, უფრო ზუსტად კი პოლისინდეტონის (ნაცვალსახელების გამეორება) საშუალებით:

შემდეგ მაგალითში პოლისინდეტონი კავშირების გამეორების საშუალებით ხდება:

Bernie Sanders and Michael Bloomberg Announce Return to Muppets Presidential Race- Senator Bernie Sanders **and** former Mayor of New York, Michael Bloomberg, better known as hecklers Waldorf **and** Statler on The Muppets, have officially announced their decision to join the 2020 presidential race.

Waldorf **and** Statler, known **and** loved for their jolly jeering on The Muppet Show, made their first appearance on the show in 1975; six years later, Waldorf-I mean Sanders-got his first job in politics (Iron E-news, 27th January, 2019).

ზოგჯერ იუმორი გადმოცემულია ჰიპერბოლით (გაზვიადებით):

Veteran Brexiteer John Redwood’s **knighthood** was of course much criticised, but he isn’t the **only Tory politician or supporter recognised** (<http://www.private-eye.co.uk/news>). ეს ნათლად იკვეთება სიტყვაში **knighthood** (რაინდობა).

ასევე: Trump could be ***the most honest*** president in modern history (The Washington post, 11th October, 2018).

ხშირად სტატიის ავტორები ექსპრესიულობის გაზრდის მიზნით არც ვულგარული გამონათქვამების გამოყენებას ერიდებიან სტატიაში. ამის დასტურია შემდეგი წინადადება: „**The honours committee delivered a hefty kick in the guts to hundreds of sub-postmasters who have lost jobs and in some cases their liberty over shortfalls in branch accounts they say are caused by IT flaws**“ (<http://www.private-eye.co.uk/news>). ფრაზა **to kick in someone's guts** ვულგარული გამონათქვამია.

აგრეთვე: If you don't want to eat chlorinated chicken, you could always just read the **f**king label**, say experts (<https://www.thedailymash.co.uk/news/food/if-you-dont-want-to-eat-chlorinated-chicken-you-could-always-just-read-the-fking-label-say-experts-20190604186259>).

მსგავსად ქართულისა, ინგლისურშიც, ზოგჯერ სატირისა და იუმორის ნიშნად თავდასხმითია და აგრესიული:

Paire banned from all-you-can eat restaurant from eating too much (The Telegraph Oct. 2, 2012);

“We oppose Conchita Wurst and all bearded men in dresses” say bearded men in dresses (The Independent May 15, 2014);

Ware house worker packing stress balls punched his boss in face (UK news, Feb. 20, 2013);

My own Robison Crusoe experience, when I was forced to eat limpets (The Telegraph May 22, 2019);

Berarskin guard cannot believe ludicrous shit Trump has on hi head (The dailymash, 4th June, 2019).


ამგვარად, შეიძლება ითქვას, სატირა და იუმორი მძლავრი იარაღია რეალობის წარმოსაჩენად თანამედროვე მედია-სამყაროში. ის სრული სიზუსტით გადმოსცემს იმ მანკიერ მხარეებს, რომლის შესახებ საუბარზე ადამიანები ხშირად თავს არიდებენ. სატირა და იუმორი, კი ნაკლებ მტკივნეული გზებით ახერხებს ამ პროცესების გადმოცემას.

მეტი ვიზუალიზაციისთვის გრაფიკულად გამოვხატეთ სატირისა და იუმორის გამოხატვის სტილური საშუალებები ქართულ და ინგლისურენოვან მედიატექსტებში:

სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივი საშუალებები
თანამედროვე ქართულ საგაზეთო-პუბლიცისტურ ტექსტებში



სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივი საშუალებები
თანამედროვე ინგლისურენოვან საგაზეთო-პუბლიცისტურ ტექსტებში



როგორც გრაფიკული მონაცემები ცხადყოფს, სურათი საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, არა სრულად თანხვედნილი, ეს ჩვეულებრივი ფაქტია, რადგან ყველა ენას, მიუხედავად იმისა, რომ კომიკური სცენების შექმნის უამრავი საშუალება გააჩნია და სხვადასხვა სისტემის, არამონათესავე ენები მკვეთრ მსგავსებასაც წარმოაჩენენ ამ მიმართებით, ხაზგასასმელია, რომ სატირისა და იუმორის შექმნაც და აღქმაც დიდ ნიჭთან და ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. და, როგორც თენგიზ სანიკიძეც აღნიშნავს, „ერთსა და იმავე ფაქტზე, მოვლენასა თუ სურათზე სხვადასხვა ერის წარმომადგენელი განსხვავებულ რეაგირებას ახდენს. ერთისთვის თუ იუმორია, სასაცილოა, მეორისათვის - პირიქით (სანიკიძე, 1991: 193);

ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ ერთი ქვეყნის, ერთი ერის მცხოვრებნიც კი, განსხვავებულად, სხვადასხვაგვარად აღიქვამენ იუმორს: „რაზედაც იმერელს ან კახელს გაეცინება, მასზე განსხვავებულ რეაგირებას ახდენს მთის ხალხი. საქართველოს სხვადასხვა რეგიონი იუმორის აღქმის თვალსაზრისითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან“ ((სანიკიძე, 1991:193). რა თქმა უნდა, იგივე შეიძლება ითქვას ინგლისელ ერზეც. ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ სრულ თანხვედრას ვერც მივიღებდით სატირული და იუმორისტული სცენების დახატვის შესაძლებლობების თვალსაზრისით ამ ორ ენაში.

III თავი

სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივ საშუალებათა ურთიერთმიმართებანი თარგმანებში

§ 1. თარგმანი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და გლობალიზაციის ეპოქაში ყველა ქვეყანა იმდენად დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ ერთი დიდი მსოფლიო, ერთგვარად, ერთ პატარა სოფლად დასახლებად გადაიქცა. ეს კი იმის საფუძველი ხდება, რომ ადამიანები ერთმანეთში გაცილებით ადვილად შედიან კომუნიკაციაში და ხდება ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა სფეროებში, როგორცაა ეკონომიკა, კულტურა, განათლება და ა.შ. თარგმანი, შეიძლება ითქვას, დამაკავშირებელი ხიდია სხვადასხვა რასის, ქვეყნების, რეგიონებისა თუ კულტურის წამომადგენლებს შორის, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ადამიანური ცივილიზაციის განვითარების პროცესში. თარგმანი კომუნიკაციის ერთგვარი საშუალებაა (<https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1075732.pdf>).

„თარგმანი ზოგადი ტერმინია, რომელიც გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გამონათქვამის მნიშვნელობის გადატანა ხდება მეორე ენაზე ზეპირი ან წერიტი ფორმით, ენობრივი ნიშნების დახმარებით” (Crystal 1985:344). კრუპნოვის მოსაზრებით, თარგმანი, ძირითადად, ორ ენას შორის შესრულებული ტრანსფორმაციაა, მისი არსი კი დედნის ტექსტში გამოხატული იდეებისა და ინფორმაციის თარგმნაა (Крупнов 1976:15).

ყველასათვის კარგად ცნობილი ფაქტია, რომ თარგმანთმცოდნეობაში არსებობს ორი ტიპის თარგმანი: მხატვრული და არამხატვრული (ინფორმაციული თარგმანი). მხატვრული თარგმანი, ძირითადად თავისუფალი ხასიათისაა, არამხატვრული თარგმანი კი, ჩარჩოებში ჯდება და გარკვეული წესებით რეგულირდება, რაც, თავის მხრივ, მთარგმნელს გარკვეულ სირთულეებს უქმნის, რომლის მთავარ ამოცანას სათქმელის ზუსტი გადმოცემა მთავარი აზრის დაურღვევლად. ერთ-ერთ ასეთ რთულ საქმეს პუბლიცისტური ტექსტების თარგმნა წარმოადგენს, რომელიც გარდა

ტერმინოლოგიური სიუხვისა, მკითხველზე ეფექტის მოხდენის მიზნით, დატვირთულია სატირულ-იუმორისტული პასაჟებით.

თარგმანთან დაკავშირებით სამი მნიშვნელოვანი საკითხი უდნა გამოიყოს:

- 1) თარგმანი ინფორმაციის უბრალო ტრანსფორმაცია როდია ერთი ენიდან მეორეზე. იგი აუცილებლად მოიაზრებს კულტურულ, მხატვრულ თუ ესტეტიურ კონოტაციებს.
- 2) როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის აუცილებელი საშუალება, ორი ენის (დედანი და სამიზნე ენები) მიღმა არსებული კულტურული ელემენტები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს თარგმნის პროცესზე;
- 3) იდეოლოგიის, ლოგიკისა თუ რელიგიური ფაქტორების გათვალისწინებით, თარგმნის პროცესში, უბრალოდ შეუძლებელია ზუსტი ეკვივალენტების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში, მთარგმნელი მხოლოდ ცდილობს მიახლოებული ეკვივალენტების ძიებას (<https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1075732.pdf>).

ვინაიდან სატირისა და იუმორის გადმოცემა მრავალფეროვანი სტილისტური ხერხებით ხდება, ეს კიდევ უფრო ართულებს თარგმნის პროცესს. არც თუ ისე იოლია კალამბურების, ფონემათა მონაცვლეობითა და მსგავსი საშუალებებით შექმნილი სატირულ-იუმორისტული ელფერის სრულფასოვანი დაცვა და გადმოტანა თარგმანში.

საინტერესოა, რეისისეული კონცეფცია, რომელიც თარგმანის პროცესში კომუნიკაციის მიღწევის მთავარ საშუალებად მიიჩნევს მთელ ტექსტს და არა ცალკეულ სიტყვებსა თუ წინადადებებს (Reiss, 1977/89: 11-14). იგი ტექსტებს შემდეგი კატეგორიების მიხედვით ყოფს <https://semioticsjournal.wordpress.com/2012/04/21/ვლადიმერ-ლუარსაბიშვილი/>:

– „**ფაქტების უბრალო კომუნიკაცია**” (Informative): ინფორმაცია, ცოდნა, აზრი და სხვ. ენის განზომილება, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გადაცემისთვის, არის ლოგიკური ან რეფერენციული, შინაარსი ან „თემა” არის კომუნიკაციის ძირითადი ფოკუსი და ტექსტის ტიპი არის ინფორმაციული;

– „**კრეატიული კომპოზიცია**” (Expressive): ავტორი იყენებს ენის ესთეტიკურ განზომილებას. ავტორი, ან „გამომგზავნი” არის წინა პლანზე, ისევე, როგორც

გზავნილის ფორმა, და ტექსტის ტიპი არის ექსპრესიული;

– „ინდუცირებული ქცევითი პასუხები“ (Operative): ფუნქციის მიზანია მკითხველის ან ტექსტის „მიმღების“ მიზიდვა ან დარწმუნება, მოიქცეს გარკვეულად. ენის ფორმა არის დიალოგიური, ფოკუსი – აპელაციური, ტექსტის ტიპი კი ოპერატიული;

– „აუდიომედიალური ტექსტები“ (Audiomedial): ფილმები, სამეტყველო, ვიზუალური რეკლამები, რომლებიც უზრუნველყოფს წინა სამ ფუნქციას ვიზუალური გამოსახულებით, მუსიკით და სხვ. (რომელიც გვიბიძგებს, შევიძინოთ რაიმე, ან განსაზღვრულად მოვიქცეთ).

ბასნეტის (Bassnett, 1993) მოსაზრებით, თარგმანი მარტო წმინდა ლინგვისტური აქტივობა როდია. იგი, აგრეთვე, მოიაზრებს სოციალურ დისკურსს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ინტრა-კულტურულ და ინტერ-კულტურულ აქტივობებს. ავტორის თქმით, თარგმნის პროცესში უმნიშვნელოვანესია კულტურული ასპექტების გათვალისწინება როგორც მხატვრული ტექსტების თარგმნისას, ისე ჟურნალისტური/საგაზეთო სტატიების თარგმნის პროცესში.

თარგმანთმცოდნეობაში ცენტრალური ტერმინებია: კოდი და კოდის ცვლა. ის მიისწრაფვის ერთი ტექსტის ინფორმაცია ინვარიანტულად შეინარჩუნოს მეორე ტექსტში (თარგმანში). კოდის ცნება გაიაზრება, როგორც სინტაქსურ ნიშანთან ერთი ენის ლექსიკურ ნიშანთა რეპერტუარის შეკავშირების მექანიზმი. მეტყველებაში კოდი საჭიროა, რათა შეტყობინება გამგზავნელისგან მიმღებს მიუვიდეს. თარგმანში გამგზავნსა და მიმღებს შორის დგება მთარგმნელი, რომელიც იყენებს კოდის ცვლას. რადგან მიმღები იმ კოდს ვერ ფლობს, რასაც გამომგზავნი უგზავნის, მაგრამ ამასთანავე ინფორმაცია იგივე უნდა დარჩეს. მთარგმნელი არა მარტო კოდის გადამრთველია, არამედ იგი წყარო-ენის ინფორმაციის მიმღებიც არის და იმავე ინფორმაციის გამგზავნიც მიზან-ენაში, რომელსაც მიზანი-ენის მატარებელი მიმღები ხსნის (გამეზარდაშვილი, 2004:12).

საგაზეთო სტატიების თარგმანი ე.წ. ჟურნალისტური თარგმანი შედარებით ახალი მიმართულებაა თარგმანთმცოდნეობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ ტიპის თარგმანს ბევრი გამოწვევები აქვს და მთარგმნელიც, შესაბამისად, დიდი გულისყურით უნდა ეკიდებოდეს თითოეული საგაზეთო ტექსტის თარგმნას.

ჟურნალისტურ (საგაზეთო სტატიების) თარგმნისას, პირობითად, ორი ქვემომართულება შეიძლება გამოვკვეთოთ:

- *სტატიების სათაურების თარგმნა;*
- *საგაზეთო სტატიების ტექსტების თარგმნა;*

სტატიების სათაურების თარგმანი ჟურნალისტურ თარგმანში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან, პირველ რიგში, სწორედ ის იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ამასთანავე, სათაურებს აღწერითი და საინფორმაციო ფუნქციაც აკისრია. შესაბამისად, მთარგმნელს დიდი ძალისხმევა სჭირდება სათაურების სწორად გადმოტანისას ერთი ენიდან მეორეში. სათაურების თარგმნის სირთულე, პირველ რიგში, მის კომპაქტურობაშია. როგორც წესი, საგაზეთო სტატიების სათაურები არის მოკლე, მაგრამ, ამავე დროს, მრავლის მთქმელი. მათ, როგორც წესი, თითქმის არასდროს აქვთ თხრობითი წინადადების ფორმა. ამავდროულად, სათაური სცდება ნებისმიერი სახის/ტიპის წინადადების სტრუქტურირების წესებსა და რეგულაციებს. იმის გამო, რომ სტატიის სათაურებში ექსპრესიულობა მაღალია, მათში მრავლად გვხვდება სტილისტური ხერხები, რომლებიც, ერთი მხრივ, ალამაზებენ და უფრო ექსპრესიულს ხდიან სათაურებს; მეორე მხრივ, კი ართულებენ მთარგმნელის საქმიანობას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სათაურების გამოყოფა სტატიისგან განცალკევებით ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ისინი სტატიის შინაარსის ძირითადი გამომხატველობითი საშუალებებია.

სათაურებთან მიმართებაში არაერთ ლინგვისტს აქვს აზრი გამოთმული. ჯორჯენსონის (Jorgenson, 1989:98) აზრით, „ახალი ამბები ასახავენ სამყაროს ისე როგორც ჩვენ მას ვხედავთ“, ავტორის აზრით, სათაური ნებისმიერი ტექსტის უმნიშვნელოვანესი ნაწილია იქნება ეს საგაზეთო სტატია, ბიზნეს მოხსენება თუ სხვა ტიპის ტექსტი. კარგი სათაურის გარეშე, დანარჩენი ტექსტი, პრაქტიკულად, უინტერესო ხდება.

ხოდაბანდეს (Khodabandeh, 2007) მიხედვით, ზოგადად ახალ ამბებს და, განსაკუთრებით, სათაურებს კითხვადობის მხრივ, უდიდესი დატვირთვა აქვთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია სათაურის განცალკევება ძირითადი შინაარსისგან, რადგან სათაური მთავარი კარიბჭეა ახალი ამბების სივრცეში შესაღწევად. კარგი სათაური მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც საუკეთესო საშუალებად შეიძლება

ჩაითვალოს მკითხველის ყურადღების მოსაზიდად კონკრეტულ ენაში. შესაბამისად, სათაური უნდა იყოს დრამატული, მოკლე და საინტერესო.

ლაროკე (LaRocque, 2003) აღნიშნავს, რომ გაზეთის კარგი სათაური უბიძგებს მკითხველს განაგრძოს კითხვა და დაუთმოს დრო მთელ სტატიას. ასეთი სათაური მკითხველის ყურადღებას იპყრობს. აშკარაა, რომ კარგი სათაურის შექმნა არა მარტო ლექსიკური და რიტორიკური ასპექტების დამსახურებით ხდება, არამედ, ამ საქმეში, უდიდეს როლს, აგრეთვე, გრამატიკული მახასიათებლებიც თამაშობს. სწორედ ამიტომ, საგაზეთო სტატიების სათაურებს, სხვა ტექსტებისგან განსხვავებით, მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები აქვთ. ავტორის თქმის, უცხოენოვანი მკითხველისთვის სათაურების აღქმა-გაგება ხშირად რთულ პროცესს წარმოადგენს.

ფეიფერი (Paper, 2009: 107) ამბობს: „გაზეთის საუკეთესო სათაურები მოგვითხრობენ ამბებს და, ამავე დროს, ყიდნიან თავად ამ გაზეთს. რადგან, ისინი მკითხველს მოკლედ უამბობენ იმის შესახებ, თუ რა საკითხს ეხება კონკრეტული სტატია და, ამავდროულად, უბიძგებენ მკითხველს კითხვისკენ“. ამიტომაც, სტატიების სათაურებს მათთვის დამახასიათებელი სტილი აქვთ, რომელიც მკვეთრად განსხვავდება უშუალოდ ტექსტის ენობრივი სტილისგან. ავტორის აზრით, სათაურებში გამოყენებულია სპეციალური გრამატიკული წესები და სიტყვების გამოყენებაც სპეციფიური გზით/სამუალებებით ხდება.

სწორედ ეს თავისებურებები ქმნის თარგმანში სირთულეებს, რის გამოც მთარგმნელს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, შეინარჩუნოს ექპრესიულობა და არ გადაუხვიოს სათქმელის მთავარ ხაზს.

ბეიარი (Bayar, 2007) გვთავაზობს ეკვივალენტობის რამდენიმე ხარისხს სტატიების სათაურების თარგმნისას: ეკვივალენტობა სემანტიკურ დონეზე; ეკვივალენტობა სტილისტურ დონეზე და ეკვივალენტობა პრაგმატულ-დინამიურ დონეზე. გამოცდილი მთარგმნელი თავად ირჩევს თარგმნის სწორ/მართებულ მეთოდს, რომელიც მისაღებია სამიზნე/კონკრეტული მკითხველისათვის.

კვლევის პროცესში მოძიებულია სატირისა და იუმორის შემცველი არაერთი ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საგაზეთო სტატია, იმის დასადგენად, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება საგაზეთო სტატიების ტექსტები და რა

ინსტრუმენტებითა თუ საშუალებებით ხდება ამ თავისებურებების გადატანა თარგმანში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ფოკუსი უმთავრესად სატირისა და იუმორის ტრანსფორმაციაზე ხდება თარგმნის პროცესში. თუმცა, სანამ კონკრეტულად სატირისა და იუმორის გადატანის თავისებურებებზე ვისაუბრებდეთ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი და აუცილებელია ვისაუბროთ იმ ძირითად სირთულეებზე, რასაც მთარგმნელები უმეტესწილად აწყდებიან სათაურებისა და, ზოგადად, საგაზეთო სტატიების თარგმნისას, როგორც ინგლისურიდან ქართულად, ასევე პირუკუ.

ინგლისურიდან ქართულზე თარგმანის პროცესში სათაურების შემთხვევაში სირთულეები რამდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. კერძოდ:

ინგლისურენოვანი საგაზეთო სტატიების სათაურებს ხშირად ფრაზული ფორმულირება აქვთ, ანუ ე.წ. დაუმთავრებელი წინადადებების სახით გვევლინებიან სტატიებში. მაგ. „Ending the War on Drugs“ (The New York Times); 36 Hours in Rennes and St.-Malo (The New York Times); Kashmir city on lockdown after calls for protest march (The Guardian); ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს გაუჭირდება სათაურის პირდაპირი თარგმანი, მანამ, სანამ არ გაეცნობა სრულიად სტატიის შინაარსს.

ზოგადად, ინგლისური საგაზეთო-პუბლიცისტური ენა დიდი თავისებურებებით გამოირჩევა როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ წინადადებას მკაცრი წესწყობა აქვს, წინადადებების წევრთა პოზიციები, მათი განლაგების სტრუქტურა გარკვეულ წესებს ექვემდებარება, ე.წ. გარკვეული წესებით რეგულირდება, რომელიც, შეიძლება ითქვას, ინგლისურენოვან პუბლიცისტურ ენაში ეს წესები ერთგვარად დარღვეულია. უფრო მეტიც, პუბლიცისტურ მეტატექსტებში წინადადების აგების სხვაგვარი სახესხვაობები შემოდის, რაც მთარგმნელისათვის დიდი გამოწვევაა. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც ინგლისურენოვან საგაზეთო სტატიების სათაურებში იკვეთება ზმნის საწყისი ფორმა მომავალი დროის გამოსახატავად. უდაოა, მსგავსი შემთხვევები საკმაო სირთულეებს უქმნის მთარგმნელს თარგმნის პროცესში: „Woody Allen's Rainy Day in New York to open Deauville film festival“ (The Gardian); Abortion and same-sex marriage to be extended to Northern Ireland if a new Executive cannot be formed (The Telegraph).

არც თუ ისე ხშირად, თუმცა მაინც, ვხვდებით სათაურებში გარიტმებს, რომლის თარგმნა, უდაოდ, ართულებს საქმეს: „Never Mind all those badgers – we’ve got to save the Cleggster“ (The Telegraph). თუმცა, ქართული ენის მდიდარი ბუნებიდან გამომდინარე, ამ პრობლემის დაძლევა მეტ-ნაკლებად უფორ იოლი გზებით შეიძლება: „*მაჩვს ნუ აქცევ ყურადღებას - კლეგსტერს უნდა ყურად-ღება*“ (ჩვენეული თარგმანი).

ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებში უხვად არის ისეთი პასაჟები, რომლებიც სერიოზულ სირთულეებს უქმნის მთარგმნელს თარგმნის პროცესში. სტატიის ავტორები ხშირად მიმართავენ მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ექსპრესიულობით ტვირთავს, როგორც სათაურს, ისე სტატიის ტექსტებს. შესაბამისად, ექსპრესიულად გაძლიერებული პასაჟები გარკვეულ გამოწვევებს უქმნის მთარგმნელს ნათქვამის სწორ ტრანსფორმაციაში ერთი ენიდან მეორეზე. ქართულენოვან საგაზეთო სტატიებში ვხვდებით ჟარგონებს, ხშირად სხვა ენებიდან ნასესხებ ჟარგონებსაც კი: „ალეკო ელისაშვილი: „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ სინამდვილეში, „**ჩაშკა-ლოჟკები**“ არიან“ („კვირის პალიტრა“, #32 (1306), 5-11 აგვისტო, 2019).

მოცემულ სიტუაციაში, ბუნერივია, მთარგმნელს გაუძნელებს სიტყვა „**ჩაშკა-ლოჟკები**“-ს გადატანა ინგლისურად; შესაბამისად, ისეთი სინონიმური სიტყვის მოძიება, რომელიც რომელიმე ენიდან დასესხებული ბარბარიზმია და, ამავდროულად, პირდაპირ ამ სიტყვის აღმნიშვნელი იქნება. ამ პრობლემის გადასაჭრელად, უპრიანია მთარგმნელმა მოიძიოს ისეთი ინგლისური სიტყვა, რომელიც ადეკვატურად მიანიშნებს მყარ-ურთიერთობებზე, ურთიერთსიახლოვეზე.

გაპიროვნება, რომელიც, ამავე დროს, მეტაფორის გამომხატველიცაა, ერთგვარად ართულებს თარგმნის პროცესს და სწორი აზრის გადმოცემას: „*უშგულში დრომ კიდევ ერთი კოშკი დააჩოქა*“ („კვირის პალიტრა“, #32 (1306), 5-11 აგვისტო, 2019). სიტყვა „**დაჩოქება**“ წინადადებას მეტად ექსპრესიულს ხდის. ავტორს ზუსტად აქვს შერჩეული სიტყვა იმის გადმოსაცემად, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება მოცემულ ეტაპზე არაერთი კოშკი სვანეთში. შეიძლება ითქვას, აქ საქმე გარკვეული სოციალური ეთნო-კულტურულ ფენომენთან გვაქვს, კერძოდ კი, ავტორს სურს მკითხველამდე იგივე ემოციური დატვირთვით მიიტანოს კოშკის მნიშვნელობა, რა დატვირთვაც უშუალოდ კოშკს აქვს სვანი ხალხისთვის. შესაბამისად, „**კოშკის დაჩოქება**“, ერთგვარი ტრაგედიაა, რომლის აღქმა მთელი თავისი სისავსით თარგმანში გადატანისას შეიძლება ან

შესუსტდეს, ან საერთოდ დაიკარგოს. ქართველი მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი იქნება კომპიუტერის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი, რომლის განცდაც მსგავსი ემოციების ფარგლებში შეიძლება საერთოდ არ დაფიქსირდეს უცხოენოვან მკითხველში. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, თანაც საფუძვლიანი, თუ რამდენად საჭირო იქნება მოცემული წინადადების „უშგულში დრომ კიდევ ერთი კომპი დააჩოქა“ გადატანა იმგავარდ, რომ მასში დაცული იყოს მეტაფორის ტრანსფორმირება ერთი ენიდან მეორეში.

მეტაფორებთან ერთად, ინგლისურად გადატანისას საქმეს არანაკლებ ართულებს მეტონიმის შემთხვევებიც: „ატომური „პიონები“ აგვისტოს ომში“ („კვირის პალიტრა“, #32 (1306), 5-11 აგვისტო, 2019). კონკრეტულ წინადადებაში „პიონებს“ არანაირი ესთეტიკური დატვირთვა არ გააჩნია. პირიქით, იგი კიდევ უფრო გამოკვეთს საქართველოში აგვისტოს ომის დროს შექმნილ მწვავე ვითარებას. მოცემული წინადადების თარგმნისას, მთარგმნელი დიდი გამოწვევის წინაშე დადგება ჩაანაცვლოს თუ არა სიტყვა „პიონი“ მსგავსი მეტონიმური ინგლისურენოვანი ეკვივალენტით ისე, რომ სრულიად წინადადების ექსპრესიულობა არა თუ შემცირდეს, არამედ კიდევ უფრო მკვეთრი და თვალშისაცემი გახდეს უცხოენოვანი მკითხველისათვის.

რაც შეეხება უშუალოდ სატირისა და იუმორის გადმოტანის საკითხს საგაზეთო სტატიების დონეზე, აქ სიტუაცია კიდევ უფრო რთულადაა, ვინაიდან მთარგმნელი დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ საკითხს, ჩაწვდეს მთავარ აზრს და შეეცადოს, ნათქვამი იმავე სატირულ-იუმორისტული შეფერილობით გადმოიტანოს, როგორც ეს დედან ტექსტშია დაცული.

მთარგმნელები ხშირად დიდი გამოწვევების წინაშე დგებიან სატირისა და იუმორის ნიმუშების თარგმნისას. მაგრამ აქაც არის გარკვეული განსხვავებები ორი ენის დონეზე (ქართული და ინგლისური). ინგლისურიდან ქართულზე გადმოთარგმნას შედარებით ნაკლები ძალისხმევა სჭირდება, ვინაიდან ინგლისურენოვან ჟურნალ-გაზეთებში სატირა და იუმორი, ძირითადად, შინაარსობრივ (სემანტიკურ) დონეზეა დაყვანილი. შინაარსის ტრანსფორმირება კი გაცილებით ადვილია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთარგმნელი ერთი ხელის მოსმით შეძლებს ზუსტად გადმოიტანოს სათქმელი, რაც კონკრეტული სატირისა თუ იუმორის მაგალითების მიღმა იმალება. თუმცა, საბოლოოდ,

პროფესიონალი და გამოცდილი მთარგმნელი ამ პრობლემასაც გაართმევს თავს. მაგ. **Saga of the Toxic Ball Fields** (გაზეთი - **The New York Times**) [ტოქსიკური საფეხბურთო მოედნების საგა/ისტორია] (ჩვენეული თარგმანი) ...“Lucky Man” wins lottery on same day as his birthday and retirement (გაზეთი Evening Standards) [ილბლიანი კაცი ლატარეას ერთდროულად თავის დღეობასა და სამსახურიდან განთავისუფლების დღეზე იგებს] (ჩვენეული თარგმანი)..... Meghan Markle to have royal baby SOON? Royal wives expected to become “pregnant quickly” (გაზეთი Express) [მეგან მარკლი უკვე ბავშვის მოლოდინშია? სამეფო კარის ცოლები რაღაც „სწრაფად ფეხმძიმდებიან“] (ჩვენეული თარგმანი)

კვლევის პროცესში შეგვხვდა სატირისა და იუმორის გადმოცემის შემთხვევები გრაფიკული ფორმით, ანუ დიდი ასოებით აქცენტირება კონკრეტულ სიტყვებზე, რაც, საერთო ჯამში, სატირულ-იუმორისტულ შეფერილობას უქმნის პასაჟს. მაგ. Meghan Markle and Kate **REUNITE** for Prince Charles’s party at Buckingham Palace [მეგან მარკლი და ქეითი ბაკინგემის სასახლეში პრინც ჩარლზის წვეულებაზე ერთიანდებიან] (ჩვენეული თარგმანი).... Pound **LIVE**: GBP Sterling **RECOVERS** against US dollar after slumping to **THREE-WEEK LOW** [პაუნდი ცოცხალია: ინგლისური სტერლინგი ძალეbs იკრებს დოლარის წინააღმდეგ სამკვირიანი ვარდნის შემდეგ] ჩვენეული თარგმანი)... . მოცემული მაგალითებიდან, პირველ წინადადების ქართულენოვან თარგმანში სიტყვა **REUNITE** არ იკარგება, თუმცა, ექსპრესიულობის ხარისხი გარკვეულწილად იკლებს. თუმცა, სხვადასხვა მთარგმნელს, ალბათ, განსხვავებული ვერსიები ექნებათ აღნიშნული წინადადების გადმოსატანად. მეორე მაგალითში კი, შეიძლება ითქვას, ადეკვატურად არის გადმოსული ექსპრესიულობა თარგმანში. ბუნერბივია, ამ შემთხვევაშიც, სრულიად შესაძლებელია თარგმანის ვარიაციები ქართულში.

რაც შეეხება ქართული საგაზეთო სტატიებიდან სატირისა და იუმორის პასაჟების გადატანას ინგლისურში, აქ საქმე უფრო რთულადაა, რადგან ისინი გადმოცემულია არა მარტო სემანტიკურ, არამედ გრაფიკულ, მორფოლოგიურ, სტილისტურ და სოციო-კულტურულ დონეზე. ამ ყველაფერს კი, ზოგჯერ, უთარგმნელობის პრობლემამდეც კი მიყვავართ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული დიოტს, რომლის მიხედვითაც „როდესაც საქმე იუმორის გადმოთარგმნაზე მიდგება, თარგმნის პროცესი ზოგჯერ ისეთივე უიმედო ხდება, როგორც თვით პოეზიის თარგმნა“ (Diot, 1989:84). ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ იუმორი ექვემდებარება იმპლიციდურ

კულტურულ სქემებს და მისი თარგმნისას თავისი წესები და აკრძალვები გააჩნია. შესაძლოა, კონკრეტული იუმორი გარკვეული სოციუმისთვის მიუღებელი ან შეურაცხყოფელი აღმოჩნდეს, რის გამოც მთარგმნელი ამ საკითხს ძალიან დიდი სიზუსტითა და დაკვირვებით უნდა მოეპყროს.

§ 2. უთარგმნელობის პრობლემა

თარგმნის თეორიაში დიდი პოლემიკაა გამართული თარგმანისა და უთარგმნელობის საკითხების გარშემო. რა თქმა უნდა, უკვე ფართოდ არის აღიარებული ის მოსაზრება, რომ თარგმანის პროცესი არ არის შეუძლებელი საქმიანობა, რადგან თარგმანის ისტორია ათასობით წელს ითვლის. თარგმანი სათავეს უძველესი დროიდან იღებს და, შესაბამისად, თარგმნის პროცესებიც თანდათანობით უფრო იხვეწებოდა და ზუსტი ხდებოდა. თარგმანის პროცესებმა განსაკუთრებული სრულყოფა კი თანამედროვე გლობალურ სამყაროში ჰპოვა, სადაც თარგმანთშორისი არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა. თანამედროვე გლობალურ სამყაროში ინტერკულტურული კომუნიკაციები კიდევ უფრო სრულყოფს თარგმანის პროცესსა თუ ტექნიკებს.

ყველა ეს შემთხვევა ცხადყოფს, რომ ნებისმიერი ენა თარგმანს ექვემდებარება გარკვეულწილად, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით და თვალს ვერ მოვუხუჭავთ ბევრ ისეთ ფენომენს, იქნება ეს კულტურული თუ სოციალური, რამაც შეიძლება უთარგმნელობის პრობლემებამდე მიგვიყვანოს. უთარგმნელობის საკითხი ხშირად ინტერკულტურული კომუნიკაციების პროცესში იჩენს თავს, განსაკუთრებით ეს მხატვრული თარგმანის დროს შეიძლება მოხდეს (<https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1075732.pdf>)

ნიუმარკის (Newmark, 2001: 7) თანახმად, თარგმანი ერთვარი მცდელობაა ერთი ენის ფარგლებში გადმოცემული წერილობითი თუ ზეპირი ნააზრევი/გზავნილი ჩაანაცვლოს მეორე ენის წერილობითი თუ ზეპირი ფორმით, რომლის დროსაც , აუცილებლად, ადგილი ექნება გარკვეული სახის მნიშვნელობის დაკარგვასა თუ შესუსტებას მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, რაც

უფრო მეტი ინფორმაცია იკარგება თარგმანში, მით უფრო ნაკლებად თარგმანი ხდება ტექსტი და პირუკუ, რაც უფრო ნაკლები ინფორმაცია იკარგება თარგმანში, მით მეტად თარგმნადი ხდება ტექსტი. არაერთი მეცნიერის მოსაზრებით, ნებისმიერ ენაში არსებობს ჩაუნაცვლებადი ე.წ. უთარგმნელი ელემენტები, როგორცაა კულტურული თუ სოციალური ტრადიციები, ემოციური ფენომენი, სინტაქსური სტრუქტურა და კონკრეტულად ამ ენისთვის დამახასიათებელი სიტყვები, რომელთა ეკვივალენტების გამონახვა სათარგმნ ენაში თითქმის შეუძლებელია. როგორც წესი, ასეთ დროს სახეზე გვაქვს ლინგვისტური და კულტურული ხელშემშლელი ფაქტორები, რომლის დროსაც გარდაუვალია ინფორმაციის/მნიშვნელობის დაკარგვა, რასაც აშკარა უთარგმნელობამდე მივყავართ.

თარგმნადობა-უთარგმნელობის დილემის გადალახვისა და თარგმნის თეორიული „ლეგიტიმაციის“ მცდელობად უნდა განვიხილოთ 1950-60-იან წლებში ლინგვისტიკის ფარგლებში ჩამოყალიბებული ეკვივალენტობის პარადიგმა, რომელმაც ათწლეულების განმავლობაში დომინანტური მნიშვნელობა შეინარჩუნა. სტრუქტურალიზმისგან განსხვავებით, ეკვივალენტობის თეორიებში თარგმნა განიხილება, როგორც „ეფექტური კომუნიკაცია“ (Nida 1969:483), რომელიც იმთავითვე გულისხმობს სამეტყველო და უფრო ზოგადად, კულტურული კონტექსტის გათვალისწინებას და არა სხვადასხვა ენის სტრუქტურებს შორის თანხვედრას.

თარგმნა-უთარგმნელობის ძირითად გამოწვევად რეალიები რჩება. რეალიები წარმოადგენენ მატერიალური კულტურის საგნებსა და მოვლენებს, ეთნონაციონალურ თავისებურებებს, წეს-ჩვეულებებისა და ისტორიული ფაქტების აღმნიშვნელ სიტყვებს (და აგრეთვე მყარ ენობრივ შესიტყვებებს, რომლებიც ასეთ სიტყვებს შეიცავენ), რომელთაც სხვა კულტურებში ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ ეკვივალენტი და რომლებიც კულტურის, ისტორიული ეპოქის, სოციალური წყობის, სახელმწიფო მოწყობის აღმნიშვნელ კონცეფტებთან დაკავშირებულ ცნებებსა და საგნებს აღნიშნავენ. შესაბამისად, რეალიათა თარგმანი წარმოადგენს ეროვნულის, ისტორიული თავისებურებისა და კოლორიტის გადმოცემის პრობლემის ნაწილს (წურწუმი, 2013:140).

თარგმანის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უცნობი რეალიის გააზრებისა და პრეზენტაციის სპეციფიკას და

ორიგინალში მისი როლისა და ადგილის განსაზღვრას. უცნობი რეალია მხატვრული ნაწარმოების ტექსტში ავტორს შემოაქვს რეციპიენტი კულტურისთვის ახალი სინამდვილის აღსაწერად. ეს უცხო სიტყვები ისეთნაირად უნდა იქნას მოწოდებული, რომ წარმოდგენა შეგვიქმნას აღსაწერი საგნის შინაარსის შესახებ, გვაგრძნობინოს „უცხოობის“ სპეციფიკური სურნელი, ადგილობრივი, თუ ეროვნული ისტორიული კოლორიტი, რის გამოც მოხვდა ტექსტში ეს უცხო ელემენტები (წურწუშია, 2013:142).

სწორედ ასეთი ტიპის გამოწვევების წინაშე დგება ხშირად მთარგმნელი, რომლის მთავარ მიზანს სწორი ეკვივალენტების მოძიება და კონტექსტუალური ფორმის შექმნა წარმოადგენს.

რაც შეეხება იუმორის ლინგვისტური უთარგმნელობის პრობლემას, ამ საკითხს ძირითადად დენოტაციურ-კონოტაციურ მნიშვნელობების პრობლემამდე მივყავართ. აქ მოიაზრება დიალექტის, სოციოლექტისა და იდიოლექტის ლინგვისტური ვარიაციები, აგრეთვე, მეტალინგვისტური და მეტალინგვალური კომუნიკაციები, სადაც თავს იჩენს ისეთი ლინგვისტური ფორმები, როგორიცაა კალამბურები (ბგერათა და სიტყვათა გარითმვა). ენობრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებული პრობლემა იუმორის თარგმნისას იმაში მდგომარეობს, რომ მასში ჭარბობს სოციოლინგვისტური თავისებურებები (ე.წ. დიალექტური გამონათქვამები) (ed. Gambier & Doorslaer, 2010: 150-151).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სატირისა და იუმორის მაგალითები ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებში გადმოცემულია სემანტიკურ, გრაფიკულ, მორფოლოგიურ, სტილისტურ და სოციო-კულტურულ დონეზე. ეს კი სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს მთარგმნელს. უფრო მეტიც, არის ისეთი შემთხვევები, სადაც აზრის გადმოცემა ერთი რომელიმე საშუალებით კი არ ხდება, არამედ სხვადასხვა სტილისტური ხერხით. შესაბამისად, მთარგმნელისათვის რთულდება საქმე ზუსტად გადმოსცეს სათქმელი სამიზნე ენაზე. მაგ. გააგიჟა! ესე ამბავი ბიძინა გამგიჟებლისა და ნიკუტა გაგიჟებულისა! (გაზეთი ასავალ-დასავალი, #32 (1289), 12-18 აგვისტო, 2019 წელი). ამ მაგალითში ნათლად ვხედავთ არქაულ ფორმას „ესე ამბავი“; იქვე ექპრესიულობის მიზნით გამოყენებულია სიტყვათა თამაში „გამგიჟებლისა-გაგიჟებულისა“. ამავე დროს, სტატიის ავტორი არ ერიდება ტაბუირებულ სიტყვებს შელამაზებული ფორმით და პიროვნების

სახელი ასეთი ფორმით აქვს წარმოჩენილი „ნიკუტა“. ასეთმა მაგალითმა მთარგმნელი უთარგმნელობის პრობლემადევ კი შეიძლება მიიყვანოს.

არქაულ ფორმებთან ერთად, თარგმნის პროცესს, უდავოდ, ართულებს ლიტერატურული სიტყვების გამოყენება სატირისა თუ იუმორის გადმოცემისას. მაგ. „ქართველების ღვაწლი და სვე-ბედი რუსეთის რევოლუციებში“ (გაზეთი ქრონიკა +, 17 იანვარი, 2018 წელი).

თარგმნის პროცესში კიდევ უფრო რთული იქნება ისეთი პასაჟების თარგმნა, სადაც კონტექსტუალურად ექპრესიულობის გაზრდის მიზნით გამოყენებულია უცხოური სიტყვები ან ჟარგონები დასესხებული სხვა ენიდან.

მაგ. „რუსეთის პირველი დიპლომატები და საქართველო - „шёнгинацвале“ დიპლომატია“ (გაზეთი ქრონიკა +, 4 დეკემბერი, 2017 წელი). „აქ ყველა „ვოლკს“, „დედს“ ან „სტარს“ თავისი „ჩმორი“ ჰყავს“ - რუსული ჯარის კოშმარი (<https://www.kvirispalitra.ge/public/56182-qaq-yvela-qvolksq-qdedsq-an-qstarsq-thavisi-qchmoriq-hyavsq-rusuli-jaris-koshmari.html>).

არანაკლებ თავსატეხს წარმოადგენს სტილისტური ხერხებით გადმოცემული სატირისა და იუმორის პასაჟების ტრანსფორმაცია ერთი ენიდან მეორეზე. ამ მხრივ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ალუზიის შემთხვევა, რომელსაც ერთ-ერთ სტატიაში ასეთი სახე აქვს: „ქალია-ადამიანი?!“ თამარ ჩერგოლეიშვილი: ქრისტე მოკვდა და მოკვდა“ (გაზეთი ასავალ-დასავალი, #18 (1275), 6-12 მაისი, 2019 წელი).

და ბოლოს, ვფიქრობთ, ყველაზე რთულ შემთხვევას, რომელმაც შეიძლება უთარგმნელობის პრობლემამდევ კი მიგვიყვანოს, არის **სოციო-კულტურული ასპექტები**, რომლებზეც არის დაშენებული სატირისა და იუმორის კონკრეტული შემთხვევები. თარგმნის პროცესში მთარგმნელმა ან სინონიმური წყვილით უნდა ჩაანაცვლოს, რომელიც არც თუ ისე იოლი შეიძლება აღმოჩნდეს, ან აღწერით მეთოდს მიმართოს, რომელიც, ნამდვილად, დააკარგვინებს კონკრეტულ მაგალითს იუმორისა თუ სატირის ელფერს. ასეთ შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: „გვარამიას ორმოცი. წერეთელი დაიბარეს“ (გაზეთი ასავალ-დასავალი, #32 (1289), 12-18 აგვისტო, 2019 წელი). ქართველი მკითხველისთვის კარგად ცნობილია, თუ რასთან ასოცირდება სიტყვა „ორმოცი“, თუმცა, სხვა ერისა თუ კონფეციის

წარმომადგენლებისათვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნება, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა, ან რა საეკლესიო თარიღი მოიაზრება მის ქვეშ. შესაბამისად, მთარგმნელი აღწერით მეთოდს ვერ მიმართავს, რადგან სათაურია და სათაურისთვის ლაკონურობა უფრო მომხიბვლელია. ამიტომ მთარგმნელმა სინონიმური სიტყვა უნდა მოახოს, რომელსაც ისეთივე ექპრესიული დატვირთვა ექნება, როგორც ეს კონკრეტულ კონტექსტშია.

შეჯამების სახით შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რითია გამოწვეული თარგმნის პრობლემები და რაში მგომარეობს უთარგმნელობა კონკრეტულ შემთხვევებში სატირა-იუმორთან მიმართებაში. როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ძირითადი პრობლემები და უთარგმნელობის შემთხვევები უმთავრესად ქართულიდან ინგლისურში აღმოჩნდა. ჩვენი ვარაუდით, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ქართული ენა სინთეზური ენაა, რომელშიც სიტყვათა შორის გრამატიკული მიმართებები გამოიხატება მორფოლოგიური ხერხებით, თვით სიტყვის ფარგლებში აფიქსებისა და ფუძის ფლექსიის (სიტყვათწარმოება) საშუალებით.

§3 ექსპერიმენტი

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, საკვლევი თემის ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების ვალიდურობისა და სანდოობის მიზნით, გადაწყვიტეთ ექსპერიმენტის ჩატარება. სამიზნე ობიექტად შერჩეულ იქნა ევროპის უნივერსიტეტისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის III და IV კურსის სტუდენტები. კვლევის ობიექტებად, აგრეთვე, ჩართულნი იქნენ სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები, რომლებსაც უკვე გავლილი ჰქონდათ ინგლისური ენის საშუალო (intermediate) და ზედა-საშუალო (upper-intermediate) დონეები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 55-მა სტუდენტმა. ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტები, აგრეთვე, საშუალო (intermediate) და ზედა-საშუალო (upper-intermediate) დონის მქონე ზოგადი ინგლისური ენის კურსების სტუდენტები სპეციალურად იქნენ შერჩეულნი, ვინაიდან, დიდი ალბათობით, ყველაზე უკეთ ექსპერიმენტში დაგეგმილ აქტივობას სწორედ ისინი გაართმევდნენ თავს. სავარაუდოდ, მოცემულ ეტაპზე, ისინი უკვე იცნობენ ისეთ ლინგვისტურ ელემენტებს, როგორიცაა სატირა და იუმორი და მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. შეძლებისდაგვარად, იყო ვარაუდი/მოლოდინი, რომ მათ არ გაუჭრდებოდათ ამ ლინგვისტური ერთეულების იდენტიფიცირება წინადადებებისა თუ ტექსტების დონეზე.

ექსპერიმენტის დაწყებამდე შევიმუშავეთ სპეციალური ტესტი, რომელშიც შეტანილ იქნა ოთხი ტიპის დავალება. ოთხივე დავალება სრულად ეთანხმებოდა დისერტაციის საკვლევ თემებს. მიგვაჩნდა, რომ ამ დავალებების შესრულების საფუძველზე მიღებული შედეგები კიდევ უფრო გააღრმავებდა სადისერტაციო თემის გარშემო მირღებულ და შემუშავებულ მიგნებებს.

ექსპერიმენტის პირველ და მეორე დავალებაში კვლევის ობიექტებს მოეთხოვებოდათ მხოლოდ იმის გარკვევა, თუ რა სახის ნიშნებს (იუმორისტული თუ სატირულ-ირონიული) ატარებდა კონკრეტული წინადადება. აღნიშნული დავალების შესრულება ევალუბოდათ, როგორც ქართული წინადადებების, ისე ინგლისურენოვანი მაგალითების ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, პირველ და მეორე შეკითხვებს შემდეგი ფორმულირება ჰქონდა:

1. წიკითხეთ წინადადებები ინგლისურენოვანი სტატიებიდან და
 - ა) მიანიშნეთ იუმორისტული შეფერილობა აქვს აღნიშნულ წინადადებას, თუ ირონიულ-სატირული?
 - ბ) წინადადებაში ხაზი გაუსვით იმ ცალკეულ სიტყვებსა თუ ფრაზებს, რითაც არის გადმოცემული სატირა/იუმორი/ირონია მოცემულ წინადადებაში.
2. წიკითხეთ წინადადებები ქართულენოვანი სტატიებიდან და
 - ა) მიანიშნეთ იუმორისტული შეფერილობა აქვს აღნიშნულ წინადადებას, თუ ირონიულ-სატირული?
 - ბ) წინადადებაში ხაზი გაუსვით იმ ცალკეულ სიტყვებსა თუ ფრაზებს, რითაც არის გადმოცემული სატირა/იუმორი/ირონია მოცემულ წინადადებაში.

მესამე და მეოთხე დავალებები შინაარსობრივად შედარებით უფრო რთული იყო, ვინაიდან ისინი მშრალ დაკვირვება-ანალიზს კი არ მოიაზრებდნენ, არამედ უშუალოდ თარგმნის პროცედურების შესრულებას კვლევის ობიექტების მხრიდან. აღნიშნულ დავალებებს ასეთი სახე მივეცით საექსპერიმენტო ტექსტში:

3. თარგმნეთ წინადადებები ინგლისურიდან-ქართულად. მაქსიმალურად შეეცადეთ დაიცვათ ექსპრესიულობის ხარისხი ნათარგმნ წინადადებებში.
4. თარგმნეთ წინადადებები ქართულიდან ინგლისურად. მაქსიმალურად შეეცადეთ დაიცვათ ექსპრესიულობის ხარისხი ნათარგმნ წინადადებებში.

ექსპერიმენტი ჩატარდა ეთიკის ყველა ნორმის დაცვით. სამიზნე ობიექტები წინასწარ იქნენ ინფორმირებულნი ექსპერიმენტის შესახებ. მათ მიეწოდათ მაქსიმალური ინფორმაცია ჩვენი სადისერტაციო კვლევის გარშემო. შესაბამისად, ექსპერიმენტში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. ამავე დროს, მათ წინასწარ იცოდნენ, რომ ნამუშევრები ანონიმური დარჩებოდა და, არავითარ შემთხვევაში, არ იმოქმედებდა მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალურად ყველა სტუდენტი ჩაერთო კვლევაში. ტესტს შემეგი სახე ჰქონდა:

1. წაკითხეთ წინადადებები ინგლისურენოვანი სტატიებიდან და
 - ა) მიანიშნეთ იუმორისტული შეფერილობა აქვს აღნიშნულ წინადადებას, თუ ირონიულ-სატირული?
 - ბ) წინადადებაში ხაზი გაუსვით იმ ცალკეულ სიტყვებსა თუ ფრაზებს, რითაც არის გადმოცემული სატირა/იუმორი/ირონია მოცემულ წინადადებაში.

1. Bob Seely Donald Trump is absolutely right about Huawei, and anyone interested in being PM should listen.
2. Why is Trump surrounded by cocky, unqualified and kooky men?
3. Meghan Markle to have royal baby SOON? Royal wives expected to become “pregnant quickly”
4. The Jobless rate Is So Low. Why Aren’t Wages keeping Up?
5. “Lucky Man” wins lottery on same day as his birthday and retirement.

2. წაკითხეთ წინადადებები ქართულენოვანი სტატიებიდან და
 - ა) მიანიშნეთ იუმორისტული შეფერილობა აქვს აღნიშნულ წინადადებას, თუ ირონიულ-სატირული?
 - ბ) წინადადებაში ხაზი გაუსვით იმ ცალკეულ სიტყვებსა თუ ფრაზებს, რითაც არის გადმოცემული სატირა/იუმორი/ირონია მოცემულ წინადადებაში.

1. „ნერვების ომი“ - ამ ყველაფერს მოფიქრება ხომ უნდოდა?!”
2. „250-ჯერ იაფად გაყიდული მიწები.“
3. „პოლიტიკური სანქცია, თუ საექვო ტრანზაქცია?!”
4. „ბარტყებს გადმოაგდებენ, კორუფციის მამალ მგელს ხელს არ ჰკიდებენ“
5. „ეს აქციის დაშლა კი არა ომობანას თამაში იყო“

3. თარგმნეთ წინადადებები ინგლისურიდან-ქართულად. მაქსიმალურად შეეცადეთ დაიცვათ ექსპრესიულობის ხარისხი ნათარგმნ წინადადებებში.

1. EU Elections: Right Wing Nationalists, Left Wing Greens Make Big Gains

2. Nine films that weren't shot where you thought.
3. Two years after its inception, 10,000 bitcoin was just about enough to buy a couple of takeaway pizzas.
4. Euroscepticism is infiltrating the EU's intellectual elite.
5. Writing on the GQ website, Luke Darby argues: "Obama was 'cool' if you liked him, or aloof and professorial if not."

4. *თარგმნეთ წინადადებები ქართულიდან ინგლისურად. მაქსიმალურად შეეცადეთ დაიცვათ ექსპრესიულობის ხარისხი ნათარგმნ წინადადებებში.*

1. გვარამიას ორმოცი! წერეთელი დაიბარეს!
2. ქიზმენდა ქიბარის ტელევიზიაში!
3. გახარია - პრემიერ-მინისტრად!
ლარიბაშვილი - შინაგან საქმეთა მინისტრად!
4. გიორგი გახარიას გაპრემიერება და ირაკლი ლარიბაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნა არა უბრალოდ სამთავრობო ცვლილებაა, არამედ სასამშობლო.
5. ბანიერი წრე, ანუ საბოტაჟი ლარის, ქართული ეკონომიკისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ!

ტესტის შესრულების ხანგრძლივობა სავარაუდოდ ერთი აკადემიური საათი იყო. ტესტის დასრულების შემდეგ კვლევის ავტორების მხრიდან მოხდა მიღებული შედეგების როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი ანალიზი.

§4 ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი

ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი შემდეგში მდგომარეობს:

თვისებრივი ანალიზის საფუძველზე, როგორც ტესტის პასუხებიდან ირკვევა, ყველაზე იოლი აღმოჩნდა მეორე დავალება, რომელიც მოიაზრებდა ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან ამონარიდი წინადადებების სატირა-იუმორისტული შეფერილობის გარკვევასა და იმ ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების იდენტიფიცირებას, რომლითაც ხდებოდა ასეთი მხატვრული შეფერილობის მინიჭება უშუალოდ წინადადებისათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კვლევის 55 ობიექტიდან დაახლოებით 50-მა ადვილად გაართვა თავი აღნიშნულ დავალებას და სწორად მონიშნა პასუხები. მეორე დავალების

ა) პუნქტი მაქსიმალური სიზუსტით შეასრულა 50-მა სტუდენტმა, ხოლო

ბ) პუნქტი - 48 სტუდენტმა.

საერთო ჯამში, რაოდენობრივი კვლევისთვის, მეორე დავალება შეფასდა 50 ქულიანი ნიშნულით. მიღებული შედეგები იმით შეიძლება აიხსნას, რომ ყველა მათგანი ქართველი რესპოდენტი გახლდათ.

რაც შეეხება პირველ დავალებას, ის არც თუ ისე მარტივი შესასრულებელი გახლდათ, თუმცა აღნიშნული დავალების პირველი ნაწილი გაცილებით იოლი აღმოჩნდა კვლევის სუბიექტებისათვის; ვინაიდან, ის შინაარსობრივად მოიაზრებდა ინგლისურენოვანი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოღებული წინადადებებში სატირა-იუმორისტული შეფერილობის განსაზღვრას. ამ ნაწილში 55 სუბიექტიდან 43-მა სტუდენტმა თითქმის წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ დავალებას.

რაც შეეხება იმავე დავალების მეორე ნაწილს, სადაც კვლევის სუბიექტებს მოეთხოვებოდათ, უშუალოდ, იმ ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების იდენტიფიცირება, რომლითაც ხდებოდა ასეთი მხატვრული შეფერილობის მინიჭება უშუალოდ ინგლისურენოვანი წინადადებისათვის, ის გაცილებით ერთულათ სტუდენტებს და მხოლოდ 31-მა სტუდენტმა შეძლო აღნიშნული დავალების შესრულება.

თვისებრივი ანალიზის მხრივ საინტერესო აღმოჩნდა მესამე და მეოთხე დავალებიდან მიღებული შედეგების გაშიფვრა და ანალიზი. უნდა აღინიშნოს, რომ

კვლევის ავტორებისაგან სტუდენტების მხრიდან ამ ორი დავალების წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებით არც თუ ისე დიდი იყო მოლოდინი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თარგმნა და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი ტექნიკები საკმაოდ რთულ პროცედურებს წარმოადგენს და, ზოგჯერ, ენის მაღალი დონის ფლობის მიუხედავად, მაინც საკმაოდ ჭირს თარგმანის შესრულება.

კვლევის ავტორთა მოლოდინი ნამდვილად გამართლდა. მესამე და მეოთხე დავალება გაცილებით რთული შესასრულებელი აღმოჩნდა. 55 სტუდენტიდან მხოლოდ 11-მა შეძლო მეტ-ნაკლები სიზუსტით ინგლისურიდან ქართულად გადმოეტანათ ინგლისური ჟურნალ-გაზეთებიდან მოძიებული წინადადებები, რომლებსაც სატირული, ირონიული ან იუმორისტული შეფერილობა ჰქონდათ, ისე რომ არ დაერღვიათ შინაარსობრივი მხარე და, ამავე დროს, შეენარჩუნებინათ მხატვრული შეფერილობა.

მეოთხე დავალება ყველაზე რთული აღმოჩნდა შესასრულებლად. იგი მესამე დავალების საპირისპირო გახლდათ და მოიაზრებდა ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან მოძიებული წინადადებების თარგმნას შინაარსობრივი მხარისა და მხატვრული შეფერილობის სრული დაცვით. სამწუხაროდ, აღნიშნული დავალების მეტ-ნაკლები სიზუსტით შესრულება მხოლოდ 7-მა სტუდენტმა მოახერხა. ამ დავალების ვერშესრულება არც შეიძლება სტუდენტების უცოდინრობას დავაბრალოთ, რადგან კვლევის ობიექტების ენობრივი დონე ინგლისურში საშუალო და ზედა-საშუალო დონეს წარმოადგენდა. ამასთანავე, თუ ადგილი ექნებოდა ენის უცოდინრობას, მაშინ იგივე პირები პირველ და მეორე დავალებას წარმატებით ვერ გაართმევდნენ თავს. აქ უფრო საქმე გვაქვს იმ გარემოებასთან, რომ ინგლისური და ქართული სხვადასხვა სისტემის ენებია და, შესაბამისად, ქართულიდან, როგორც სინთეზური ენიდან, მთელი რიგი ლინგვისტური ერთეულების ტრანსფორმირება ინგლისურში (ანალიზურ ენაში) დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ დონეზე. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამ ყველაფერს უთარგმნელობის შემთხვევებამდეც კი მივყავართ.

მეოთხე დავალების შესრულებისას, განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა კულტურული კლიშეების ტრანსფორმაცია ქართულიდან ინგლისურზე, რომლის


თარგმნაც პრაქტიკულად ვერც ერთმა სტუდენტმა ვერ შეძლო. ასეთი მაგალითი გახლდათ: „გვარამიას ორმოცი! წერეთელი დაიბარეს!“...

ასევე ძლიერ გართულდა ბერების თამაშით მიღებული ფრაზებისა და წინადადების თარგმნა ინგლისურად:

„ქიზწმენდა ქიბარის ტელევიზიაში!“.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ორი წინადადება ვერც ერთმა სტუდენტმა ვერ თარგმნა ინგლისურად შინაარსობრივი მხარისა და მხატვრული შეფერილობის სრული დაცვით.

შევეცადეთ, რაოდენობრივი კვლევაზე დაყრდნობით მიღებული შედეგები გრაფიკულად გამოგვესახა, რათა უფრო თვალსაჩინო და ვალიდური ყოფილიყო ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი.



ძირითადი დასკვნები

სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივი საშუალებების შესწავლამ, რომელიც დაემყარა ქართულ და ინგლისურ საგაზეთო-პუბლიცისტურ მასალას, შესაძლებლობა მოგვცა, ჩამოგვეყალიბებინა შემდეგი:

❖ სატირისა და იუმორის ზემოქმედების ძალა შეუდარებელია და ცალსახად მიანიშნებს მხატვრული ასახვის ამ საშუალებათა დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე;

❖ ჩვენი დამოკიდებულება თანხვდება და სრულად ვიზიარებთ იუმორისა და სატირის განსაზღვრებების შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომლის თანახმადაც:

1. სატირას და იუმორს აქვთ საერთო საფუძველი, რამდენადაც ისინი გამოხატულებას პოულობენ დაცინვაში. სატირა მწვავე დაცინვაა და ობიექტის განადგურებას ისახავს მიზნად; იუმორი კი უფრო ლმობიერად ექცევა თავის ობიექტს და ამ დაცინვის უფრო რბილ ფორმას წარმოადგენს;
2. სატირა იუმორთან შედარებით ისტორიულად უფრო ადრეული წარმონაქმნია;
3. იუმორი ახალი საუკუნეების პროდუქტია;
4. იუმორი თავისი ბუნებით ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ხასიათისაა და მისი არსებობა მიუთითებს ადამიანის „ამაღლებაზე“. „ბავშვსა და გრძნობებმოუმწიფებელ ადამიანს უძნელდება იუმორის წვდომა, იუმორის ნამდვილი გაგება ადამიანის სულიერი განვითარების მომწიფებას საჭიროებს“.

❖ იუმორისა და სატირის გენეზისისა და განსაზღვრებების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მათ ისტორიას ფესვები შორეულ წარსულში მოეპოვება, რაც, უდავოდ, განაპირობებს მათი შესწავლის მრავალწახნაგოვნებას - ეტაპების, თემატიკისა თუ ენობრივი გამოხატულების თვალსაზრისით.

❖ იუმორი, სატირა და ირონია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც არსებობს;

❖ როგორც კრიტიკის ფორმა, სატირა იყენებს იუმორს მისი მიზნების განხორციელებისათვის;

❖ იუმორი მოქმედების, ზეპირი თუ წერიტი მეტყველების ერთ-ერთი მახასიათებელია, რომელიც მკითხველში/მსმენელში იწვევს მხიარულების განცდას;

- ❖ სატირა უფრო ლიტერატურული ჟანრია, ირონია რიტორიკული იარაღი/ინსტრუმენტი, ხოლო იუმორი კი სუბსტანციაა (Weisgerber, 1973);
- ❖ იუმორს მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოებაში და მისი გამოხატვის ფორმებიც არაერთგვაროვანია დაწყებული პოლიტიკური სატირიდან, დამთავრებული ჩვეულებრივი სახუმარო გამონათქვამებით;
- ❖ სატირისგან განსხვავებით, იუმორი კეთილი ხუმრობაა, რომელიც ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, განთავისუფლდეს ავი ზრახვებისგან თუ ცრუ შეხედულებებისგან;
- ❖ იუმორი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც უნარი, რომლის საშუალებითაც ხდება სახუმარო, კომიკური თუ გასართობი მოვლენების აღქმა, მიღება, დაფასება და გამოხატვა, რომელიც უმთავრესად სიკეთესთან, ზოგჯერ კი პათოსთანაც კი ასოცირდება და რომელიც მსმენელში სიმპათიასა და გართობის შეგრძნებებს იწვევს;
- ❖ განარჩევენ იუმორის ორ სახეს: ვერბალურსა და არავერბალურს;
- ❖ ვერბალური იუმორი თავს იჩენს, როგორც წერილობით, ისე ზეპირ ტექსტებში; იგი
- ❖ ლინგვისტური მოვლენაა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს მიკრო თუ მაკრო ტექსტის შელამაზება და სასიამოვნო ელფერით შემოსვა;
- ❖ არავერბალურ იუმორს სიტუაციური და ვიზუალური სახე აქვს;
- ❖ განასხვავებენ შემდეგი ტიპის იუმორს: კალამბური (სიტყვათა თამაში), ფარსი (მსუბუქი კომედია), ხუმრობა და ანეკდოტი (Feigelson, 1989);
- ❖ თანამედროვე გლობალურ სამყაროში, პოლიტიკური ელიტისა და მასების ურთიერთმიმართებების ფონზე, განსაკუთრებით იმდღავრა პოლიტიკურმა იუმორმა, რომელიც ერთგვარი კრიტიკული რეაქციაა ხალხის მხრიდან პოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებაში;
- ❖ იუმორის მსგავსად, სატირა კიდევ ერთი მძლავრი იარაღია პოლიტიკურ დისკურსში რეალიზმის/ყოველდღიური ყოფისა თუ ვითარების რეალური სურათის წარმოსაჩენად;
- ❖ სატირა და იუმორი კარგი საშუალებაა ცხოვრებისეული მოვლენების გამოხატვის საქმეში; სატირა ის მძლავრი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ხშირად ხდება მანკიერი მხარეების გამომჟღავნება, ვისამე გამიზნული დაცინვა და განადგურებაც კი.

- ❖ არსებობს ირონიის სამი ტიპი: ვერბალური, სიტუაციური და დრამატული.
- ❖ ვერბალური ირონიის შემთხვევაში, ირონია გამოხატავს იმისგან განსხვავებულს, რასაც მთქმელი უშუალოდ ამბობს (Fell, 2013);
- ❖ ვერბალური ირონია განზრახული ქმედებაა მთქმელის მხრიდან;
- ❖ ვერბალური ირონია თავს იჩენს დიალოგში ან დისკურსში ისეთ შემთხვევაში, როდესაც მთქმელს სურს თავისი ნათქვამი იქნეს გაგებული საპირისპიროდ იმისა, რასაც ის რეალურად იძახის;
- ❖ სიტუაციური ირონია თავს იჩენს მაშინ, როდესაც საბოლოო დასასრული სრულიად განსხვავებულია იმისგან, რაც მოსალოდნელი იყო (Claire, 2004);
- ❖ როგორც წესი, ნებისმიერ ეპიზოდს განვითარების ეტაპზე სავარაუდო დასასრული აქვს. ისეთ შემთხვევაში, თუ ეს პროგნოზირებული დასასრული არ მართლდება და დასასრული სრულიად სხვა სახეს იღებს, ასეთი ტიპის დასასრულს უწოდებენ სიტუაციურ ირონიას;
- ❖ დრამატული ირონია თავს იჩენს მაშინ, როდესაც ლიტერატურული ტექსტის მოქმედი გმირების მხრიდან წამოსულ სიტყვებსა თუ ქმედებებს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მკითხველისთვის, ანუ მოცემულ შემთხვევაში მკითხველმა გაცილებით მეტი იცის კონკრეტული გმირის შესახებ, ვიდრე თავად ამ ლიტერატურულმა თუ დრამატურგიულმა გმირმა (Hutcheon, 1992);
- ❖ განასხვავებენ ირონიის ორ კლასს: აშკარა/შესამჩნევი ირონია (observable irony) და ინსტრუმენტული (instrumental irony) (Muecke , 1982);
 - ინსტრუმენტული ირონიის შემთხვევაში ადამიანი ხვდება მთავარ მიზეზს, თუ რატომ გამოიყენება ირონია მოცემულ შემთხვევაში;
 - აშკარა/შესამჩნევი ირონია შეიძლება იყოს განუზრახავი/წინასწარ დაუგეგმავი, თუმცა მაინც რეპრეზენტაციული;
- ❖ ვალიტუტის (Valitutti [169) მიხედვით, ირონია რამდენიმე თეორიით შეიძლება იქნეს ახსნილი:
 1. უპირატესობის თეორია (Superiority Theory). ამ მოსაზრების თანახმად, თავშესაქცევი/სამხიარულო მოვლენა, შეიძლება, გამოწვეული იყოს სხვების უიღბლობით. სწორედ ეს ფაქტი პოეზებს ასახვას უპირატესობის ფენომენში. ამ თეორიის მხარდამჭერნი იყვნენ პლატონი, არისტოტელე და ჰობსი.

2. შვების/შემსუბუქების თეორია (Relief Theory). ეს თეორია შექმნილია ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ვარაუდზე დაყრდნობით, იუმორის ბუნებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, თუ რა ზეგავლენას ახდენს ეს უკანასკნელი ადამიანის გუნება-განწყობაზე და, თუ როგორ ხდება ნეგატიური ენერგიისგან დაცლა. ამ მოსაზრების მიმდევრებად ითვლებიან ფროიდი, მინდესი და სტივენ ფრაი.

3. შეუსატყვისობის თეორია (Incongruity Theory). ეს თეორია უფრო ლინგვისტურ თეორიად შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, იუმორი უფრო ეფუძნება რაღაც შეუსაბამოს გაცნობიერებას - იმას, რაც არღვევს ჩვენს გონებრივ/მენტალურ ხატებს და მოლოდინებს.

❖ სოკრატისეული ირონია (Socratic Irony) უმანკოებისა და უმეცრების დაფარვის მცდელობაა;

❖ დრამატული და ტრაგიკული ირონია (Dramatic or tragic Irony) ორმაგი ხედვაა იმისა, თუ რა ხდება ხელოვნებასა და რეალურ ცხოვრებაში;

❖ ლინგვისტური ირონია (Linguistic Irony) არის ორი ლოგიკური ფასეულობის რეალიზება: ლექსიკა და კონტექსტი (ეს ტიპი ირონიის კლასიკურ ფორმას წარმოადგენს);

❖ სტრუქტურული ირონია (Structural Irony) - როდესაც გულუბრყვილო პროტაგონისტი/მთავარი გმირი ახდენს მოვლენების ინტერპრეტირებას ავტორის ვერსიისგან განსხვავებულს;

❖ კოსმიური ირონია (Cosmic irony) - რომელიც განიხილავს მწარედ გაცრუებული ხალხის ნააზრევს/მოსაზრებებს;

❖ რომანტიული ირონია (Romantic irony) - ირონიის ისეთი სახეა, როდესაც ტექსტის ავტორი მკითხველს აიძულებს გაიზიაროს ის, თუ რა ხდება მონათხრობში/ტექსტში;

❖ სატირა განიხილება, როგორც ლიტერატურული ჟანრი, რომლის რიტორიკულ ინსტრუმენტს წარმოადგენს ირონია;

❖ ამასთანავე, სატირას იუმორისტული ელფერიც დაჰკრავს, რომლის უმთავრეს მიზანს კონსტრუქციული, სოციალური კრიტიკის შექმნა წარმოადგენს, სადაც

აქტიურად მიმართავენ მახვილგონიერებას, იმისათვის, რომ მოხდეს საზოგადოების აზრის ფოკუსირება რაიმე მწვავე და კონკრეტულ საკითხზე;

- ❖ სატირის ზოგად თვისებას წარმოადგენს ძლიერი ირონია და სარკაზმი;
- ❖ სატირა ერთგვარი ტექნიკაა, რომელსაც მწერალი/ტექსტის ავტორი იყენებს ცალკეული პიროვნებებისა თუ საზოგადოების მანკიერი თვისებების, უგუნური საქციელისა და კორუფციის გამოსამჟღავნებლად;
- ❖ ჰორაციუსეული სატირა უფრო შემწყნარებლური, დახვეწილი, გონებამახვილურია და ძირითადად მიმართავს იუმორის გამოყენების სტრატეგიას;
- ❖ იუვენალუსიული სატირა უფრო მწვავე, ღვარძლიანი, ულმოხელი და გაცილებით სერიოზულია; მიმართულია სოციალური მანკიერი მხარეების გამოაშკარავებისაკენ. შესაბამისად, სატირის ეს ფორმა გაცილებით პესიმისტურია, რომელიც ხასიათდება მწვავე ირონიით, სარკაზმით, მორალური გულისწყრომით/აღშფოთებით, ლანძღვა-გინებით, რომელსაც ნაკლებად თუ დასდევს იუმორის ელფერი;
- ❖ სატირულ-იუმორისტული ვერბალური ტექსტები თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომელთაც უხვად ვხვდებით, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე პუბლიცისტურ ჟანრში (მასმედიაში);
- ❖ იუმორი სატირისა და ირონიის გარეშე არ არსებობს. თუ იუმორი ნათქვამის ესთეტიკურად შელამაზებული ფორმაა, რომელიც მსმენელში ღიმილსა და სიხალისეს იწვევს, სატირა და ირონია უფრო აგრესიული ფორმაა, რომელიც რეალურ ფაქტებსა და მოვლენებს მწვავე იუმორის წყალობით გადმოსცემს;
- ❖ იუმორისა და სატირის ისტორიას ფესვები შორეულ წარსულში მოეპოვება, რაც, უდავოდ, განაპირობებს მათი შესწავლის მრავალწახნაგოვნებას - ეტაპების, თემატიკისა თუ ენობრივი გამოხატულების თვალსაზრისით;
- ❖ ადრინდელ ქართულ ლიტერატურაში არსებული კომიზმის ხერხებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სატირისა და იუმორის ის მაგალითები, რომლებშიც დასტურდება: 1. ბგერებითა და სიტყვებით თამაში; 2. შედარებებით გამოწვეული კომიზმი/ (შედარებები); 3. გადაჭარბებები, როგორც სატირულ-იუმორისტული ხერხი; 4. ნართაული (არაპირდაპირი გამოსახვის უმნიშვნელოვანესი ფორმა); 5. გერგილიანობა

ანუ მოსწრებულობა; 6. ცინიკური და სკაბრეზული მიდგომა, როგორც სატირისა და იუმორის ხერხები;

• **ხალხური შემოქმედების** სატირულ-იუმორისტული შთაბეჭდილების შექმნის შესაძლებლობებიდან იკვეთება:

1. „შემთხვევითი“ ანუ ნებისმიერი დაკავშირებები, რაც ერთიმეორესთან შინაგანი ლოგიკით დაუკავშირებელი აზრების „გამთლიანებაში“ მდგომარეობს. ეს განსაკუთრებით „სასიმღერო“ და „შაირების“ სახელით ცნობილ ლექსებშია წარმოჩენილი;
2. **შედარება და გადაჭარბება** ჩვეულებრივია ხალხური შემოქმედებისათვისაც, თუმცა აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ გამომჟღავნებულია დამცირების ტენდენცია. კომიზმის მისაღებად მთავარია/აუცილებელია შესადართა შორის აშკარა შეუსაბამობა, ანდა დაპირისპირება. გადაჭარბების ხარისხი ამ დროს უმნიშვნელოვანესია;
3. „**ლექსიკური**“ სატირა და იუმორი. ასეთ შემთხვევაში სატირულ-იუმორისტული ეფექტი მიიღება გარკვეული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებით. ხალხი საგანგებოდ უსვამს ხაზს მათ შეუფერებლობას თავისი მეტყველებისათვის. ამ მიზანს ემსახურება უცხოური სიტყვები და ასევე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დიალექტური ფორმები/გამოთქმები. ამ ჯგუფში განიხილავენ ე.წ. ენის გასატეხებსაც, რომლებიც უწყინარ სიტყვათა ჩქარი გამეორების გზით სკაბრეზულ გამოთქმად გადაიქცევა და სატირულ-იუმორისტულ მიზანდასახულებას წარმოაჩენს;
4. **სკაბრეზული სატირა**. აბუჩად აგდებისა და მწარე დაცინვის საშუალებად (გაბედული ტონი) ხალხურ შემოქმედებაში ძალზე ხშირია სკაბრეზული მეტყველება. იგი არ გაურბის მოურიდებელ სიტყვიერ საშუალებებს და ამბის გადმოცემისას არაჩვეულებრივი პირდაპირობით იყენებს სათაკილო სიტყვებსა და გამოთქმებს;
5. **ანდაზები და გამოცანები**. სატირულ-იუმორისტული განწყობის შექმნისათვის, ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული საშუალება, ძალზე ეფექტურ შესაძლებლობას წარმოადგენს.

❖ ქართულში სატირისა და იუმორის გამოხატვის შესაძლებლობებია:

- ბგერებითა და სიტყვებით თამაში
- შედარებებით გამოწვეული კომიზმი/ (შედარებები)
- გადაჭარბებები/, როგორც სატირულ-იუმორისტული ხერხი
- წართაული (არაპირდაპირი გამოსახვის უმნიშვნელოვანესი ფორმა)
- გერგილიანობა ანუ მოსწრებულობა/ენამოსწრებული ორაზროვანი თქმები
- ცინიკური და სკაბრეზული მიდგომა, როგორც სატირისა და იუმორის ხერხები
- „შემთხვევითი“ ანუ ნებისმიერი დაკავშირებები
- „ლექსიკური“ სატირა და იუმორი
- ანდაზები და გამოცანები
- დამახინჯებული მეტყველება/ყოფითი სასაუბრო მეტყველება
- ეპითეტები
- გადანაცვლება
- დიალოგები
- ვედრება
- მუქარა
- წყევლა
- შელოცვა
- ირონია
- გამეორება
- აზრობრივი შეცდომები
- მიაშიტობა
- სარკაზმი (უმწვავესი სატირის სახეობა, როცა ობიექტი სრულ არარაობადაა მიჩნეული და აბუჩად აგდებული)
- პაექრობა
- დამაკნინებელი გამოთქმები
- ხატოვანი გამოთქმები
- ინტრიგა
- კომპოზიციური კომიზმი
- სიტუაციური კომიზმი

- იუმორისტული პერსონაჟები
- სიტყვების და გამოთქმების ემოციური იერი
- დაპირისპირება

❖ იუმორის გადმოცემა სხვადასხვა მხატვრული ხერხით არის შესაძლებელი. ესენია:

- ✓ **გაზვიადება ანუ ჰიპერბოლა**, რომლის დროსაც ხდება რაიმეს წარმოჩენა უფრო დიდი მასშტაბებით ყურადღების მიპყრობის მიზნით. ეს ხერხი საუკეთესო საშუალებაა მწერლისთვის იუმორის შესაქმნელად;
- ✓ **ლიტოტესი**, რომელიც განსხვავებით ჰიპერბოლისგან, აკნინებს/ამცირებს რაიმეს წარმოსახვის მასშტაბებს;
- ✓ **კომიკური ირონია**, ისეთი მხატვრული ხერხია, რომლის დროსაც ავტორი აცხადებს ერთს, მაშინ როდესაც ფიქრობს მეორეს. ის ერთგვარი ვერბალური ირონიაა, რომელიც შექმნილია იუმორის მიზნით;
- ✓ **სიტყვათა თამაში**, სიტყვათა ისეთი მონაცვლეობა, რომელიც იუმორისტულ ელფერს უქმნის სათქმელს;
- ✓ **დიალექტი**, რომელიც ერთი რომელიმე კონკრეტული სოციაუმის საუბრის სტილია/მანერაა, თავისუფლად შეიძლება გარკვეულ კონტექსტში მოგვევლინოს იუმორის გამომხატველ საშუალებად;
- ✓ **ბურლესკი** - კომიკური, პაროდული პოეზიის ჟანრი ;
- ✓ **სიტუაციური ირონია** - როდესაც რაიმე სიტუაციის დასასრული შეუსაბამოა იმასთან, რაც ლოგიკურად უნდა მომხდარიყო, ეს არის სიტუაციური ირონია
- ✓ **სარკაზმი**, რომელიც ერთგვარი ღვარძლიანი დაცინვაა და მწვავე ირონიის როლში გვევლინება;
- ✓ **ოხუნჯობა/ხუმრობა** - მახვილგონივრული, ჭკვიანური გამონათქვამი ან შენიშვნა;

❖ თანამედროვე ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სატირის სამი ფორმა: **პაროდია, ირონია და სარკაზმი**

- ✓ **პაროდია** - მისი დახმარებით იქმნება ხუმრობები ცნობილ ადამიანებსა თუ მოვლენებზე და, ამავე დროს, სატირულად ართობს და ახალისებს მკითხველს თუ მაყურებელს.
- ✓ **ირონია** - ირონიას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთი კონკრეტული აზრის გადმოცემა ხდება საპირისპირო ნააზრევით. ირონია ერთგვარ დისონანს ქმნის

მეტყველება და მოქმედებას შორის. ირონია შეიძლება იყოს სოკრატისეული, დრამატურგიული, ვერბალური და სიტუაციური.

- ✓ **სარკაზმი** - სარკაზმი არის მწვავე კრიტიკა ან კომენტარი სახუმარო ან უკმეხი გზით შექმნილი;
- ❖ სატირის გადმოცემა შესაძლებელია შემდეგი მხატვრული ხერხების საშუალებით:
 - ✓ **ირონია**
 - ✓ **ჰიპერბოლა**
 - ✓ **ლიტოტესი**
 - ✓ **ალეგორია**
 - ✓ **მეტაფორა**
 - ✓ **გაპიროვნება**
- ❖ ინგლისურენოვან დისკურსში, როგორც საანალიზო წყაროებზე დაყრდნობით გამოჩნდა, ძირითადი წილი ირონიას, ალეგორიას და გაპიროვნებას ეთმობა;
- ❖ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულში გაცილებით მეტია სატირისა და იუმორის გამოხატვის მხატვრული საშუალებები, ვიდრე ინგლისურში.
- ❖ გამოიკვეთა, რომ ქართულში გამოხატვის საშუალებებიდან მკვეთრად ჭარბობს ეპიტეტი (49.6 %), შედარება (19.7 %) და ირონია (11%), მაშინ, როდესაც ინგლისურში განსხვავებული სურათი იკვეთება. ინგლისურ ენაში სატირისა და იუმორის გამოხატულების საშუალებებიდან ჭარბობს ირონია (27.2 %), ალეგორია (25.5 %) და გაპიროვნება (20.7 %). თავსებადობა ამ ორი ენაში მხოლოდ ირონიის დონეზე იკვეთება.
- ❖ სურათი საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, არა სრულად თანხვედნილი, ეს ჩვეულებრივი ფაქტია, რადგან ყველა ენას, მიუხედავად იმისა, რომ კომიკური სცენების შექმნის უამრავი საშუალება გააჩნია და სხვადასხვა სისტემის, არამონათესავე ენები მკვეთრ მსგავსებასაც წარმოაჩენენ ამ მიმართებით, ხაზგასასმელია, რომ „ერთსა და იმავე ფაქტზე, მოვლენასა თუ სურათზე სხვადასხვა ერის წარმომადგენელი განსხვავებულ რეაგირებას ახდენს. ერთისთვის თუ იუმორია, სასაცილოა, მეორისათვის - პირიქით ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ ერთი ქვეყნის, ერთი ერის მცხოვრებნიც კი, განსხვავებულად, სხვადასხვაგვარად აღიქვამენ იუმორს, ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ სრულ თანხვედრას ვერც მივიღებდით სატირული და იუმორისტული სცენების დახატვის შესაძლებლობების თვალსაზრისით ამ ორ ენაში.

- ❖ ქართული და ინგლისური ენების სალიტერატურო წყაროებში სატირა მწვავე კრიტიკის, იუმორისა თუ ირონიის ფონზე, მიმართულია რელიგიისა და სახელმწიფო მმართველობის წინააღმდეგ.
- ❖ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში სატირა უმთავრესად მიმართულია ძირგამომპალი სახელმწიფო მართველობის ფორმის, კერძოდ კი, ბატონყმობის წინააღმდეგ.
- ❖ ინგლისურენოვან სალიტერატურო წყაროებშიც სატირიკოსები აკრიტიკებდნენ სამთავრობო მმართველობის მანკიერ ფორმებს. აქვე თავს იჩენს რასიზმის საკითხიც, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავეთ იკვეთება მე-20 საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში.
- ❖ პუბლიცისტური სტილის ცნება შეიქმნა გაზეთების, საზოგადოებრივი - პოლიტიკური ჟურნალების, პამფლეტების მოხსენებების, გამოსვლების, საუბრების დისკუსიების და ა.შ. ენიდან, რომლებიც პოლიტიკურ ინფორმაციას შეიცავს;
- ❖ პუბლიცისტური სტილი უტყუარობითა და ობიექტურობით ხასიათდება. იგი დაკავშირებულია მის ისეთ მახასიათებლებთან, როგორიცაა სისრულე, სიღრმე, სიზუსტე და განსაზღვრულობა;
- ❖ პუბლიცისტიკის აგიტაციურ-პროპაგანდისტული ფუნქციით განისაზღვრება მისი ექსპრესიულობისა და ემოციურობის მაღალი ხარისხი, რომელიც დამოკიდებულია მისი განხორციელების კონკრეტულ ფორმაზე და სამეტყველო სპეციფიკაზე;
- ❖ პუბლიცისტური სტილი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენს;
- ❖ საგაზეთო პუბლიცისტურ ტექსტებში ინფორმაცია-კომუნიკაციის მრავალფეროვნება მოიაზრება-დაწყებული ნეიტრალური, მშრალი ინფორმაციით და დამთავრებული აქტიური პუბლიცისტური პათოსით;
- ❖ საგაზეთო პუბლიცისტიკა მოქალაქეებს ობიექტურ ვითარებას წარუდგენს და მონაწილეობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიმართულებით; ხელს უწყობს სოციალური პროცესების სტიმულირებას;
- ❖ თანამედროვე პუბლიცისტიკა თავისებურია და მას აქვს ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა:

1. სხარტი და დინამიკური თხრობა;

2. თემის აქტუალობა, ინფორმაციის სიახლე და ექსკლუზიურობა;
3. ახალი ლექსიკა-ტერმინოლოგიის, სლენგის აქტიური გამოყენება;
4. პოლიტიკური პათოსი;
5. ენობრივი შტამპების, კლიშეების, ჩამოყალიბების ტენდენცია;
6. სიტყვებისა და გამოთქმების მეტაფორული გამოყენება;
7. შემოკლებები და აბრევიატურები;
8. ეფექტური ფრაზების წინ წამოწევა.

❖ გაზეთში, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, აისახება თანამედროვეობის აქტუალური საკითხები: პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი, ფილოსოფიური, კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა;

❖ საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტების განხილვისას ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა გაზეთის სათაური, წინადადების სინტაქსური წყობა, რიტორიკული შეკითხვები, მიმართვის ფორმა, სასაუბრო კონსტრუქციები, დაუსრულებელი წინადადებები, იდიომები და სხვა;

❖ სტატიის სათაური მედია-ტექსტის ის უმთავრესი საკვანძო ერთეული და უმნიშვნელოვანესი გასაღებია, რომლის საშუალებითაც ხდება მკითხველის ყურადღების მიპყრობა;

❖ უპირველესი, რაც საგაზეთო სტატიის სათაურებზე დაკვირვებამ და მათმა ანალიზმა გვიჩვენა, ისაა, რომ სათაურის გაფორმებისას, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება ირონია, განსაკუთრებით კი - ვერბალური ირონია. ამ მხრივ იდენტური ვითარებაა, როგორც ქართულ, ისე – ინგლისურენოვან მედია-სივრცეში.

❖ თითოეული მედია-სივრცე (ქართული/ინგლისური) განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც გრაფიკული, ასევე, სტილური გაფორმებით. თუმცა, მათ შორის გარკვეული მსგავსებები შეინიშნება.

❖ როგორც ქართულში, ისე ინგლისურში, თვალშისაცემია საგაზეთო ტექსტების სათაურის გაფორმება;

❖ ქართულში საგაზეთო სათაურების გაფორმება ფერების (უმთავრესად წითელი და შავი ფერის) ჩანაცვლებით ხორციელდება;

❖ ინგლისურენოვან საგაზეთო სტატიების სათაურებში გრაფიკული გაფორმება დიდი და პატარა ასოების მონაცვლეობით ხორციელდება;

- ❖ ინგლისური სტატიების სათაურებისთვის დამახასიათებელია აბრევიატურების გამოყენება, რაც ქართულ საგაზეთო სტატიებში ნაკლებად/ფაქტობრივად არ შეინიშნება;
- ❖ ქართულ და ინგლისურენოვან საგაზეთო სტატიების სათაურებში ხშირია გართმვის შემთხვევები;
- ❖ ქართველი ჟურნალისტები ექპრესიულობისა და ირონიის გასამძაფრებლად არც სალიტერატურო ენისათვის მიუღებელ ვულგარულ გამონათქვამების, სლენგებისა თუ ჟარგონების, გამოყენებას არიდებენ თავს; ზოგჯერ არის დიალექტური სიტყვების გამოყენების ნიმუშებიც;
- ❖ ქართულენოვან მედია სივრცეში უხვად გვხვდება საგაზეთო სტატიის ისეთი სათაურები, რომლებიც ან მზა ფრაზებია კინოფილმებიდან თუ სხვა წყაროებიდან დასესხებული, ან აფორიზმების, მყარი გამონათქვამებისა თუ ანდაზების ერთგვარ ტრანსფორმაციას წარმოადგენენ;
- ❖ ქართული, ისე როგორც ინგლისურენოვანი მედია-დისკურსი, მდიდარია სატირისა თუ იუმორის ამსახველი მიკრო თუ მაკრო ტექსტებით;
- ❖ თანამედროვე ქართულ პუბლიცისტურ ტექსტებში აშკარად შეინიშნება დამცირების ტენდენცია;

შეფასების პროცესში, ირონიის მისაღწევად, ხშირია შედარების ორი სახეობა:

1. შედარება, რომელიც პირდაპირ ემსახურება ობიექტის დაკნინების ამოცანას;
2. შედარება, როდესაც დახასიათებული მოვლენა თავისი ღირსებით შედარებით უფრო მაღლა დგას. კომიზმის მისაღებად მთავარია შესადართა აშკარა შეუსაბამობა, ან/და დაპირისპირება.

- ❖ ზოგჯერ გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ერთი სიტყვა კი არა, არამედ მაღალფარდოვანი მხატვრული ენითაა გადმოცემული ტექსტი და სწორედ ამ გზითაა გაჟღენთილი სატირული ელემენტებით;
- ❖ ემოციის გასამძიერებლად და სატირული ექსპრესიის მისაღწევად ავტორები ზოგჯერ მეტაფორის რამდენჯერმე გამეორებასაც გვთავაზობენ. სწორედ გამეორებისა და მეტაფორის თანხვედრა ერთ-ერთ საინტერესო შესაძლებლობად გამოიყურება პრესის ენაში სატირისა და იუმორის გამოსახატავად;

- ❖ ქართულ საგაზეთო პუბლიცისტიკაში აუცილებლად ცალკე უნდა გამოიკვეთოს გაპიროვნების ხერხი, რომელიც მეტაფორის ერთ-ერთ სახეობად განიხილება;
- ❖ ქართულ საგაზეთო პუბლიცისტიკაში სატირისა და იუმორის გამოხატვის ერთ-ერთ საინტერესო შესაძლებლობებად აგრეთვე დასტურდება ალუზია და ჰიპერბოლა;
- ❖ ქართული მედიისაგან განსხვავებით, ინგლისურ საგაზეთო პუბლიცისტიკაში შედარებით თავშეკავებულობა შეიძლება და სატირას იუმორი უფრო ჭარბობს;
- ❖ ხშირ შემთხვევაში, ინგლისურ საგაზეთო პუბლიცისტიკაში ქილიკი მეტაფორის საშუალებით არის გადმოცემული;
- ❖ ინგლისურენოვან მედიაში მაღალჩინოსნებთან მიმართებაში აშკარად შეინიშნება სატირისა თუ იუმორის შტრიხები, თუმცა არა ისეთი სიმწვავეთ, როგორც ეს ქართული მედია-ენისათვის არის დამახასიათებელი;
- ❖ ინგლისურ საგაზეთო პუბლიცისტიკაში აგრეთვე გვხვდება გარიტმვისა, კოლოკვიალიზმის, პოლისინდეტონისა თუ ჰიპერბოლის მაგალითები;
- ❖ „თარგმანი ზოგადი ტერმინია, რომელიც გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გამონათქვამის მნიშვნელობის გადატანა ხდება მეორე ენაზე ზეპირი ან წერიტი ფორმით, ენობრივი ნიშნების დახმარებით“ (Crystal 1985:344);
- ❖ თარგმანი, ძირითადად, ორ ენას შორის შესრულებული ტრანსფორმაციაა, მისი არსი კი დედნის ტექსტში გამოხატული იდეებისა და ინფორმაციის თარგმნაა;
- ❖ თარგმანთმცოდნეობაში არსებობს ორი ტიპის თარგმანი: მხატვრული და არამხატვრული (ინფორმაციული თარგმანი);
- ❖ მხატვრული თარგმანი ძირითადად თავისუფალი ხასიათისაა, არამხატვრული თარგმანი კი, ჩარჩოებში ჯდება და გარკვეული წესებით რეგულირდება, რაც, თავის მხრივ, მთარგმნელს გარკვეულ სირთულეებს უქმნის, რომლის მთავარი ამოცანა სათქმელის ზუსტი გადმოცემაა მთავარი აზრის დაურღვევლად;
- ❖ თარგმნის პროცესში ერთ-ერთ რთულ საქმეს პუბლიცისტური ტექსტების თარგმნა წარმოადგენს, რომელიც გარდა ტერმინოლოგიური სიუხვისა, მკითხველზე ეფექტის მოხდენის მიზნით, დატვირთულია სატირულ-იუმორისტული პასაჟებით;
- ❖ თარგმნის პროცესში ტექსტები შემდეგი კატეგორიის მიხედვით შეიძლება დაიყოს:

- „ფაქტების უბრალო კომუნიკაცია“ (Informative): ინფორმაცია, ცოდნა, აზრი და სხვ. ენის განზომილება, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გადაცემისთვის, არის ლოგიკური ან რეფერენციული, შინაარსი ან „თემა“ არის კომუნიკაციის ძირითადი ფოკუსი და ტექსტის ტიპი არის ინფორმაციული;
- „კრეატიული კომპოზიცია“ (Expressive): ავტორი იყენებს ენის ესთეტიკურ განზომილებას. ავტორი, ან „გამომგზავნი“ არის წინა პლანზე, ისევე, როგორც გზავნილის ფორმა, და ტექსტის ტიპი არის ექსპრესიული;
- „ინდუცირებული ქცევითი პასუხები“ (Operative): ფუნქციის მიზანია მკითხველის ან ტექსტის „მიმღების“ მიზიდვა ან დარწმუნება მოიქცეს გარკვეულად. ენის ფორმა არის დიალოგიური, ფოკუსი – აპელაციური, ტექსტის ტიპი კი ოპერატიული;
- „აუდიომედიალური ტექსტები“ (Audiomedial): ფილმები, სამეტყველო, ვიზუალური რეკლამები, რომლებიც უზრუნველყოფს წინა სამ ფუნქციას ვიზუალური გამოსახულებით, მუსიკით და სხვ. (რომელიც გვიბიძგებს შევიძინოთ რაიმე, ან განსაზღვრულად მოვიქცეთ).

❖ თარგმანი მართო წმინდა ლინგვისტური აქტივობა არ არის. იგი, აგრეთვე, მოიაზრებს სოციალურ დისკურსს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ინტრა-კულტურულ და ინტერ-კულტურულ აქტივობებს;

❖ თარგმნის პროცესში უმნიშვნელოვანესია კულტურული ასპექტების გათვალისწინება როგორც მხატვრული ტექსტების თარგმნისას, ისე ჟურნალისტური/საგაზეთო სტატიების თარგმნის პროცესში;

❖ ინგლისურიდან ქართულზე თარგმანის პროცესში სათაურების შემთხვევაში სირთულეები რამდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. კერძოდ:

- ინგლისურენოვანი საგაზეთო სტატიების სათაურებს ხშირად ფრაზული ფორმულირება აქვთ, ანუ ე.წ. დაუმთავრებელი წინადადებების სახით გვევლინებიან სტატიებში. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს გაუჭირდება სათაურის პირდაპირი თარგმანი, მანამ, სანამ არ გაეცნობა სრულიად სტატიის შინაარსს.

- ინგლისურენოვან საგაზეთო სტატიების სათაურებში ხშირად არის გამოყენებული ზმნის საწყისი ფორმა მომავალი დროის გამოსახატავად, რამაც, ასევე, შეიძლება შექმნას გარკვეული სირთულეები თარგმნისას;
- სტატიის ავტორები ხშირად მიმართავენ მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ექპრესიულობით ტვირთავს, როგორც სათაურს, ისე სტატიის ტექსტებს. შესაბამისად, ექპრესიულად გაძლიერებული პასაჟები გარკვეულ გამოწვევებს უქმნის მთარგმნელს ნათქვამის სწორ ტრანსფორმაციაში ერთი ენიდან მეორეზე;
- ❖ უთარგმნელობის საკითხის განხილვას, ძირითადად, დენოტაციურ-კონოტაციურ მნიშვნელობების პრობლემამდე მივყავართ.
- ❖ აქ მოიაზრება დიალექტის, სოციოლექტისა და იდიოლექტის ლინგვისტური ვარიაციები, აგრეთვე, მეტალინგვისტური და მეტალინგვალური კომუნიკაციები, სადაც თავს იჩენს ისეთი ლინგვისტური ფორმები, როგორიცაა კალამბურები (სიტყვათა) და სიტყვათა გარითმვა;
- ❖ ენობრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებული პრობლემა იუმორის თარგმნისას იმაში მდგომარეობს, რომ მასში სჭარბობს სოციოლინგვისტური თავისებურებები (ე.წ. დიალექტური გამონათქვამები);
- ❖ სატირისა და იუმორის მაგალითები ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებში გადმოცემულია სემანტიკურ, გრაფიკულ, მორფოლოგიურ, სტილისტურ და სოციო-კულტურულ დონეზე, რაც სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს მთარგმნელს;
- ❖ ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებში სატირისა და იუმორის გადმოსაცემად ხშირად ვხვდებით ბგერების თამაშს, რომელიც სერიოზულად ართულებს თარგმანის პროცესს და, სრულიად შესაძლებელია, უთარგმნელობის სიტუაციაც კი წარმოშვას;
- ❖ თარგმნის პროცესში კიდევ უფრო რთული იქნება ისეთი პასაჟების თარგმნა, სადაც კონტექსტუალურად ექპრესიულობის გაზრდის მიზნით გამოყენებულია უცხოური სიტყვები ან ჟარგონები დასესხებული სხვა ენიდან;
- ❖ როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ძირითადი პრობლემები და უთარგმნელობის შემთხვევები უმთავრესად ქართულიდან ინგლისურში აღმოჩნდა. ჩვენი ვარაუდით, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ქართული ენა სინთეზური ენაა, რომელშიც სიტყვათა შორის გრამატიკული მიმართებები გამოიხატება მორფოლოგიური ხერხებით, თვით

სიტყვის ფარგლებში აფიქსებისა და ფუძის ფლექსიის (სიტყვათწარმოება) საშუალებით.

❖ ვფიქრობთ, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საგულისხმოა არა მხოლოდ სატირისა და იუმორის გამოხატვის საშუალებათა სრულფასოვანი სურათის შესაქმნელად, არამედ, ზოგადად, ენათმეცნიერების სიღრმისეული შესწავლის თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს ფილოლოგიის, როგორც დარგის, შემდგომ განვითარებას;

❖ დასაბუთებულად შეიძლება ითქვას, რომ სატირისა და იუმორის გადმოცემის ენობრივი საშუალებების სპექტრი საკმაოდ ფართო, მრავალფეროვანი და საინტერესოა, მით უფრო კონტრასტულ ჭრილში, რაც, უდავოდ, შემდგომში ახალი კვლევების ჩატარების საფუძველს იძლევა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. გამეზარდაშვილი, მ., (2004), თარგმანის თეორიები და გერმანულენოვანი ლიტერატურის ერთი ქართული თარგმანის ანალიზის ცდა, თბილისი
2. გაჩეჩელაძე, ს., (1957), ლიტერატურის მცოდნეობის შესავალი, თბილისი
3. გერსამია, მ., (2004), პუბლიცისტური ინფორმირების თავისებურებანი, პროფ. ნოდარ ტაბიძის რედაქციით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
4. გვენცაძე, ალ., (1991) ზოგადი სტილისტიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი
5. გრძელიძე, ი., ფხაკაძე, ნ., (2014), დისკურსი: ენობრივი, კულტურული, სოციალური ველები, გამომცემლობა ქუთაისი
6. კვარაცხელია, გ., (1990), ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
7. კიკნაძე, გრ., (1972), ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
8. კილანავა, მ., (2014), უახლესი (2010-2013) პერიოდის ქართული მასმედიის ენობრივი სურათი და მასთან დაკავშირებული თარგმანის პრობლემები; სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი
9. სანიკიძე, თ., (1999), ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
10. ჩარკვიანი, ნ., (2018), პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური მახასიათებლები ქართული გაზეთების ფურცლებზე: სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი
11. ცანავა, აპ., (1960), სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი
12. ცინცაძე ი., (2016), თანამედროვე პუბლიცისტიკის ენა და სტილი ბეჭდური მედიის მასალების მიხედვით, ავტორეფერატი, თბილისი

13. წერწუმია, მ., (2013), ერნესტ ჰემინგუეის რომანის „მშვიდობით, იარაღო!“ ქართული თარგმანი (მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე), თბილისი, სადისერტაციო ნაშრომი
14. ჯალაღონია, ნ. (2016), ირონია, როგორც კომიკურის აქტუალური ფორმა („დათბობის“ პერიოდის ქართულ ბელეტრისტიკაზე დაყრდნობით), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი
15. Attardo, S. (1994). *Linguistic Theories of Humor*. Mouton de Gruyter
16. Bassnett, S. (1993). *Translation studies* (2nd Ed). Shanghai: Shanghai Foreign Language education press.
17. Bayar, M., 2007. *To Mean or Not to Mean*. Damascus: Kadmous Cultural Foundation Encyclopedia of translation studies.
18. Bell, Nancy. 2009. “Responses to Failed Humor.” *Journal of Pragmatics* 41: 1825–1836. DOI: 10.1016/j.pragma.2008.10.010
19. Claire, C. (2004). *Irony*. London: Routledge
20. Crystal, David. 1985. *Linguistics*. Harmondsworth: Penguin Books
21. Dibakar, Pal., *On Humor and Satire*, Magazine of Art, Science and Communication, Vol. 4, No. 12, April-August 2010, link: <file:///C:/Users/user/Downloads/SSRN-id1661518.pdf> მოძიებულია 27.05.2018
22. Diot, Roland, (1989), “Humour for Intellectuals: Can It Be Exported and Translated? The Case of Gary Rudeou’s *In Search of Reagan’s Brain*” *Meta*, 34 (1): 84-87
23. Feigelson, S. (1989). Mixing mirth and management. *Supervision*, 50(11), pp. 6-8
24. Fell, M. (2013). *Verbal irony: Theories and automatic detection*. London: Grin Verlag
25. Gibbs, R. W. and C. Izett (1994) *The Poetics of Mind - Figurative Thought Language and Understanding*. Cambridge: Cambridge University Press
26. *Handbook of Translation Studies*, ed. by Yves Gambier and Luc Van Doorslaer, (2010), Volume 1, John Benjamin’s Publishing Company
27. Hay, Jennifer. 2001. “The Pragmatics of Humor Support.” *Humor: International Journal of Humor Research* 14(1): 55–82. DOI: 10.1515/humr.14.1.55
28. Hutcheon, L. (1992). “The Complex Functions of Irony”. In *Revista Canadiense de Estudios Hispánicos*, 16 (2).(pp. 219-234)

29. Jorgenson K.W (1989) *the handbook of journalism* .London:Routledge
30. Keenoy, K. C. (2012). "The Nature of Humour". In *The Irish Monthly*. 72 (849). (pp. 112-119).
31. Khodabandch,F(2007) Contrastive analysis of English and Persian Newspaper Headlines. *The Linguistic Journal*. Iran: MobarakehPayame Noor University.
32. Kuipers, Giseline. 2008. "The Sociology of Humor." In *Primer of Humor Research*, ed. by Victor Raskin, 365–402. Berlin: Mouton de Gruyter
33. La Rocque, Paul.(2003).*Heads You Win:Easy Guide to Better Headlines and Caption Writing*. United States: Marion Street Press, Inc.
34. Leyburn, E. D. (2015). "Notes on Satire and Allegory". In *The Journal of Aesthetics and Art Criticism*. Vol. 6 (4) (pp. 323-331)
35. Muecke, D. C. (1982): *Irony and the Ironist*, London, Methuen
36. Newmark, P. (2001). *Approaches to Translation*. Shanghai: Shanghai Foreign Language Education Press.
37. Norrick, N. (1993). *Conversational joking: humor in everyday talk*. Bloomington: Indiana University Press.
38. Norrick, N. (1994). Involvement and joking in conversation. *Journal of Pragmatics*, 22, pp. 409–30
39. Paper.B (2009) *Grammar in newspaper headlines*. Czech Republic:University of Pardubice
40. Preminger. A. and Brogan. T., (1993), *The New Princeton encyclopedia of poetry and poetics*. Princeton, NJ. : Princeton University Press
41. Reiss, K. (1977/189) 'Text types, translation types and translation assessment', translated by A. Chesterman, in A. Chesterman (ed.) (1989). pp. 105-15
42. Ross, A., (2005), *The Language of Humour*, Routledge
43. Scott, B., 2004. Picturing irony: The subversive power of photography. *Visual Communication* 3, 31-59.
44. Singh, R. K. (2012). "Humour, Satire and Irony in Literature". In *International Journal of English Literature*. 3(45). (pp.65-72)
45. Sperber, D. and Wilson, D. (1986) *Relevance: Communication and Cognition*. Oxford: Blackwell, 25.

46. Sutherland, James. (1958), *English Satire. The Clark Lectures*. Cambridge: Cambridge UP, 1958.
47. Valitutti. A. (2009), *Computational Production of Affect-Based Verbal Humorous Expressions*. PhD thesis, University of Trento
48. Weisgerber, J. (1973), "Satire and Irony as Means of Communication." In *Comparative Literature Studies*. 10 (2).157-172
49. Wilcox, J. (2000). *Humour in Anglo-Saxon Literature*. Cambridge: .D.S. Brewer.
50. Крупнов В. Н. (1976), «В творческой лаборатории переводчика»; М,
51. Лосев А. Ф., Шестаков В. П., (1965), *История эстетических категорий*. М. „ИСКУССТВО“
52. <https://englishsummary.com/6-types-satire-english-literature/> მოძიებულია 17.08.2018
53. <http://www.bitlanders.com/blogs/gullivers-travels-as-an-allegory/262688>,
მოძიებულია 16.08.2019
54. http://www.linguistics.ucsb.edu/sites/secure.lsit.ucsb.edu.ling.d7/files/sitefiles/research/papers/18/Cisneros.et_.al_vol18.pdf მოძიებულია 17.01.2019
55. <https://semioticsjournal.wordpress.com/2012/04/21/> მოძიებულია 10.03.2018
56. <https://www.nytimes.com/2019/08/22/travel/what-to-do-36-hours-in-rennes-and-st-malo-france.html> მოძიებულია 16.05.2018
57. <https://www.theguardian.com/world/2019/aug/23/kashmir-city-srinagar-india-lockdown-calls-protest-march> მოძიებულია 10.03.2018
58. <https://www.nytimes.com/2019/08/23/opinion/sunday/opioid-crisis-drug-seattle.html>
მოძიებულია 10.03.2018
59. <https://booknews.ge/?p=824> მოძიებულია 15.20.2018
60. https://skemman.is/bitstream/1946/2387/1/A_Modest_Proposal_fixed.pdf
მოძიებულია 16.08.2018
61. <https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1075732.pdf> მოძიებულია 17.06.2018

საანალიზო წყაროები:

1. კვირის პალიტრა
2. ქრონიკა +
3. ასავალ-დასავალი
4. პალიტრა +
5. ახალი თაობა
6. The telegraph
7. Evening Standards
8. The Morning Call
9. The New York Times
10. Express
11. Gardian